

ლიტერატურული გაზეთი

№20 (204) 27 ოქტომბერი - 9 ნოემბერი 2017

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ლუკა ბაქანიძე

ისროდნენ, მასნ.

ლამის თერთმეტზე აიტეხა, შუა ქუჩაში. არადა, სულ სხვაგან მივდიოდით, ეგეთი გამოსტომები კიდევ მარიას არ უყვარდა — რაც მასსოვს, სკოლიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთხელ გამომაშტერა თავისი სიმამაცით, გაცნობის პირველივე კვირას, კლასში შემოვარდნილი ვილაც მთვრალი მხედრიონელები რო გამოლანძლა, და აქამდე არ მითქვამს ჯერ მისთვის, სწორედ მაშინ რო შემიყვარდა — ხოდა, ერთი ეგ იყო და ისე კი სტაბილური და პროგნოზირებადი მასტი ჩანდა, ზოგადად, არც ერთად ცხოვრების უამს გავუოცებიავარ მაინცდამაინც და ახლა გამიკვირდა და თან გამიხარდა კიდევც, იმიტო რო ჩემი სათქმელი თქვა, პრინციპში. სათქმელი რა — გულში მეც მინდოდა, ჩემი იყო, კაი ხანია ჩვენი — ორივეს გასაკეთებელი იყო ეგ ამბავი, რაც მარიამ აიტეხა ამ თოვლიან შუალამეს... ყოველ შემთხვევაში, ხვალ სიმთვრალეს გადავაბრალე და ეგრე ვანუგეშებ, თავი იდიოტად რო არ იგრძნოს, დილით როცა გამოფხიზლდება და გაიაზრებს, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაგეგმილ, ძაან მაგარ წვეულებაზე რო არ წავედით და სამაგიეროდ ვაკის სასაფლაოს ჭიშკარს მივადექით, ახალი წლის ღამეს.



ანდრო ბუაჩიძე

ალისა

მას აქეთ არაერთი და ორი წელი გავიდა...
ეს იყო ბერძენი ქალი ალისა, რომელიც ერთ ლიტერატურულ საღამოზე გავიცანი. მასსოვრობას მაშინდელ დამსწრეთაგან რამდენიმე ინტელექტუალის სახელიდა შემორჩა. იქ შექანებულებიც იყვნენ, უბოროტო, უწყინარი და ჩუმი გიჟები, რომლებიც უფრო იმ გარემოს შეხიზნულებს ჰგავდნენ, ვიდრე — ინტელექტუალებს. როგორც ყოველთვის, მაშინაც ვილაც ენთუზიასტი სურათებს გვიღებდა და ამ სურათებს შემორჩა მასსოვრობაში აღბეჭდილი გაცრეცილი სახეები, ქალებისაც და კაცებისაც. ეს ადამიანები იმ დროში რეალურად არსებობდნენ, მერე კი სადღაც გაქრნენ, თითქოს ამ ქალაქიდან გაიკრიფნენ, თუმცა არც ადრე ჰგავდნენ ამ ქალაქის მკვიდრებს — თვითონ ალისაც ასეთი იყო, მერე ხომ ისიც გაქრა. ასე ქრება ბევრი რამ ცხოვრებაში, შეიძლება იფიქრო, რომ ცხოვრება თანდათანობითი ქრობაა. ამავე დროს, ისიც უნდა იფიქრო, რომ ცხოვრებაში ერთგვარი დროის მონაკვეთები, მიკროუპოქებიც არსებობს, რომელთაც თავისი ჟღერადობა, შეფერილობა და სურნელიც კი აქვს, და მერე ყოველივე ეს ქრება, ვინაიდან მასსოვრობას არ შეუძლია ყოველივე ამის შენახვა, მასსოვრობა მხოლოდ ფაქტებს ინახავს.



სოსო მეშველიანი

ბედისწერა

წლების წინ კატალონიაში ასეთი საზარელი ფაქტი მოხდა (ეს იმას, ვინც ყველამ დაივიწყა):

ბავშვობაში გადაურჩაო ომსა და შიმშილს, ახალგაზრდობაში ტირანი დიქტატორის უსასტიკეს რეჟიმს და როცა მშვიდობამ და კეთილდღეობამ დაისადგურა — გარეულმა ღორებმა შეჭამეს, საკუთარი ზეთისხილის ბაღში, როცა ცოტა ხნით ჩასთვლიმა, ლამაზყვიანი წიგნით ხელში —

„მსოფლიო ვეგეტარიანული კულინარია“.

ასე უცხედროდ მიიცვალა ხასინტოპუგა. ან გზამოჭრილი, სამუდამოდ სიზმარში ჩარჩა.



იუნონა გურული

ნინომასნავლებელი

მალვიძარას დარეკვამდე გაელვიდა. ცალი თვალით გახედა ფანჯარას. უკვე თენდებოდა. თვლებზე შავი, ნაჭრის სათვალე ჩამოიფხატა და ძილის შებრუნება სცადა.

რამ გამაღვიდა ამ დილაუთენია. ისედაც რომელზე დამეძინა წუხელ. ნეტა თამარა როგორაა? დღესაც თუ არ გამოჩნდა, სახლში გავუვლი და ვინახულებ.

ვერაფრით დაიძინა, ლოგინიდან წამოიზღაზნა და აბაზანი-სკენ წავიდა. ცხელი შხაპის ქვეშ იდგა თვალდახუჭული და აკვირატებულ სიმღერას ლილინებდა. უცებ საშინელი აგრესიის მონოლა იგრძნო.

ნაძირალა. ნაბიჭვარი. მსუქანი ღორი.

VI-VII

ლადო კილასონია

შურისძიება

„დაგენევა ჩემი ცოდო!“
მიხეილ ჯავახიშვილი — „ორი შვილი“

ნუგზარას მანქანა შორიდანვე შენიშნა და გუნება ნაუხდა. ვეება წითელი ჯიპი ბლუილით მოუყვებოდა მწვანედ აფეთქებული ნიფლების ხეივანში შეჭრილ ოღრო-ჩოღრო, ხრეშიან გზას და მტვრის სქელ კვალს ტოვებდა. არადა, რა კარგად ისხდნენ ის და დიმიტრი წყაროს პირას, დიდი მუხის ქვეშ, ხის სკამზე და კრივზე ლაპარაკობდნენ. ირგვლივ ყველა ჭიდაობაზე გიჟდებოდა, მას და დიმიტრის კი კრივი უყვარდათ, მაგრამ ნუგზარას ჯიპი სწრაფად მობოლავდა გზაზე.

— სად წახვედი, კაცო? — ჩაესმა დიმიტრის ხმა.

— ჰა, რას ამბობდი? — გონება დაძაბა მამუკამ და მზერა გზიდან ისევ მეგობარზე გადმოიტანა.

— იმას რო, ფრეიზერი უფრო ხასიათიანი იყო, ვიდრე ალი, უტეხნიკო, მარა უფრო ხასიათიანი! და თურმე ამბობდა, ალის ეხლა რაცა სჭირს, ეგ მე დავმართეო!

— ჰოო, მანილაშიო... — დაიწყო, მაგრამ ამ დროს ნუგზარას ჯიპმა ჩაუარათ.

— ლომებს სიცოცხლე! — მხიარულად, თუმცა ოდნავ აგდებულად გამოსძახა საჭეს მიმჯდარმა ნუგზარას ბიჭმა, ხელის აწევით მისცა სალაში და მანქანა მდინარეზე გადებულ ხიდთან მიაყენა.

„როგორ მამამისის თვლები აქვს“ — გაიფიქრა მამუკამ და სალმის პასუხად ოდნავ ასწია ჯოხზე ჩამოდებული მარჯვენა ხელი.

მანქანიდან შორტებში და მაისურებში გამოსუბილი, საჭმელ-სასმელით გატენილი პარკებით დატვირთული ახალგაზრდების ჯგუფი გადმოვიდა. გოგოები ღიმილითა და თავის ოდნავი დაკვრით მიესალმნენ დიმიტრისა და მამუკას, ბიჭებმა ხმამაღალი სალაში მისცეს, შემდეგ გაიზმორნენ, გოგოებს მიუბრუნდნენ და მხიარული შეძახილები წამში მოედო ცყეში ჩამალულ სოფელს.

— აგე, ხიდს იქით გადადით, მალლა აუყევით ნაპირს, ტაძარი რო გამოჩნდება, მდინარის პირას მდელის ნახავთ, მანდ გაშალეთ სუფრა და მეც მოვალ! — გაღმა ნაპირზე ანიშნა ხელით ნუგზარას ბიჭმა თავის სტუმრებს და მანქანა გადაქოქა.

— შენ საით, სოსო? — გამოსძახეს იმათ.

VII



დასაწყისი პირველ გვერდზე

დაკეტილი დაგვხვდა. კედელს ცოტაზე ჩაუყვებით და სადაც დაბალი იყო, გადანგრეული, იქ გადავყვეთ და მარიამაც ჯერ ქუსლიანი ნახევარჩექმა გამარტყა კინალამ შუბლში, მერე შამპანურის ბოთლიც გადმომანოდა და თავდაცვით გადმოძვრა. სასაფლაოზე სიჩუმე იყო და კუნაპეტი ბნელი, მარტო სადაც შორს ბუფტავდა ნათურა და კიდევ რაღაც შრიალი და კვინა ისმოდა — სასაფლაოსთვის დამახასიათებელი ხმები. მე აქაურობის საერთოდ არ მემინოდა, მემინოდა კი არა, პირიქით — რაც თინეჯერობაში, საბურთალოს სასაფლაოზე მიძინა ძელსკამზე, მამაჩემის საფლავთან, მას შემდეგ მკვდრების საუფლოში უფრო მშვიდად და მყუდროდ ვგრძნობდი ხოლმე თავს ყოველთვის და, მოკლედ, ჩავკიდე ხელი მარიას და გავუყვებით ნელ-ნელა ბილიკს, თან მხიარული მელოდიის სტვენა წამოვიწყე, მარიას რომ არ შემინებოდა. მარიამ ისევ ჩექმები ამოიკრა და გამომყვა ქუსლების პაკაპუკით. ქარი არ ქროდა კიდევ კარგი, ისედაც მაგრად ყინავდა. მარიას მშობლებთან რამდენიმე ჭიქა არაყი გვქონდა ჩაკრული, მთვრალეები ვიყავით და ეგეც გვშველოდა, გვათბობდა. ვსეირნობდით ასე, როგორც რუსთაველის პროსპექტზე. ხანდახან გზა-ჯვარედინები გვხვდებოდა და ჩვენც ახლა სხვა ბილიკს შევუყვებოდით. ძველისძველი ზიპო-სანთებელა მქონდა, ნავთზე რომ მუშაობს, და დროდადრო მივანათებდი ხოლმე საფლავებს, წარწერებს ვკითხულობდით. მოშორებით მოჩანდა საბურთალოს გაბრდღვიალებული კორპუსები და შიგადაშიგ ტკაცატკუცის ხმაც მოისმოდა სუსტად: ალბათ, ახალი წლის დადგომამდე ბავშვები ამოწმებდნენ თავიანთ პეტარდებს. აგერ, ესაა, — თქვა უცებ მარიამ. ძველ, მოუვლელ საფლავთან გაგაჩხაკუნე სანთებელა, მართლა ის გამოდგა და ცოტა მენყინა, ამან რომ მიგანო და მე — ვერა. სანთელი უნდა წამოგველო, — მარიამ საფლავის ამოუშენებელ, დაბალ გალავანზე ჩამოჯდა. გავბრაზდი: — რაის სანთელი, გოგო, საიდან ვიცოდი, აქ რომ მოვიდოდი? — უნდა დავანთოთ რამე, — ჯიუტად თქვა მარიამ. მეც ზიპო ავანთე და საფლავის ქვის გვერდით დავდე. მერე ქურთუკი გავიხადე, მარიას მხრებზე მოვახურე და გვერდით მივუჯექი. — ჩამეხუტე, გაიყინები, — თქვა მარიამ.

დირექტორმა რომ კლასში შემოიყვანა, კამათელს ვაგორებდით ბიჭები მერხზე, ვყომარობდით, ფსონად კიდევ რუსთაველზე აკრეფილ ტყვიებს ჩავდიოდით. ყველა კალიბრს თავისი ეკვივალენტი გააჩნდა: წვრილი აკაესის ტყვიები ყველაზე იოლად მოსაპოვებელი ნადავლი იყო და ხურდის ამბავში გადიოდა — ეგრე მუჭა-მუჭა ვყრიდით ხოლმე მერხზე. იყო ცოტა უფრო სოლიდური ზომის, ტყვიამფრქვევის დიდი ჰილზე და ყველაზე მსხვილი ვალუტა — ბეტედის უზარმაზარი ტყვიები, რომელიც მთელ სკოლაში მართო რამდენიმე ბავშვს თუ მოეპოვებოდა. კლასში სულ ორი-სამი მერხი იდგა, გაკვეთილებიც უმეტესად არ ტარდებოდა. არც ცხრილი იყო, არც სკოლის ზარი და ასე — როცა მოგვრეკიანებოდა და სხვა საქმე არ გქონდა კაცს, მიხვიდოდი სკოლაში და რომც არ მისულიყავი, არსებობდა თავის გასამართლებელი მთავარი მიზეზი: — ისროდნენ, მასწ, და მორჩა — ნებისმიერი მასწავლებელი ჩაყლაპავდა ამას, თუ შემოგყვებოდა საერთოდ მასწავლებელი. უმეტეს დროს კლასი თითქმის ცარიელი იყო, ძირითადად იმუბნელი ბავშვები თუ დავდიოდით სკოლაში, ან აფხაზეთიდან დევნილები, მასწავლებლები კიდევ სამასწავლებლოში იყვნენ შეკეტილი და ჩაის უბერავდნენ შემოს ღუმელის გარშემო. იქვე, სკოლის უკან იყო ვიღაც სამხედრო ტიპის რეზიდენცია: ფანჯრიდან მოჩანდა ეზო, სადაც სამხედრო-ფორმირებული მოძრაობდნენ დილა-საღამოს, რომლებსაც ხანდახან სხვა სამხედრო-ფორმირებული მოძრაობდნენ ხოლმე და ატყვდებოდა ერთსაათიანი სროლა, ჩვენ კი, მოსწავლეები-მასწავლებლებიანად იატაკზე მოვირთხამდით ფეხს და ეგრე ვატარებდით გაკვეთილს, თუ რაც ერქვა. სკოლის წინაც, ერთ ჯიხურში უგემურ ლუდს და ფიცარივით ორცხობილას რომ შეიძენდი,

მეორე ჯიხურში გამყიდველის მაგივრად შეიძლება ავტომატიანი ჯელები შემოგყვოდნენ: პიკეტი-შმიკეტის ხალხი, თუ ვიღაც ეგეთები. სკოლის ფანჯრიდან ვხედავდი, მოწყენილობისგან ქურჩის ფირნიშებს რომ ესროდნენ კანტიკუნტად, ანდაც უცებ ტვინს წაიღებდა ხოლმე მანანალა ძაღლის შემზარავი ყმუილი, და სკოლიდან გამოსულებს ტროტუარზე დაგვხვდებოდა სისხლის ბილიკი — მოკვლის თავი რომ არ ჰქონდათ ამ ჩემის რობინ ჰუდებს... მოკლედ, ნაცვებლარები გზა-ჯვარედინებზე, ნატყვიარი და ბათქაშა-მოფშვნილი სახლები, დამწვარი საბურავის სუნი — ეს პოსტაპოკალიფტური ელფერის ქაოსი, ქვეყნის დრამა იგი უპირველესი, სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის, მეშვიდე-მერვე კლასელებისთვის სულაც არ გამოიყურებოდა ტრაგიკულად — სწორედ რომ პირიქით. ცამეტი წლის ბავშვი უკვე ზედმინევიანი კარგად ვერკვეოდი ხელყუმბარის და ავტომატის დამლა-ანყობაში, და სკოლის ზურგნათაში კალმისგან გაკეთებული, ქაღალდის ბურთულე-

ლუკა ბაქანიძე

ისროდნენ, მასწ.



ის სასროლი მიღის გარდა, რუსული წარმოების დინამიტის კოჭაც მომეპოვებოდა; სკოლის უკან, სამხედრო ჩინოვნიკის რეზიდენციაში რომ გაუტყვეველი ეროვნების ფორმირებები იდგნენ, დროდადრო ჩაღის ფასად, ან სულაც ერთ კოლოფი სიგარეტის თუ ბოთლი არაყის სანაცვლოდ მუჭობით გვირეგებდნენ ხოლმე ტყვიებს, სავარჯიშო ხელყუმბარას და სხვა წვრილ სამხედრო ინვენტარს, უფროსკლასელებს კი უფრო სერიოზული ცეცხლსასროლი იარაღებიცაა ამარაგებდნენ... გაკვეთილებზე ძირითადად პოლიტიკა და აქა-იქ მომხდარი მკვლელობა თუ ყაჩაღობა განიხილებოდა აქტიურად, ერთ გოგოს კიდევ ხახვივით შერჩა მეცხრეში გადასასვლელი ჩაუბარებელი გამოცდები, რადგან სახლიდან გამოსულს ზედ ცხვირნი ჩაუცხრილეს ვიღაც ცნობილი კლიენტის, პოლიტიკოსი თუ პოეტი სოლიკო ხაბიშვილი, და პედაგოგებმა დაასკვნეს, მის მიერ გადატანილი ფსიქოლოგიური სტრესი დროებით ყოველგვარ სწავლა-განათლებლას რომ გამორიცხავდა, არადა, მანამდე ხო ვერავინ ამჩნევდა, და ამ ამბის გამოისობით უცებ ყველაზე პოპულარული გოგო გახდა მთელ სკოლაში, თაყვანისმცემელი ჯეილებიც მოუმრავლდა და დადიოდა ეგრე გაბრწყინებული; სტრესი კი არა, დავიფიცები, გულში მადლობას ეუბნებოდა ღმერთს, კაცი რომ ჩააკვდა ხელში.

ხოდა, ამან რაღა უნდა მასწავლოს, იქით ვასწავლი-მეთქი — გავიფიქრე, დირექტორმა რომ შემოიყვანა კლასში. ბუსავით თუ უცხოპლანეტელივით დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა და მთელ სკოლაში მაგაზე დაბალი არაყინ მახსენდება ახლაც, არც მასწი და არც ბავშვი, თან ბეჭებშიც ხოშიანად იყო მოხრილი. ჩვენ თავიდან ერთი კი შევხედეთ და მერე საერთოდ აღარც ვიმჩნევდით. დირექტორი გავიდა თუ არა, თემურამ, ჩემმა კლასელმა, მრავალმნიშვნელოვანად ჩაილაპარაკა: — მასწავლებელს კლასში რა ესაქმება, მასწავლებელი ვიცი მე სამასწავლებლოში! ეს კიდევ უცებ განითქვამდა ბავშვივით, ამხელა, ჭაღარა კაცი, და ხმაც არ გაუღია პასუხად. მერეც სულ ეგრე იჯდა დაფასთან და

ლაპარაკობდა თავისთვის, გეგონება ასკაციანი აუდიტორია უსმენსო. არც ყურადღებას მოითხოვდა, არც დავალებებს გვაძლევდა, და კონკრეტულად რა საგანს ასწავლიდა, ახლაც, თხუთმეტი წლის შემდეგაც, კი არ ვარ გაგებაში. ვენეოდით არხენინად სიგარეტს, სკოლის წინ ნაყიდ უგემურ ლუდ „მატილს“ ვატრიალებდით წრეში და უბანში მომხდარ ამბებს ვარჩევდით. ზოგჯერ ვინმე მოწყენილი თუ ნაელციცივობდა უშნოდ, ან პასტისგან გაკეთებული მილით უჩუმრად ესროდა ქაღალდის ბურთულას — ძირითადად, თემურას ევასებოდა ეგეთი კრეტინობები, დერესკობდა მოკლედ; ეს კიდევ, არც სამასწავლებლოში უჯდა ღუმელს, ხელში ჩაის ჭიქით, სხვა მასწავლებლებივით... მოკლედ, თავისუფლად დაიგინებოდი კაცი — რომც არ მისულიყავი საერთოდ სკოლაში, საერთოდ რომ არავინ მისულიყო და გაქანებულ ზომბი-აპოკალიფსი ყოფილიყო ქურჩეში — რომ ანდრო მასწი იჯდა გაყინულ კლასში და ატარებდა გაკვეთილს, გეგონება, რაღაც მოუპორებელი წყევლა აქვსო

თუ ტიკი. ორი კლასი რომ შეგვეერთეს და შევიდოდე ბავშვი მოვგროვდით როგორც, მერე კი გაუჩნდა ერთი მსმენელი — დაუჯდებოდა ხოლმე ცხვირნი მარიამ, ხელისგულზე ნიკაპს ჩამოაყრდნობდა და უსმენდა, შიგადაშიგ კი რვეულშიც ჯღაპნიდა რაღაცას... მდღეობიდან რატომღაც ძირითადად აფხაზეთიდან დევნილები დადიოდნენ ყოველდღე და გაუცდენლად.

ვიჯექი საფლავის გალავანზე, ნაძვს მიყრდნობილი და საკუთარ, შამპანურის-სუნთან თბილ ანაორთქლს ვყნოსავდი მარიას მანტოს საყვლოზე. ასე, გაუნძრევლად რომ ვიჯექი, სულ არ მცოცოდა, ოდნავ ტრაკი მეყინებოდა მარტო, მაგრამ გავინძრეოდი თუ არა, ნამში ვითოშებოდი და მარიასაც შეაჟრიალებდა ხოლმე. შამპანურს ვსვამდით ბოთლიდან რიგრიგობით, და ვგრძნობდი, როგორ ჩადიოდა სითბო კუჭში, და მერე ტალღებდა ედებოდა მთელ სხეულს. საბურთალოს კორპუსებიდან თანდათან ხშირდებოდა სროლა, თითქოს მანათობელი — „ტრასირი“ ტყვიების ბილიკებსაც ვარჩევდი ვარსკვლავებიან ცაზე, საიდანაც დენთის სუნიც მცემდა და ზურგით მოყრდნობილ მარიას მაგრად ვიხუტებდი გულში.

— ისროდნენ, მასწ, — თქვა უცებ მარიამ.

ნასვამები იყვნენ, ან კაიფში, კარი რომ შემოგლიჯეს და ერთი, ალბათ, უფროსი ვინც იყო, შემოვიდა პირდაპირ, მიადგა ფანჯარას, გახედა სამხედრო ჩინოვნიკის რეზიდენციას და ბინოვნი გააძრო. დანარჩენებიც შემოლაგდნენ და რომელიღაცამ ავტომატი მოიხსნა და ანდროს წინ დადო, ზედ მერხზე. თვითონ იყო ავტომატისხელა და ეტყობა ემძიმა, დაიღალა. — სათვალთვალო პუნქტია, სუპერი! — ჩაილაპარაკა უფროსმა. დანარჩენებიც მიუახლოვდნენ ფანჯარებს. ერთმა ფანჯარაზე აკრული მუყაო ჩამოგდო: — ხელს შეგვიშლის ესა. თითქოს არც მასწავლებელი, არც ბავშვები ვყოფილიყავით კლასში, ასე, ნაგლად. თემურამ ჩახველა და გაუბედავად ეუბნება, თან ცდილობს, ხმაში რიხი

გაუროს, მაგრამ ემინია და არ გამოსდის. ბაყაყივით ყიყინებს: — ეგრე სიჩუმე მოვა და გავიყინებთ... უფროსი ფორმირებული და დაშტერდა: — შენხელა შეილიშვილი მყავს, შე ლანირაკო, და ფეწთან კი არ ზის ვირთხასავით, ავტომატი უჭირავს და სამშობლოს იცავს, რომ უზრდელობა აქა! თემურამ თავი ჩაღუნა და მოიკუნტა. — აქ თუ ვინმე უზრდელობს, უზრდელობთ სწორედ თქვენ! — უცებ თქვა მარიამ, ეგრე, შარლოტა ბრონტეს ქინძი პერსონაჟივით. უფროსმა ახედ-დახედა და ახვივინდა ცხენივით. დანარჩენებიც აყვინენ, ერთი კიდევ, აქამდე სკამზე, მერხთან რომ მიმჯდარიყო მოსწავლესავით და საგარაუდოდ, გაგუდულ კაიფში იყო — ბევრი მენახა ამ დღეში და არ შემეშლებოდა ეგა ასი წელი — ძან მურტალი თვალთ მიაშტერდა მარიას ტრაკზე და სისხლმაც ამასხა თავში... არადა, არ მომწონდა მაშინ მარიამ, მარტო იმას ვფიქრობდი ხოლმე ხანდახან, ნეტა სოხუმში რა და როგორ, რა მოუვიდა, რა დაენგრა და ეგრე, სხვა მხრივ სულ არ მაინტერესებდა, მაგრამ ახლა რატომღაც პულსი გამიხდა წუთში ორასი. ამ დროს ანდრო მასწი ამბობს ძალიან ჩუმად: — თუ შეიძლება, დატოვეთ კლასი, გაკვეთილს ვატარებ, თქვენს პუნქტებზე კიდევ მოვლაპარაკეთ სკოლის დირექტორს! — სახეზე თეთრია მიტკალივით და თვალბეჭდის იხეთი აქვს, გეგონება, გაქცევა უნდა და ვერ გარბის, ზურგსუკან უდგას და არ უშვებსო თითქოს ვიღაც. ფორმირებული გაშტერდნენ. მერე ზედ მიადგნენ ანდრო მასწს სუყველა და დაჰყურებენ ეგრე ზემოდან. უცებ უფროსმა გაუშალა და სილა წყვიტა, მეორე ფორმირებული კბილებში ცრის: — მამაჩემის ხნისა არ იყო, ჩავიტარებდი ახლა გაკვეთილს, შე დამპალი ზვიადისტო! ანდრომ თავი ასწია, შემოიღობდა თვალები მოავლო ყველას და გავიგე, ხმის კანკალით, ჩუმად როგორ თქვა, ზუსტად ასე: — მოგ...ანთ გაგება. მოგ...ანთ დედეები. გაკვეთილს ვატარებ და გაეთრეო ჩემი კლასიდან! ჩვენ, ბავშვები, ერთ ადგილს დავეყინეთ და ფორმირებებიც დაიბნენ. მერე კი ისა, ზვიადისტო, ანდროს რომ უთხრა, ნელ-ნელა მივიდა მაგიდასთან, ავტომატი აიღო და გადატენა. უფროსმა გააჩხაკა: — შეეშვი, გიჟია ხო ხედავ ვიღაცა... მერე ჩვენ შემოგვხედა და გაეცინა: — ამან რა უნდა გასწავლოთ, ბავშვები? ჩვენც ვდგავართ ეგრე ატუხულები, ცამეტი წლისანი, დამფრთხალები და მესმის, მარია ეუბნება: — აბა, თქვენ უნდა გვასწავლოთ ხომ? თქვე ნაბიჭრებო. თქვე ნაბიჭრებო. ჩამოვარდა სიჩუმე და ვამჩნევ, სკამის ზურგს ისე ვარ ხელებით ჩაბლაუჭებული, თითები მტკივა. ბოლოს ხმა ამოიღო უფროსმა და მარიას ეკითხება: — ვისი ხარ გოგო შენ, საიდან ხარ? — სოხუმელი ვარ მე! — რიხიანად და საყვარლად მოახსენა მარიამ. ფორმირებები შემეშუმნენ და გაჩუმდნენ. უცებ უფროსმა ბავშვივით მოინაცვლა ფეხი, მარიას თვალი აარიდა და მოჭრით თქვა: — ნავედით, ბიჭებო, სხვა ადგილი ვნახოთ! და უხმოდ გაიკრიფა ყველა, არყის სუნი დატოვეს მარტო კლასში.

და მერე ორი წელი ანდრო მასწი გვასწავლიდა ბავშვებს ყველაფერს, ყველა მასწავლებლის სასწავლებელს, ჩვენ კი ვუსხედით გარშემო იატაკზე ფეხმორთხმულეები: ძირს, იატაკზე, ზაფხულში გრილოდა კლასში და ზამთრობით კი ფანჯრიდან შემოპარული სიცივე ისე ძალიან არ გვანუხებდა — ვისხედით, ვუსმენდით მის წყნარ ხმას და ვიზრდებოდით, სანამ ერთ საღამოს, ძალღს რომ ასეირნებდა, ისევე უაზროდ არ მოკვდა, როგორც უაზროდ იყო დრო; იყო ქვეყანა. ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ახალი წლის ღამეს.

დადგა თორმეტი საათი და ატყდა სროლა, ფეთქება. ვისხედით მე და მარიამ ანდრო მასწავლებლის საფლავთან და ვუყურებდით ცამი ფეიერვერკებს. იყო მშვიდობა და ტკაცატკუცით ფეთქდებოდნენ უწყინარი პეტარდები, მაგრამ მე ავტომატის მანათობელი ტყვიებით დასერილ ცას ვხედავდი და კვლავ შევიგრძნობდი ბნელ, გაყინულ და დენთის სუნით აყროლებულ, შეჩერებულ დროებას — ბავშვობას, რომელსაც აცარიელებდნენ სახელოვანი ხაკი-ფეიერვერკებიანები და ჩუმი, უსახელო გმირები ავტარებდნენ... ჩვენს, ჩემი და მარიამს ბავშვობას ვისხენებდი, როდესაც ერთადერთი უტყუარი მიზეზი გვქონდა სკოლის გასაცდენად: — ისროდნენ, მასწ.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ხდებოდა. იმხანად ერთ უწყინარ და უხმაურო რედაქციაში ვმუშაობდი იქვე, ლერმონტოვის ქუჩაზე, სადაც უფროსი თაობის მწერლები იყრიდნენ თავს. თავშეყრა უმეტესად მიმდებარე ქუჩის იაფფასიან სასაუზმეში გრძელდებოდა. ღვინოს ვსვამდით, ყველაზე ხშირად ტანინით გაყვლილი „ტიბაანს“, და გასული დღის შთაბეჭდილებებს ვივსებდით.

წავიდა ის დრო და ბევრი რამ წაიყოლია. სალამობით რედაქციის ოთახები ცარიელდებოდა და იქ ჩამავალი მზის შუქი ნებოდა. დარაჯი შემოვივლიდა სართულებს, ოთახებს სინჯავდა და მერე უბრუნდებოდა თავის ჯიბურს. ეს სამსახურების დამთავრებისა და დაცარიელების დრო იყო. დღის ბოლოს შემოდგომაზე ან გაზაფხულზე წვიმის თქეში მოვარდებოდა და ქვაფენილებზე ფოთლებს ჩამოყრიდა, ან მაღალი ხის მერქანს შენებებულ შავ მტვერს ჩამორეცხავდა. სოლოლაკის ქუჩების ფართო ფანჯრებში ნაწვიმარი შეღამების უღიმღამო ცახცახი ირეკლებოდა, დარდი მერეოდა და ძალაუფლებურად სადღაც მიმინევდა გული, შინ არ მინდოდა წასვლა. ერთ ასეთ საღამოს გავიცანი ალისა. ესეც სოლოლაკში მოხდა.

დროის ამ მონაკვეთს ჩემს ცხოვრებაში შეუმჩნეველი სიჩუმე ახლდა და ჩუმი იყო ალისაც. სოლოლაკში ჩემზე გამორჩეულ შთაბეჭდილებას ინტერიერი ახდენდა და ნებსით თუ უნებლიეთ მასთან ვაკავშირებდი ადამიანებსაც. სოლოლაკის ინტერიერები — სადარბაზოები, სარდაფები, ბინები, მანსარდები — უამრავ კუთხე-კუნჭულს მოიცავდა. ეს მრავალ ნაწნავად დატეხილი სივრცე იყო, რომელსაც თავისი შიდა დანაყოფები ჰქონდა. ამ სივრცის ყოველი მონაკვეთი თავისებურ განწყობას აღძრავდა და შუქ-ჩრდილთა ვიტრაჟს ან კოლაჟს ქმნიდა. ალისა ამ ინტერიერის ნაწილად აღიქმებოდა. ის თითქოს თავისი ნატიფი აღნაგობითაც თავსდებოდა ამ ინტერიერში. ალისა დუმილს ამჯობინებდა და, როცა ლაპარაკობდა, ხშირად წვიმდა კიდევ, ღია ფანჯრიდან აკაცის ფოთლების სუნი შემოდოდა და ესეც მისი საუბრის ატმოსფეროს ქმნიდა. დღეს რომ ვისხენებ მის ლაპარაკს, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ის სიტყვებს კი არ წარმოთქვამდა — იერით, გამომეტყველებით, ხმის ტემპრით, ინტერიერთან შერწყმული შუქ-ჩრდილებით ამბობდა სათქმელს. მას თითქოს თავიდანვე ჰქონდა ნავარაუდები მსწრაფლწარმავლობის ჯადო, რომელიც ბევრ რამეს შლიდა და სამომავლოდ რაღაცას მაინც ტოვებდა. და დარჩა მასსოფრობაში მისი სახე, ჩამქრალი სახე. ამ სახეს სოლოლაკის ოთახის ბინდში ოდნავი ფითრისფერი გადაჰკრავდა. გაცნობის დღიდან მისი მხოლოდ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: „ვოტრენი... ბალზაკის, და არა მხოლოდ ბალზაკის, პერსონაჟებიდან ვოტრენი შთაბეჭქდა ყველაზე მძაფრად“. ეს უბრალო და უაპელიო ალიარება იმ-იტომაც შემორჩა ჩემს მახსოვრობას, რომ თვითონ ალისას ჰგავდა. მას რაღაც ასეთი უნდა ეთქვა — მაშინდელ რეალობას მონყვეტილი და ძველ, კლასიკურ დროში გადასროლილი ფრაზა. თანაც ვოტრენი პარიზის პანსიონში ცხოვრობდა გახუნებულ და დაუფინყარ მამა გორიოსთან ერთად, პანსიონი კი სოლოლაკის იმ ძველადნაშენ სახლად წარმოედგინა, სადაც ალისა გავიცანი.

ალისა მაღალი და ნატიფი აღნაგობის ქალი იყო. ასეთი ქალები გამჭვირვალე ფარდას ჰგვანან, თითქოს გამუდმებით ირხვიან, არსებობენ და არც არსებობენ. ალისას თითქოს ირვლივ რაღაც გარსი ეკრა, ძალიან თხელი, უხილავი ტიხარი, რომლის მეშვეობითაც ყოველივე საგნობრივს და რეალურს ემიჯნებოდა. ამიტომ მისი ნათქვამი თითქმის არაფერს ნიშნავდა, როგორც უკვე ვთქვი, მისივე გამომეტყველება უფრო მეტს გეუბნებოდა, ვიდრე ლაპარაკი.

ალისა სოლოლაკის ერთ მივარდნილ კუთხეში ცხოვრობდა. სოლოლაკშივე იყო რედაქცია, სადაც ვმუშაობდი. ამავე უბანში დავიბადე და გავიზარდე და, ჩემს წარმოდგენაში სამყარო იქაური სადარბაზოების ეგზოტიკასთან ერთად შემოიჭრა. ძალიან კარგად ვიცოდი არა მარტო ძველი უბნის ყოველი კუთხე-კუნჭული, ვთქვათ, ჩიხები და გასასვლელები, არამედ ქვაფენილის ბზარებშიც კი მქონდა ალბეჭდილი მახსოვრობა. ამ ქვაფენილის ბზარებში სალამო ჟონავდა, სალამო რომ გადავიდოდა, მერე მათ ღამის სინათლის

ჩამქრალი პირბადე ეფინებოდა.

ჯერ კიდევ მონაფეობის წლებში, როცა სოლოლაკიდან გადავსახლდი, რაღაც უცნაური ძალა ისევ უკანვე მიბძვებდა. მე შევედიოდი ფართო, იდუმალებით მოცულ სადარბაზოებში და ვდუმდი. იქ ნელა გროვდებოდა ბინდი და იგრძნობოდა უკვე გარდასული დროის მაჯისცემა.

ერთ ასეთ სადარბაზოში ცხოვრობდა ალისაც. მე იქ წამიერად ვჩერდებოდი და მთელი არსებით შევიგრძნობდი შესაღამოვებული გარემოს რხევას, ბინებიდან გამოვლენულ ხმებს, გარედან ნაუცბათევედ შემოვარდნილ ბგერებს, მერე კი ავდიოდი ალისასთან და ვაკაკუნებდი კარზე. უბრალო იყო ბინა, უბრალოდ ეცვა ალისას, ეს მხოლოდ უბრალოება არ იყო, ყოველივეს თითქოს რაღაც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა — ის, რაც უკვე ვთქვი — ყველაფრის მიღმა ყოფნა, განკერძოებულობა. ალისა რუსულადაც ლაპარაკობდა და ქართულადაც. მისი ქართული მეტყველება თითქოს საიდანლაც შორიდან აღწევდა, მის ბაგეზე იმსხვრეოდა და დაუდევრად იფანტებოდა.

მერე ინვა თვალმონკურული და თავ-გადაწეული ჭერის ბზარს აჰყურებდა. ეს ბზარი კუთხიდან ტეხილი ხაზებით კვეთდა მთელ ჭერს. მთელი ბინა ბზარებისაგან შედგებოდა და ამ ბზარებში სალამო ჟონავდა, მე კი გვერდით ვინეკი და ვგრძნობდი მის სუნთქვას, მის რხევას და ირონიულად ვფიქრობდი ჩემს თავზე: „ვოტრენი, თავქარიანი ყაჩაღი ვოტრენი“. მერე წამომდგარი, ფანჯრიდან გავეყურებდი სალამოს ქალაქს და ვხედავდი, როგორ იპყრობდა შებინდებულ სივრცეს სინათლეები. ალისა კი ინვა, ძალიან დიდხანს ინვა, მზერა ფანჯრისკენ გადაჰქონდა, თითქოს ოთხკედელში ვინრო გასასვლელს ეძებდა.

და მე ვფიქრობდი იმაზე, თუ სოლოლაკში ფარდასავით ჩამოშვებული სალამო ტეხილი ხაზების, თალხი ჩრდილოვანი ფორმების, სინათლის მოძრავი წერტილების რა სიმრავლეს ქმნიდა. სალამო სოლოლაკის ინტერიერებში — სადარბაზოებში და ბინებში — ქმნიდა ისეთ გრაფიკას, რომლის წარმოდგენაც ძნელი იყო. მე მაგონდებოდა ამაღლების ქუჩა,



ანდრო ბუაჩიძე

ალისა

მე მომწონდა მისი ქართული და ვთხოვდი, კიდევ ელაპარაკა. იმ ერთი პოეტისა არ იყო, ილაპარაკეთ, მხოლოდ ქართულად, მხოლოდ ქართულად ილაპარაკეთო, რომ სთხოვდა სასაფლაოზე მყოფ ბანოვანს.

— რაზე ვილაპარაკო? — მეკითხებოდა ალისა ქართულად.

— რაზედაც გინდა, ოღონდ ილაპარაკე, — ვპასუხობდი მე.

ალისას ბინა სოლოლაკისთვის უჩვეულოდ მაღალი იყო. ამ მომაღლო სახლის ფანჯრიდან უბნის ფართო სივრცე, კლაკნილი, ჩახვეული ქუჩები და წითელი სახურავები მოჩანდა. ეს ხედიც ისეთივე უჩვეულო იყო, როგორც თვითონ ალისა: შეცბუნებული ვიყურებოდი და თბილისში არ მეგონა თავი. თითქოს სხვაგან ვიყავი, სხვა ქალაქში, უცხო ქალთან, უცხო ბინაში და ეს სიუცხოვე მიმზიდველიც იყო და შემაცბუნებელიც. ალისასთან უკიდურესი სიახლოვეც კი არ იყო სიახლოვე. ყავას ვსვამდით და მიკითხავდა თავის დაწერილ ლექსებს და აქაც განკერძოებული იყო; ზოგადად პოეზიის მიღმა იდგა. მისი ვრცელი ლექსები ამბავს გადმოსცემდა. ეს ამბავი ეხებოდა ქალს, რომელმაც ცხვოვრების მიღმა ჩაიარა, მიაბჯვებდა, მიდოდა და საბოლოოდ ყოფნის საზღვრებს სცილდებოდა.

ალისასთან ყოფნა რიტუალური იყო, ლექსების კითხვის რიტუალი რომ გასრულდებოდა, სხვა რიტუალის დრო დგებოდა. ამ რიტუალური მონაცვლეობის თაღარებს ის ხალისიანი გულმოდგინებით ასრულებდა.

— ახლა სხვა საქმეს ვწინოთ, — იტყოდა გულუბრყვილო ეშმაკობით და ჩაიღიმებდა.

— მაინც რას გულისხმობ? — ვეკითხებოდი ყასიდად.

ბავშვობა და შემყუდროებული სკვერი, სადაც გრძელი სკამი და გვერდზე წახრილი ხეები ისე იდგა, როგორც დეკორაცია. ამ ბაღში არავინ მინახავს შესული და სკამზე ჩამომჯდარი. ძალიან იშვიათად ბავშვები თამაშობდნენ, ჩვეულებრივ კი იქაურობას არავინ ეკარებოდა, რადგან ეშინოდათ — ხმა იყო გავარდნილი, ვითომდაც სკვერში საეჭვო პირები იყრიდნენ თავს. სოლოლაკის ეს სკვერი თავისი უკაცრიელი ნაღველით ჩემს ბავშვობას მაგონებდა. ამ ბაღსაც სოლოლაკური ქარიზმა ახლდა, რომელსაც მერე უნებლიეთ ალისაც შეუერთდა. მე თითქმის ყოველდღე დავდიოდი ალისასთან, თუმცა იყო დღეები, როცა სხვა ტალღა წამილდებოდა.

დრო იწურებოდა, დღე გადიოდა და ვტოვებდი რედაქციის კედლებს. ვეთხოვებოდი დარაჯს და ლესელიძის ქუჩაზე თავქვე ვეშვებოდი, სალამო აფენდა გრძელ ჩრდილს და წვიმის შემდეგ თავდალმართულ მეღვრიე წყლები მიედინებოდა. რედაქციაში თავშეყრილი ასაკოვანი მწერლები სხვადასხვა მხარეს დღისითვე ეშვებოდნენ და სხვადასხვა ადგილას განაგრძობდნენ ყოფნას. სალამოს მე მათს კვალს ვადეკი, მათ მივეყვებოდი ფეხდაფეხ. ნაწილი ორბელიანის მოედანზე ჩადიოდა, სადაც რამდენიმე ძველი და მყუდრო სარდაფი იყო, სხვები ლესელიძის ქუჩაზე ეშვებოდნენ. აქ ერთი მუდმივი შეხვედრის ადგილი გვექონდა და იქ ყველა შინაურულად გრძნობდა თავს. რედაქციიდან გამოსული, მეც აქვე მივემართებოდი. შემოდგომა იყო ან გაზაფხული, რა თქმა უნდა, წვიმდა და დროულ თავშესაფარს ვეძებდი. სასადილოს არცთუ ფართო დარბაზში სიგარეტის კვამლი ბოლქვებად იდგა

და ყურთასმენას ყაყანი ახშობდა. შევიდოდი თუ არა, ნაცნობი დამხვდებოდა შამანათვე მომკრავდნენ თვალს და დაჟინებით მიხმობდნენ რომელიმე კუთხეში მიჭექქვილ მაგიდასთან. მერე მოყაყანე ოთახი თანდათან ქრებოდა და საერთო ყაყანს ჩემი ხმა და სიგარეტის კვამლიც უერთდებოდა. რაზე ვსაუბრობდით, აღარ მახსოვს და ვერც ვერავის ვკითხავ, რადგან უფროსი ასაკის იმ მწერალთაგან აღარავინ მეგულებს ქალაქში, ქვეყანაზე და არც სხვაგან სადმე. იმ დარბაზში ოთხი იყვნენ, ერთი მათგანი სტამბის მუშაკი იყო და ილლიაში მუდამ ქალაღების დაგორგლილი დესტა ჰქონდა ამოჩრილი. მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, რადგან ყველას ნაწერს პატრონობდა. ვისხედით და ვსვამდით, ვსვამდით დიდხანს, გვიანობამდე. მერე მივდიოდი სახლში, გარეუბანში, სიგარეტის ბოლით და ღვინით გაყვლილი, ავდიოდი გაცვეთილ კიბეზე ყრუ სადარბაზოში და ამით მთავრდებოდა ეს უსაშველოდ გაჭიანურებული დღე.

მას აქვე ბევრმა წყალმა ჩაიარა.

მე და ალისა ხშირად სოლოლაკის ქუჩებში ვსეირნობდით, ვეძებდით ყველაზე უკაცრიელ, უცნობ, ყველაზე ვინრო ჩიხებს და გასასვლელებს. შევედიოდი ეზოებში, რომელთაც უცნაური გარშემოწერილობა ჰქონდა. სახლებს შორის ჩანერილ სივრცეში ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ექსტერიერი იქმნებოდა. ამ მოზაიკურ წყობას ყველაფერი ქმნიდა: სინათლის ხარისხი, ჩრდილების განფენა, ეზოსშიდა ფანჯრების განლაგება, დახეთქილი ქვაფენილი, ტალავრები და კედლებზე მიშვებული სურთები. ზოგიერთი ეზოს კუთხეში ჩაჭედოდი ფანჯარაში მოახლოებული სალამო და ცის ნაგლეჯი ირეკლებოდა და ეს ანარეკლი ბადებდა შთაბეჭდილებას, რომ ამ ეზოსეული უკიდურესი ყოფითი სიმჭიდროვის მიუხედავად, აქაც არსებობს მუდმივობა და მარადისობა, რომელმაც ბინდმოვრეულ კუთხეშიც კი ჩამოაღწია.

ალისა ყოველივე ამას ხედავდა და გრძნობდა. მისი ბინის ინტერიერში სალამო ჭერის კუთხეში მიბჯენილი ბზარიდან იწყებოდა, მთელ ჭერს გადაივლიდა და ოთახის კედლებზე წებოდა. ალისა გაუნძრევლად იჯდა სავარძელში და თანდათან მწუხრში იძირებოდა. მწუხრშივე ქრებოდა დაბალ მაგიდაზე მდგარი უბრალო ლარნაკი.

მე და ალისა ამაღლების ქუჩის კიდესაც ვენვეოდით ხოლმე. როგორც უკვე ვთქვი, აქ ჩემი ბავშვობისდროინდელი შემყუდროებული სკვერი იყო, სადაც გრძელი სკამი და წახრილი ხეები ისე იდგა, როგორც მიზანსცენა, როგორც დეკორაცია. ამ ბაღში არავინ მინახავს შესული ანდა სკამზე ჩამომჯდარი. იქაურობა თავისი ნაღველით ჩემს შორეულ ბავშვობას მაგონებდა. იქვე, სულ ახლოს იყო რესტორანი „სამადლო“, რომლითაც მთავრდებოდა ამაღლების ქუჩა. რესტორნიდან გამოსული მთვრალეები ამ სკვერში საქმეებს არჩევდნენ და ამიტომ ერიდებოდა ხალხი იქაურობას. „სამადლოდან“ მთელი ღამე მოედინებოდნენ ნასვამი კაცები და უკვე შუალამისას საძინებელში გამოღვიძებულ ბავშვს მესმოდა მათი სიმღერა, მერე ვიძინებდი, ვიღვიძებდი და ისევ იგივე ხმები სწვდებოდა ჩემს ყურთასმენას...

ალისას სოლოლაკის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე პაემანსაც ვუნიშნავდი. მე და ალისა სადარბაზოებში შევედიოდი და სიჩუმეს ვისმენდით. სადარბაზოში სხვანაირი სიჩუმე სუფევდა, ყველა სხვა სიჩუმისგან განსხვავებული. აქ რაღაც უცნაური ინტიმი ისაღვებოდა, გარედან მანქანების და ადამიანების ხმები აღწევდა, აღწევდა ჩიტების ფლურტულიც, მაგრამ ეს თითქოს სხვა სამყარო იყო, ყველას და ყველაფერს განრიდებული. მე ვკოცნიდი ალისას, კოცნა იყო უხმო, ხანგრძლივი და ვხედავდი კარიდან შემოჭრილ დღის სინათლეს, რომელიც მთელ სადარბაზოს ეფინებოდა, შავ-თეთრი ფილტვით მოკირწყლულ იატაკზე იღვრებოდა და მერე სადღაც სიღრმეში ქრებოდა. სხვა სადარბაზოშიც ასეთივე განრიდების გრძნობა მეუფლებოდა, მხოლოდ იქ სხვანაირი ვიტრაჟი იყო, ან შუქ-ჩრდილი სხვა მხარეს წებოდა. ჩვენ ერთად ვგრძნობდით ამ განრიდებას და მერე ერთადვე ვტოვებდით ადგილს, რომელსაც აღარასდროს დავუბრუნდებოდი.



სოსო მეშველიანი

ანდრო ბუაჩიძე

ა ლ ის ა

დასასრული

ამასობაში მქრქალი ბურუსი ერეოდა ქუჩას და ფანჯრებში გამჭვირვალე ფარდებს მიღმა ბროლის ჭალები ინთებოდა. უხმოდ ვეთხოვებოდი ალისას და ისიც უხმოდ მიდიოდა თავისი სახლისკენ.

ახლაც თვალწინ მიდგას ეს ყველაფრისგან განკერძოებული, სიმშვიდით გარემოცული ჩემზე უფროსი ქალი — ის დგას შუა ოთახში, ქუჩაში ან ცარიელ სადარბაზოში და მე მიყურებს, მიყურებს არც გამომცდელი, არც ეჭვიანი და არც მკაცრი მხერით; უბრალოდ, მიყურებს. მიყურებს და მორჩა. შეიძლება მისი მხერა განურჩეველიც არის, მაგრამ არა, რაღაცას ფიქრობს, ფიქრობს, რომ ჩვენი ურთიერთობა მირაჟია და მალე გაქრება. მე ვგრძნობ ამას და სადღაც ღრმად, ჩემი არსების შიგნით ვეთანხმები კიდევ.

თვალწინ მიდგას მაღალი, გამხდარი, ნატიფი აღნაგობის ალისა, ის შემობრუნდება და უკანმოუხედავად მიდის. საღამოა. ყოველ საღამოს ასე ვეთხოვებით ერთმანეთს და ეს გამოთხოვება თითქოს სამუდამოა.

სამსახურების დამთავრების და დაცარიელების დროა, ყველა შენობაში ერთი და იგივე ხდება: დარაჯი შემოივლის სართულებს, ოთახებს სინჯავს და მერე უბრუნდება თავის ჯიხურს. მერე წვიმს და სოლოლაკის მაღალ ფანჯრებში მღვრიე ამინდი ირეკლება. ფართო ფოთლები დაუნდობლად იყრება ქვაფენილზე...

დანარჩენი კი უკვე მოკლე სიზმარ-ცხადივით მახსენდება.

რამდენიმე დღეა აღარ მინახავს ალისა. თავქვე ვეშვები ლესელიძის ქუჩაზე, წვიმის შემდეგ ნაწვიმარზე შავი წყლები მიედინება. მე მივეშვები ჩემი უფროსი მეგობრების სანახავად. ისინი ალბათ რომელიმე ყველასაგან დაეინყებულ, უფერულ და უდიდებულ სასაუბროში სხედან და უკვე ათასჯერ ნათქვამს, ვინ იცის, მერამდენედ იმეორებენ, ჭიქებს ცლიან. შევალ სივარეტის ბულით და ყაყანი სავეს დარბაზში და შორეულ კუთხეში მიჭექყილ მაგიდასთან მსხდომი ამფსონები ალბათ ხელს დამიქნევენ და მიმხმობენ სატრაპეზოდ, მაგრამ, ვაი რომ, ასე არ არის. შევდივარ, დარბაზი კი ცარიელია, მაგიდები აყირავებული, ბათქაში ჩამოცვენილი. დარბაზში არავინ არის, ახალა ვატყობ, ქუჩაში თითო-ორი კაცი დადის და არც იმათ უკვიროს ეს არყოფნა. იქნებ ეს მართლა სიზმარია და მაშინ სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე რეალობაში. რას ნიშნავს ეს ჩამოფხეკილი კედლები, დაქცეული ჭერი, აყრილი იატაკი და აყირავებული მაგიდები? აქ ალბათ ოთახის გარემონტება გადაწყვიტეს და ამიტომაც აყარეს ყველაფერი. ასე ვფიქრობ, მაგრამ გული რაღაც სხვას მითქვამს. შინაგანი ხმა მკარნახობს იმას, რომ ეს ადამიანები წავიდნენ და აქ აღარასოდეს დაბრუნდებიან, არა მარტო ჩემი ნაცნობები, არამედ სხვებიც. დაიცალა ეს დარბაზი და ადამიანები წავიდნენ იქ, საიდანაც ძველ ადგილებში აღარ დაბრუნდებიან. შინაგანი ხმა მეუბნება იმასაც, რომ ალისაც სადღაც წავიდა და გაუჩინარდა. ალისა მთელი ჩვენი ურთიერთობის მანძილზე გრძნობდა, რომ ყოველივე ეს მირაჟივით გაქრებოდა. ალისასთან ურთიერთობისას ყოველთვის მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ რეალობის და არარეალობის ზღვარზე ვიმყოფებოდი, თვითონ ალსაც თითქოს იყო და ამასთანავე არც იყო, მაგრამ მჯერა, რომ იყო, ესე იგი, სად წავიდა, გაქრა?

ასე ქრება ბევრი რამ ცხოვრებაში, ამიტომაც შეიძლება იფიქრო, რომ ცხოვრება თანდათანობით ქრობაა.

ალისას სადარბაზოში შევდივარ, ვჩერდები და მთელი არსებით შევიგრძნობ შესაღამოვებული გარემოს რხევას, ბინებიდან გამოღწეულ ხმებს, გარედან ნაუცბათევად შემოვარდნილ ბგერებს, მერე კი ავდივარ ალისას სართულზე, სადაც კარი ღიაა, ბინა კი ცარიელი. მივდივარ ფანჯარასთან და ვიყურები ღია ფანჯრიდან. ქვემო სოლოლაკს ჩამავალი მზის შუქი ეცემა. შორს, ჭიშკართან დაბალ სკამზე მოხუცი კაცი ზის, მის სიახლოვეს ქალს პატარა ბავშვი მიჰყავს. ისინი ხელიხელჩაკიდებულები მიდიან ქუჩის გასწვრივ. ზემოდან წერტილებით ჩანან. აქედან გრძელი ქუჩები მოჩანს, სხვადასხვა მიმართულებით განფენილი ქუჩები. ყველგან წვება ნაგრძელებული ჩრდილი და ამ ჩრდილებით გარემოცული ადამიანები ძალიან ნელი ნაბიჯით მოძრაობენ. ვიყურები ალისას ბინის ფანჯრიდან და ვგრძნობ, რომ ცხოვრების დინება განურჩეველია ადამიანის ბედ-იღბლის მიმართ. მალე საღამო ნელა გადაიღვრება ღამეში. აინთება ქალაქის სინათლები, შორიდან ისევ მოაღწევს ქალაქის ხმები, მაგრამ ყოველივე ეს კვლავაც გულგრილი იქნება რომელიმე ერთი ადამიანის ბედისწერის მიმართ.

ახალა ჩამესმის ზურგსუკან ნაბიჯების ხმა. ვბრუნდები და ვხედავ ქალის ნაცნობ სახეს, რომელიც არაერთხელ მინახავს ამ სახლში. ეს ალისას მეზობელია. ის მატყობინებს, რომ ალისა სამუდამოდ წავიდა, წავიდა საბერძნეთში. მან ბინა დიდი ხნით ადრე გაყიდა და ახლა კი ყველასთვის მოულოდნელად და უხმაურად გაემგზავრა. „სამუდამოდ წავიდა“ — ეს სიტყვები რჩება ჩემს მახსოვრობაში და ვტოვებ კედლებს, რომლის შიგნითაც შემთხვევით მოვხვდი ჩემი ცხოვრების რომელიმე გზავჯარედინზე...

არარომატიკული ლექსი

დასვრილა დიდი ფრინველების ექსკრემენტებით, ხე, ძეგლი, აბრა, სკვერში მდგარი ვერ ხვდები, რა ყარს, გაჰყურებ სივრცეს, სხვა რა გზაა, ძალუმად უსმენ, ამ აქოთებულ ზღვის ფრინველთა წივნივს და ყავყავს და მაინც, რაღაც მშობლიური განცდებით გავსებს ქალაქი, სადაც შორეული ნაცნობიც არ გყავს.

სახლები შავი ფასადებით, პირქუში ქუჩა, პატარა პორტი, პორტთან თევზის ღია ბაზრობა, ეს ყველაფერი (თუნდაც ამ ზღვის ლივლივი ლურჯად) ხან შთაბეჭდვად გეჩვენება, ხან — უაზრობად.

და ყოველ დღით, ქაფიანი წყლით რომ რეცხავენ, ქუჩებს და დილაც გაზაფხულის ასე იწყება — თითქოს გაურბის თოლიების ყრანტალს მერცხალი, ხანაც გარშემო ყოველივე წვიმით ირწყვება.

შორით კი მწვანე ბორცვებიდან დამზერს მეცხვარე ზღვისპირა ქალაქს, იქვე მდგარი მუხის ჩეროდან, — „ამაოება ამათა!..“ დასძინა ბოლოს, რისიც აქამდე ხან სჯეროდა, ხან არ სჯეროდა.

არალეგალური საროსკიპო წინდა ფრანცისკან ქუჩაზე

ყველაზე ცხოველი ქუჩაა ეს ქუჩა. ვით ახლად დაცლილი ბაკი თუ საჩეხი, ჯერაც რომ სუნად ყარს ბოტების, ვაცების, შავ სახლებს, ბნელ ჩიხებს, დაღრეჯილ-დაჩეხილს, შორით გვერდს უვლიან ოჯახის კაცები, თითქოს ვერც ამჩნევენ — საოცრად მორჩილებს რატომღაც შიში აქეთ ამ მდებრი მტაცებლის.

ორი სიტყვა

ლია სტურუას

რა გემრიელი სიტყვაა „ამორებიტა“, იმეორებ და თითქოს თაფლის ფიჭას ლეჭავ, აბა, „გერნიკა“ მკვახე ვაშლივით გიქაფავს პირს. მიყურადებით — ორივეგან ერთნაირად ისმის ეკლესიის საათის წკარუნი, ყველას რომ ჭამის დროს ამცნობს, მე კი, ამაოების განცდას მიტოვებს.

ქალაქი. ქუჩა. შუქნიშანი. ფოსტა. მარკეტი. და ეს კაჭკაჭი, მარტოსული (კაჭკაჭი მე მგავს) ამ სისხამ დღით, ნაწვიმარზე, ჯერაც დაკეტილ ბართან, პლასტმასის მაგიდაზე, შავ თუთას კენკავს.

წვიმის ერთი წვეთი

როგორც იქნა, გადაილო, მე კი, ისევე, ნაწვიმარი ცაცხვის ქვეშ ვდგავარ, იქ, სადაც ინტერნეტი იჭერს და ფ.ბ.-ში ახლად დამატებული „მეგობრის“ წერილებს ვპასუხობ. აყვავებული ცაცხვის სურნელი მშველის — ამ მოსაწყენად სენტიმენტალურ და უთავბოლო ტექსტების კითხვაში, რასაც მინდა ღიმილის სმაილიკით ვუპასუხო, მაგრამ რატომღაც გულბების მთელი ფეიერვერკი იგზავნება, რასაც გრძელი, უხერხული პაუზა მოყვა, რომელიც დღემდე გრძელდება — ასე გამიმეტა წვიმის ერთმა წვეთმა.



კომპლა

ხალხურ კილოზე

კომბლებს ვთლი და ჭერში ვაწყობ,
კომბლებს ვთლი და ვაწყობ ჭერში.
კარგი დღე არ დაადგება,
მტრისა თუ ავილე გემი.
ლონე მერჩის, მკლავი მიჭრის,
გული ყელში მომბჯენია —
ის მაინც ხომ ვერ წამართვეს,
გული მაინც ხომ ჩემია!
ნეტა, რამდენ ჩემისთანას
უთენდება, ულამდება,
ნეტა, რამდენს მოსწყენია
მხარეთქოზე წოლა-გდება,
ჩემნაირად ახრჩობთ ბოლმა,
ჩემნაირად უდულთ სისხლი —
მტერზე თუ ვერ მოვიხმარე,
კომბალს სხვა რა თავში ვიხლი!
მაგრამ მტერი ფარისევლობს
და მოყვრობას მეფიცება,
ლამის სახლში შემომეჭრას,
თუ მივეცი ამის ნება.
— მე დიდი ვარ, შენ — პატარა,
უჩემოდ რა მოგელისო, —
ღმერთო, რად არ გაიცინებ,
აბა, რა მჭირს სამაგისო;
რატომ უნდა მიწნებდეს
თავის ადათს, თავის კანონს,
ჩემს მამულში უცხო მღელო
რატომ უნდა გაიტანოს!
ისე ძალად მაცხოვნობს,
ისე ჯიქურ მეტანება,
მართლა მოყვარეც რომ იყოს,
თვალს მაინც არ ეამება.
მტერია და მტერზედ მტერი,
ორპირი და ფლიდზედ ფლიდი,
ის ხეც აღარ შემარჩინა,
რომლისგანაც კომბალს ვთლიდი.
კომბლებს ვთლი და ვთლი,
მაინც ვთლი და ვთლი...

ისევ პირქვეჩამობილი წევხარ,
ისევ გიჭირს წამონევა თავის,
შინ დარაჯად მარტოობა გექცა,
ხოლო გარეთ ქარიშხალი ბლავის.
ელოდები მონატრებულ სიტყვას,
იმ ერთადერთ უბერებელ სიტყვას,
რომელსაც ხსნა შეუძლია შენი
და დაღმართი აღმართისკენ მიჰყავს.
სიცოცხლესთან შემრიგებელ სიტყვას ისევ ელი,
უსასრულოდ ელი,
მაგრამ ნუთხე ჩამოიმსხვრა ნუთი
და არსად ჩანს მხსნელი სიტყვის მთქმელი.
გარეთ ისევ ქარიშხალი ბლავის,
შინ დარაჯად მარტოობა გექცა,
„მინის ცქერით დაიღალა მთვარე“
თუ საერთოდ ნაიშალა ზეცა?!
უთავბოლო სიზმრებია მხოლოდ,
ეს ლექსიც ხომ ნასხლეტია სიზმრის —
ქვეყანა დარღიანი, უტყვი
და ქუდს ცაში აღარავინ ისვრის.
ქვეყანა საქმიანი, ცივი და საშენოდ გული აღარ უცემს,
იკინძება ამ ცხოვრების წიგნი,
შენ კი ჰგავხარ ამოხეულ ფურცელს.
ელოდები იმ ერთადერთ სიტყვას...

მზის ქალაქს ახლა ზამთარი არბევს,
თეთრი და შავი ფერია მხოლოდ,
სადარბაზოსთან ჩიფჩიფებს რუსი:
„Ну и житуха, голод и холод...“
თეთრ მდუმარებას ვერავინ არღვევს,
რაც გინდა, თქვი და ყველა მარტოა,
ორბელიანის სკვერში — ლოთები,
არაყი ახლა უღალატოა.
ზამთრის ბურუსი ფრთებით აზიდეს
და ზეცა ავად რომ მოიქუფრა,
სკვერში მოფრინდნენ მერე მტრედები —
მოინამცეცეს ლოთების სუფრა.
სუსხი, არაყი და მღვრიე ქუჩა,
ქარი შფოთავს და ფოთლებს აფეთებს,
მზერით ვაცილებ აცახცახებულ,
ძირს დანარცხებულ ყვითელ ნაფლეთებს.
ხელის კანკალით სვამენ ლოთები
და ეს არავის უკვირს სრულიად,
ჰო, ბევრ მარტოკაცს იცნობს თბილისი,
ბევრი ზამთარი გამოუვლია.

აბრაკადაბრა

ვფიქრობ სხვის ფიქრებს, ვამბობ სხვის სიტყვებს,
ვხედავ სხვის სიზმრებს, ვაღწევ სხვის მიზნებს.
(ისე, უბრალოდ, რითმისთვის დამცდა,
სინამდვილეში მიზნებიც გაცვდა)...



ნინო
სიხარულიძე

საკუთრივ ჩემი არაფერია, ზეცა მზის სხივით დანაფერია;
ამ სხივში წილი მიძევს თუ არა —
ეს ბედის წიგნი აღარ წერია.
ბოლოს და ბოლოს, უარმყო ჩრდილმაც,
ჩრდილის ჩრდილობა აღარ იკადრა,
არ მინატრია ყოფა ამგვარი და ვაი იმას, ვინაც ინატრა,
მაგრამ ფაქტია, ჯიუტი ფაქტი,
რომელსაც ვერსად დავემალე —
საოცარია, სამყაროს ვუმზერ ჩემი კი არა,
სხვისი თვალებით
და საგულეშიც სხვისი გული ძვერს, ხან გამალეებით,
ხანაც — ისე რა,
გონებამ სხვისი მოგონებები გაითავისა და შეიფერა.
გუგულის ბარტყებს ჰგვანან ლექსებიც
და სხვის ბუდეში უზრდებთ ფრთები,
გამიუცხოვდნენ, ზეცის ბილიკებს სად მიჰყვებიან,
ველარც კი ვხვდები.
გამქრალა ჩემი ნამდვილი სახე,
გამქრალა ჩემი ნამდვილი არსი,
ბედისწერასთან არ ჭრის ცრემლები,
სათნო ღიმილი და რვეერანსი.
...ვფიქრობ სხვის ფიქრებს, ვამბობ სხვის სიტყვებს,
მკერდს ვუშვერ სხვისკენ მიმართულ ისრებს.
(არ იფიქროთ, რომ რითმისთვის დამცდა,
ვწუხვარ, ისრები რომ აღარ გაცვდა)...

ფოთოლი... ქალი...

იცი, ოდესღაც ფოთოლი ვიყავ,
ახლა ქალი ვარ და მეორდება
წინა ცხოვრების ეპიზოდები:
მზეში განცხრომა, ქარში გოდება.
ახლა ქალი ვარ, ქარის ტორები
ნაბიჯებს ისევ მირევს და მარხევს,
ისევ ვფითრდები ბინდის წინაშე
და შიმისფერი ედება სახეს.
ამოზვირთულა ათასი ელდა,
განმკითხველია ათასი თვალი,
იცი, რატომღაც ვერავინ ხვდება,
რომ განვლილ დღეთა მომყვება ვალი.
იცი, მე ერთხელ ამებნა თავგზა,
როცა ვუმზერდი მთვარის ლოჭიდან,
როგორ გაშალა მკლავები ქარმა
და ირიბ ქუჩებს როგორ ლოშნიდა
და ქანაობდა ქარის ქალაქი,
მე კი ვინატრე მხსნელი ტოტები,
ვით გადარჩენის პატარა შანსი,
თუ ისევ ფოთლად განვმეორდები.

თუკი ღრენა მობეზრდება ქარს,
ქალი ნელა მოადგება კარს
და თუ კარზე დაურეკავ ზარს,
გაუნოდებ იმედს, როგორც ფარს —
დაივიწყებს ყველა ბილნს და ავს,
ზურგს შეაქცევს ამქვეყნიურ შარს.
...მაგრამ ღრენა არ ბეზრდება ქარს
და არც არვინ მოადგება კარს —
პწკარებს შორის ნაუკითხავ ტკივილს,
გაუსაძლის ტკივილს ქალი ჰგავს.

უთქმელი საყვადური

ღრუბლის ფთილას სურს, ღრუბელი გახდეს,
წვიმის წვეთს კი წვიმად უნდა ქცევას,
მე ნეკნი ვარ და ქალობას ვჩემობ,
უფლის ნებით დამერქმევა ევა.
უფლის ნებით შევიფერებ ედემს:
მოკამკამე ჰაერს, წყალს და მინას;
სანამ ასპიტს მოუცლია ჩემთვის,
სანამ ვაშლის დარდი გადამიტანს.
მერე კი სულ ბედნიერად გნახეთ!
(რადგან ლუქმა არ შემარგეთ ვაშლის...)
არადემურს გავყვები გზანვრილს

და დრო მარტივ მამრავლებად დამშლის.
...მორჩა, უკვე მინის კერძი მქვია,
ჩაირაზა უკვდავების კარი,
ნაოჭების აბლაბუდა შუბლზე
მრჩება, როგორც დროის სახსოვარი.
მეძალება ქარიშხალი ავი,
ბინდი, თითქოს, სულის სამოსია,
ტკივილ-ტკივილ ჩაიარეს ნლებმა
და გარშემო მუდამ ქაოსია.
ამ ქაოსში ორადორი შვილი
სანთელივით ჩაუქრობლად მენტო —
ლომისფერი ბოკვერები ჩემი
სად არიან, მიპასუხე, ღმერთო!
მხოლოდ მათით ვსულდგმულობდი დღემდე,
გული მხოლოდ მათთვის მქონდა ღია,
ახლა კი თავს მინას უნდა ვცემდე —
მოკლულის და მკვლელის მქვია.
ჩემი ცოდვით აქვითინდნენ ქვებიც,
ქარი ჩადგა, ქროვას ველარ ბედავს,
შენ მიბოძე ჯალათიც და მსხვერპლიც,
შენ გამხადე ბედამწვარი დედა.
უფალო, მე აღარა ვარ ქალი,
გოდება ვარ, აცრემლილი ცამდე,
ნელ ცეცხლზე რომ დამინაცრე გული,
თქვი, უფალოდ როგორ უნდა მწამდე?!
ჰოდა, სანამ მომელება ბოლო,
შემოგადრებ კრძალვით სიტყვას მართალს:
იცი, იმ დღის დაბრუნებას ვნატრობ,
როცა ძილში ნეკნს აცლიდი ადამს.
იმ ნუთების გაცოცხლებას ვნატრობ,
იქნებ, ნება შეცვლილიყო შენი
და უჩემოდ აღგემართა, იქნებ, —
სამოთხის თუ ჯოჯოხეთის ბჭენი —
არყოფნაში დაგრჩებოდი მარად,
გამშრალ ცრემლად ვერ მაქცევდა ბედი,
კაენისა და აბელის ცოდვით
აღარ დამეშანებოდა მკერდი.
ადამი კი, შენს ხატად და მსგავსად
ედემის ბაღს მოივლიდა კენტად
და უთუოდ შენ ეყვარებოდი
იმ აკრძალულ ხილზე უფრო მეტად;
დარჩებოდა მარადიულ ბავშვად,
როგორც შვილი, შენ კი — მამალმერთი
და იმ ჩემი ცოდვით სავეს ხიდან
არც ნაყოფი გაქრებოდა ერთი.
...მაგრამ უკვე ჩავლილია წამი,
ნეკნსაც უკვე შთაებერა სული,
შენს მეორედ მოსვლას ველი, გიცდი
მოთმინების ძაფზე გამობმული.
მერამდენე საუკუნე გადის,
დედამინა მერამდენედ კვნესის,
სად ხარ, ნუთუ სულ ამაღე ხელი
და ჩივილი ჩემი აღარ გესმის...
მოდი! თორემ ბელზებელი ზეობს,
ვაი, რამდენ სულს დააზიანებს,
უფალო, შენ აგვიანებ, თორემ
ემმა არასდროს არ აგვიანებს...

მთვარეული

შენ, მოცახცახე ცრემლო, მოდი, მითხარი ბარემ,
ვერცხლისფრად მსხმოიარემ, რა დაგაბარა მთვარემ.
ტოტებს ასტიკვდათ ქარი და მოქანავე სივრცეს
მიეტმანება გულიც, გამალეებით რომ მიცემს.
შენ, მოცახცახე ცრემლო, მოდი, მითხარი ბარემ,
შერისხვავა თუ ლოცვა — რა დაგაბარა მთვარემ.
ღია თვალებით ვერსად ვერ ვიხილავდი რასაც,
ვერც ახლა ვხედავ, თუნდაც მთვარეულობის ფასად.
ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერ მიპოვინა ფონი,
ვერსკვლავი ზეცას სწყდება, მე მინას ვწყდები, მგონი.
მომწყვდეული ვარ შენში, ჰო, მოცახცახე ცრემლო,
თქვი, სიზმარ-ცხადის ზღვარზე სანამდე უნდა მევლო,
კიდევ რამდენი ღამის უნდა ვმთხვეოდი კალთას,
ჩამოვეკანრე უნდა ეკალს, ერთსა თუ ათასს.
და რასაც მე ვერ მივხვდი, მოდი, მითხარი ბარემ:
რად შემიძულა მთვარემ?!
რად შემეყვარა მთვარემ?!



დასაწყისი პირველ გვერდზე

აბაზანიდან გამოსული სველი თითა და ჭიქა ყავით ხელში აივანზე გავიდა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი, სიგარეტს მოუკიდა და ყავა მოსვა. ცხელი სითხე ყველა უჯრედს მოედო. თითქოს დარბილდა. სკამზე ჩამოჯდა და მზის პირველ, ჯერ კიდევ სუსტ სხივებს მიეფიცხა.

ძლივს არ დამთავრდა ზამთარი? ნეტა არ დაცხეს მალე. როგორ მიყვარს გაზაფხულის სუნი და ამინდი. იმას კიდევ არასდროს არანაირი სიხარული აღარ ეღირსა. ლოგინად ჩავარდეს და ცოცხლად დაღუპეს. ისე აყროლოდეს, ახლოს ვერ მიდიოდეს ვერაფერს. ნავაგი ადამიანი არა, ადამიანი არა. უბრალოდ ნავაგი.

ოთახში შებრუნებულმა სარკეში ჩაიხედა. ამოღამებული თვალები მაკიაჟით გადაფარა და თავის თავს გაუღიმა. რალაცნაირი საწყალი, წყალნაღებული ღიმილი გამოუვიდა. გაბრაზებულმა ხელი აუქნია თავის ორეულს.

ჰო, უშნო ხარ და იმიტომაც გიხმარებს და მიგაგდეს. მართო უშნო კი არა, უტყინო, უტყუო, უთავმოყვარეო...

ცრემლები ჩამოუგორდა და ტუშმა ორი შავი ხაზი დაუტოვა გამხდარ სახეზე. სარკეს თვალი აარიდა და აბაზანისკენ წავიდა.

მეც ვის ვებრანჭები?! ბავშვებს ისედაც მოვწონვარ და...

სახე მოიბანა, მზის სათვალე გაიკეთა და სახლიდან გავიდა. ფეხით გაუყვა სკოლისკენ. ნელა, მძიმედ მიდიოდა.

ღმერთო, თუ მართლა არსებობ, დასაჯე, გეხვეწები. დასაჯე და გირწმუნებ. დაამტვრიე, დაასახიჩრე და გირწმუნებ. დამიბტვიცე, რომ ხარ. დააღებ ცოცხლად და ზეზეულად. ის გახადე, ვინც სინამდვილეშია. აყროლებული, დამპალი ნავაგი. ისეთი, რო ვერც გადაამუშავებ.

— ნინომას! — მოესმა უცებ და ფიქრებიდან გამოერკვა.

ნინ ლუკა იდგა და თვალებში შესცივინებდა.

— ჰო, ლუკა, — გაუღიმა ბავშვს და თმები აუჩჩა, — ასე ადრე რამ მოგიყვანა?

— დედა ჯერ კიდევ ავათაა, ნინომას, მამას სამსახურში ეჩქარებოდა და დამტოვა.

— ისაუზმე? — ჰკითხა და ბავშვის დაძველებული, გვერდზე მოქცეული ფეხსაცმლის დანახვაზე გული მოეწურა.

— კი, მას, — ლუკამ თვალი მოარიდა და მანქანებს გახედა სერიოზული სახით, — მამა ყველაფერს შეება.

— კარგი. მე არ მისაუზმია ჯერ. მაინც ადრეა და წამო, მე ყავას დავლევ, შენ ჩემი ხათრით ორი ლუკმა ჭამე. მართო ხო არ ვიჯდები?! —

— კარგით, ნინომას, — გაუღიმა ბავშვმა.

იქვე, კაფე-მალაზიაში შევიდნენ — ყავა, წვინი და ფუნთუშები აიღეს და გარეთ ჩამოსხდნენ გრძელ სკამზე. ლუკას ორივე ლოყა გამოტენილი ჰქონდა და ისეთი სიამოვნებით იღიქებოდა, აშკარად არაფერი ეტყობოდა დილის საუზმობისა.

აი, ერთი ესეთი ბიჭი მაინც მყავდეს. ნეტა გამეჩინა თავის დროზე. არ უნდა დამეჯერებინა არავისთვის. თვითონ კი ეყოლებოდა შეილებოდა თუ ენაღვლებოდა რა. კლიმაქსი დაეწყება თუ რა?! განდონი. ნაძირალა. ალფონსი. რო ვიცოდე, რომ მაგის გამო არ დავისჯები და პასუხს არავინ მომთხოვს, ყველა ძვალს ჩემი ხელით გადავუმტვრევდი. ჭახუნის ხმა რომ გამეგო — ღრჭიალის, მსხრვერვის. სისხლი რომ ერწყია ჩემს თვალწინ მინაზე და წითელ, ბლანტ სითხეში რომ მისი გაყვითლებული კბილები ეყაროს მოზაიკასავით. ღმერთო, რა ბედნიერი ვიქნებოდი!

სიამოვნებისგან გააკანკალა.

— გცივათ, მას? — ლუკამ გაკვირვებულმა შეხედა, ბოლო ლუკმა გადაყლაპა და წვეწვს დანვდა, — დავლიო, ხო? — თან პასუხის დალოდების გარეშე მოიყუდა ბოთლი.

— დალიე, აბა, რა უნდა ქნა?! ჰო, რალაც შემცივდასავით. შევიდეთ სკოლაში. 15 წუთში ზარია.

ლუკა საკლასო ოთახისკენ გაიქცა, თვითონ სამასწავლებლოში შევიდა.

ნათიამ დაინახა თუ არა, ყავის ჭიქით და სიგარეტით ხელში მიგორდა სკამიანად.

— კიდევ არ გეძინა? — შემოფოთებულმა შეხედა ჩამაგებულ უპეებზე, — ჭამ მაინც, გოგო, რამეს? ჩონჩხი დარჩი უკვე. არ შეიძლება, ასე, ნინ.

— ვიცი, — ამოიხრა და სიგარეტს დანვდა, — დამარტყმევინე ერთი-ორი ნაპასი.

— ნაპასი კი არა, აგერ ხაჭაპური მაქვს ნამოღებული და ის ჭამე.

საჭმლის წარმოდგენაზე გულისრევის შეგრძნება მოაწვა.

— არა, არ მშია, ლუკასთან ერთად ვჭამე ნელან ბუღკები.

— გოგუასთან? ძალიან მეცოდება ეგ ბავშვი. ჰო, მართლა, დღეს ქეთას დაბადების დღეა, საღამოს სადმე ბარში დავსხდეთო და წამოხვალ?

— არა, არ მაქვს არავის თავი, — ჟურნალი აიღო, — კარგი, ნავედი. გნახავ მერე...

ცოტა ხანში კლასში იჯდა და აზუზუნებული ბავშვების დანყნარებას ცდილობდა. ბოლოს თავისუფალი თემის დანერა დაავალა. როგორც იქნა, მიჩუმდნენ. თვითონ ფანჯარასთან მივიდა და აყვავებულ ქუჩას გახედა.

ნეტა ეხლა რას აკეთებს? ფუტლიარი. მძღნერთი გატენილი ფუტლიარი.

ზიზღისგან სახე მოეღრიცა. შუბლი მიადო შუშას. სიგრილე ესიამოვნა და თვალები დახუჭა.

რა მოხდება, მართლა რო ვცემო. აი,



იუნონა გურული

ნინომასნავლებელი

რომ დაეხვედ ღამით სახლთან და ვცემო. ვიცი, რომ ვერ მოვერევი. მაგრამ ბეისბოლის ბიტი ვცემ. პირველ დარტყმას ხო უეჭველი მოვასწრებ და რო დაეცემა, მერე ყველა კიდურს დავუღუნავ. ხელებს დავუჩქარებ. ნიხლებს ვურტყამ სახეში, ყველა კბილი რო დასცვივდეს. ცხვირი რო გაუტყდეს და მიეჭყეყოს. სისხლით რო ამოვეგოს ნესტოები და ხახა. სისხლს როსუნთქავდეს და ახველებდეს. მაგის განწირული ხრიალი და ხროტინი რო მესმოდეს. ოღონდ არ უნდა მოკედეს. ღმერთო, არ უნდა მოკედეს ჯერ, თორემ მეც მოკვდები. მაგან ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოს, იმდენ ხანს, რომ საკუთარი სიცოცხლე მობეზრდეს და თავი შეძლოდეს, რომ ყველა დანარჩენსაც მობეზრდეს, რომ ყველამ მიაგდოს, ვინც უყვარს და ძვირფასია. მაგრამ ვინ უყვარს რო? საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარს. ნეტა ყველამ იცოდეს, სინამდვილეში რას ფიქრობს და ლაპარაკობს ეგ ნაბიჭვარი მაგათზე ზურგსუკან, ახლო მეგობარი და კაი კაცი რომ ჰგონიათ.

— დავამთავრე, მას, — მოესმა ტასოს ხმა.

მიტრიალდა სახელაღნილი და ოფლში განურული, თითქოს მართლა ბეისბოლის ბიტი ეტრიალებინოს ბოლო ნახევარი საათი.

— კარგი, მაგინდა დამიდე და შენს ადგილს დაუბრუნდი. სანამ სხვები მორჩებიან, ჩემად იჯექი, ხელი არავის შეუშალო, — უთხრა ხმადაბლა, ძლისძლივობით გაუღიმა და ისევ ფანჯრისკენ მიტრიალდა.

ნეტა, მართლა რომ ვცემო, რას მიზამენ? ციხეში ჩამსვამენ მაგის გამო? თუ არ მოკვდა, მაინც? ნილაბი რო გავიკეთო და ისე ვცემო?

უცებ თავის ფიქრის აბსურდულობას მიხვდა და სიმწრით გაეცინა.

მგონი, ექიმთან ვარ ისევ მისასვლელი, სანამ საბოლოოდ გავაფრინე. ხო არ ნავედე ისე დღეს ქეთასთან? გულს მაინც გადავავლოვდები.

ზარი დაირეკა და ბავშვები ჟრიაბულით წამოიშალნენ. ფურცლები მაგიდაზე დაუხვავეს და ოთახიდან გაცვენიას კართან შედახორდა გამარტავს.

ფურცლები მოკრიფა, ჩანთაში ჩაილაგა და სამასწავლებლოში შევიდა. ნათია ისევ იქ დახვდა, ისევ სიგარეტით და ყავით ხელში.

— ნათი, სად იკრიბები? იქნებ მოვიდე მეც.

ნათიას სახე გაუნათდა, წამოხტა და ჩაეხუტა.

— ალილუია! დიდი ხანია, დროა. რვა თვე მართლა მკვდარს არ გლოვობს ხალხი, — გაეცინა, თან ენა გამოუყო, — ვაკის „რონდომი“, შვიდზე. სულ ჩვენები ვართ. ასე რომ, ბოლო მომენტში არ გადაიფიქრო და არ გადაგვავადო. თან ხელფასი ჩაირიცხება დღეს და ცოტა ვიგულავთო. არ გვეკუთვნის, მაგის დედა ვატრე?

სკოლიდან გამოსულმა გზად ხილი იყიდა და თამარას სახლისკენ წავიდა. იქვე ცხოვრობდა იტალიურ ეზოში, ნახევრად სარდაფში. კარზე დააკაკუნა და სუსტი „ლიაა“-ს გაგონებისას ოთახში შევიდა. თითქოს კატაკომში აღმოჩნდა, სადაც არც გაზაფხულის და არც მზის არაფერი იგრძნობოდა. თამარა ლოგინში იწვა, ისედაც გამხდარი, სულ გალეულიყო, მარტო თვალები იყო დარჩენილი. ლურჯად დაძარღვული და შაქრისგან დეფორმირებული ხელები გულზე ესვენა მიცვალებულივით.

— როგორ ხართ, თამარა დედა? ვინ-ერვილე, დღესაც რო არ გამოჩნდით.

— შენ შემოგველე, ნინო. ბედნიერი დედაშენი, ასეთი შვილი რო ყავხარ. დავარეკინე მეზობელს ორშაბათს და მადონასაც ვთხოვე, სანამ გამოვალ, ჩემ მაგივრად დაალაგოს. ფულზე მერე გავსწორდებით. ძალიან კი შევანუხე ის ღვთისნიერი ქალი, მარა, რა ვქნა, ვეღარ დავდექი ფეხზე.

— აგერ ხილი მოგიტანეთ, თამარა დედა. საჭმელსაც გაგიკეთებთ რამეს.

— შენ გაიხარე. ნუ შენუხდები, შვილო, მეზობლის ქალი შემოდის და მანოდებს სადილს.

— რამე ხომ არ გჭირდება? იქნებ ნამალია მოსატანი, ან რამე.

— არა, შემოგველე. გამოკვეთდები ღვთის წყალობით და გამოვალ კვირის ბოლომდე სამსახურში.

— კარგი, აგერ ჩემი მობილურის ნომერს დავტოვებ. თუ რამე დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ.

ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა, ქვემოდა ჩუმად ოცლარიანი ამოუღო და ოთახიდან გავიდა. გარეთ გამოსულს თავბრუ დაეხვა და თვალები დახუჭა, თითქოს ჯურღმულიდან ამოვიდა და თავიდან ეჩვეოდა ჰაერს და სინათლეს. ეზოს ონკანთან ბარბაცით მივიდა, წყალი სახეზე შეისხა და იქვე ჩამოჯდა მზისგან გამოფიტულ, დაღრეცილ სკამზე.

არ ეღირსოს მზე და სინათლე. არც წყლის და საჭმლის მიმწოდებელი. არ ეღირსოს არავის ზრუნვა და სიყვარული. დამიჭერენ და დამიჭირონ. უნდა ვცემო, თორემ მე მოკვდები. სახე უნდა დავუღუნო, ის თვითკმყოფილი, მძღარი ღიმილი უნდა ჩამოვურეცხო. ნექნები უნდა ჩავუმტვრიო. ხორცები ამოვავლიჯო კბილებით. ყველა ტყუილისთვის, რაც უთქვამს. ყველას მაგივრად, ვინც გაამწარა.

სახლში ასულმა მუქი ფარდები ჩამოაფარა და ლოგინზე მიეგდო.

ღმერთო, სიზმარში მაინც მანახე, როგორ ვსახიჩრებ. ძილში მაინც გამაგონე მაგის გამწარებული ნკმტუნნი, მაყნოსინე მაგის სისხლის სუნი. ფეხნი მასრესინე მაგის ქონები მტვრიან მინაზე. მაფურთხებინე მაგის სისხლში და მტვერში აზელილ სახეზე. მათქმევინე პირში ყველაფერი, რისი თქმაც მინდა, თან ისე, რომ სანამ დავამთავრებ, გული არ გამისკდეს.

რალაც მომენტში ჩათვლიდა. — სულ რამდენიმე წუთით. შემდეგ ოფლში-განურული და აკანკალებული წამოჯდა. გული გახეთქავზე ჰქონდა. ტირილი აუტყდა, სასწონარკვეთილი, უიმედო ტირილი. ბალიშზე დაემხო, საბანი გადაიფარა და ღრიალი მორთო.

— შენი დედა მოვტყან! შენი უნამუსო დედა მოვტყან! ნაძირალა! ნაბიჭვარო! მატყუარა! ღორო! ნავაგო!

ჰაერი აღარ ეყო, საბანი გადაიძრო და გულადმა დემოტრიალდა.

რამეს დავიმართებ ასე. რატომ არ გამედის? რატომ ვერ ვერევი? ვერევი კი არა, აქეთ მერევა. რაც დრო გადის, უფრო ვმწარდები. უფრო მძულს. უფრო გვიყვები. თავს მოვიკლა. თუ მაგას ყველაფერი უნდა შერჩეს, მე თავს მოვიკლა.

ამ აზრმა თითქოს დაანყნარა, ადგა, აბაზანაში თავი მოინესრიგა, მორიგი ჭიქა ყავა გაიმზადა, ფურცლები ჩანთიდან ამოალაგა და გასასწორებლად მაგიდას მიუჯდა.

„ვინ მინდა გამოვიდე?“ — ეწერა დიდი, ოკრობოკრო ასოებით ფურცელს.

„მინდა გამოვიდე ტელევიზორის დირექტორი. ვაჩვენებდი მულტფილმებს და ბევრ ფილმებს. არ ვაჩვენებდი პოლიტიკებს და რო ყვირიან და ჩხუბობენ. ბეზოს წნევა ემართება ხოლმე მერე და მამა ყვირის გამორთეთ ეგ დედამოტყნულიო. კიდე მინდა გამოვიდე პრეზიდენტი. ხალხს მივცემდი სამსახურებს და ბევრ ფულს და ყველა ბავშვს ვაჩუქებდი ძაღლს. თუ უნდა. და კატასაც! კიდე ვაჩუქ“

ზარმა დარეკა ეტყობა, — გაეღიმა და წითელი კალმით დიდი ხუთიანი დაუნერა, პ.ს.-ც მიაყოლა: „ცუდ სიტყვებს ნუ გაიმეორებ!“, თან გაღიმიებული სმიალი მიახატა.

დედამოტყნულია კი. და დედა უნდა მოეტყნას ზუსტად მაგის გამო. მაგის დამპალი ძვლები და სისხლი...

შემდეგ ფურცელს დანვდა.

„მე მინდა გამოვიდე ატიმნიკი. ჩემი ძმა ამბობს ატიმნიკები ყველაზე კარგად ღუნავენ ფულსო. მეც მინდა რო გავღუნო რო გავიზდები. ამიტომ კომპიუტერზე და აიპაღზე ბევრს ვთამაშობ. დედა რო ამბობს გაშტერდებითო გოგა ეუნება აცადე მუშაობსო. გოგა ჩემი ძმაა სკოლას მორჩა მაგრამ ჯერ არაფერი არ გამოსულა.“

ისევ ხუთიანი დანერა და პოსტსკრიპტუმად ამჯერად „ნაკლები ითამაშე, მეტი იკითხე“ მიაწერა თავის სმიალიანად.

ბოლო ფურცელი ტასოსი იყო.

„მე მინდა გამოვიდე ნინო მასწავლებელი. იმიტო რო ნინო მასწავლებელი არი ჭკვიანი და კეთილი და ლამაზი და არ ყვირის და ყველა უყვარს. ხანდახან მოწყენილია ხომე მარა მაინც სუ კეთილია. დავალება როცა არ მაქ მაშინაც არ ბრაზობს.“

საბოლოოდ მოირღვა. ხუთიანის გვერდით „მადლობა, ტასო“ მიაწერა, გული მიახატა და ყელში ჩაჩხერილი ცრემლები ჭიქა ცივ წყალს ჩაატანა.

მობილურმა დარეკა, ნათია იყო.

— რას შევბი, აბა? გინდა გამოვიარო?

— არა, მოვალ ჩემით.

— ცოტა გაიპრანჭე. მაგდას მეგობარი მოდის, ადუკატია, მგონი, ცოლთანაა გამორებული... კაი ტიპიაო, მაგდამ.

— ნუ დაინყე ისევ ხანუშობა, გითხარი, არ მაინტერესებს არავინ. მეყო სიყვარულობანას თამაში.

— რა სიყვარულობანა, გოგო. საცოლედ გამზადებული, დაღვინებული, ჭკვიანი კაცია. მგონი სიმპატიურიც.

— და იმ ჭკვიან, დაღვინებულ და მგონი სიმპატიურ კაცს მე რატომ მოვეწონები საცოლედ. რომელი ანჯელიანა ჯოლი მე მნახე.

— აუ, ხანდახან იმენა აუტანელი ხარ. არ დაავიანო იცოდე, — მიეჯაჯღანა ნათია და გათიშა.

ჩაეცინა და მობილური მაგიდაზე დაავადო.

ჩემ თავს მე თვითონ ვეღარ ვიტან. სხვას ვის მოვეწონები. ან ამ თხას რას ვუთხარი, მოვალ-მეთქი. არ მაქვს მაგათი ნერვები. მაინც წამოიზღაზნა და კარადა გააადლო. ხან ერთი კაბა გამოიღო, ხან მეორე, ერთმანეთზე ჭრელები და მხიარულები. იყურებოდა დიდ სარკეში და თითქოს მკვდარს აზომებდა ტანსაცმელს. შუქის ნახაბი არ ეტყობოდა თვალდებობი.

სიცოცხლე წაიღო. ყველაფრის ხალისი და სიხარული. სული წაიღო იმ ნაბოზარმა. ჰოდა, ბარემ ხორციც მიყვეს, რატომ ვინვალე თავს.

ისევ დილანდელი აზრი აეკვიატა. იმ-



დენად მშვიდად ფიქრობდა სუიციდზე, თვითონვე შეეშინდა. კაბები ერთი ხელის მოსმით შეჩურთა კარადაში, შარვალი და მაისური ჩაიცვა და იმდენი მაკიაჟი გადაისვა სახეზე, რომ მკვდრის ფერი აღარ ჰქონოდა.

არაფერი გაუხარდეს. არაფერმა სიამოვნება არ მიანიჭოს. ყველგან მარტო იგრძნოს თავი. ყველგან ზედმეტად. საითაც წავა, ყველგან ფეხი დაუცდეს და ნაიქცეს. ყველა იმედი გაუცრუვდება. ყველა კარი ცხვირწინ მიეხუროს. ისეთ უსასოობაში და უიმედობაში იყოს, რომ სიმწრისგან მიწას ჭამდეს მუჭობით. ყველა დღე ნაცრისფრად გაუთენდეს. არ ეღიროს არც წარმატება, არც სიმშვიდე, არც სიხარული. ყველა სიზმარი ჰორორად ექცეს. ყველაფერი, რის შენებასაც დაინწყებს, თავზე დაემშოს და ნანგრევებში მოაყოლოს.

„რონდოში“ მისულს ყველანი შეკრებილები დახვდნენ.

— ვა, კიდევ კარგი, მოხვედი, — ნათია გაღიმილი ნამოვიდა მისკენ, როგორც კი სხვების მზერის არეალს გამოცდა, თვალეზი გადაუბრიალა და ჩახუტებისას ყურში უთხრა, — შეჩემო, ესაა გაიპრანჭემეთქი? სკოლაში უფრო წესიერად ჩაცმული დავიხარ. მოგკლავ ხვალ დილით, — თან მწარედ უჩქვიტა მკლავზე.

სულ ექვსნი იყვნენ, მაგდას მეგობრის ჩათვლით. მაგიდაზე მის გვერდით იყო ადგილი დატოვებული, ასე რომ, იქ მოუწია დაჯდომა, რაზეც ახლა თვითონ დაუბრიალა თვალეზი ნათიას სხვებისგან შეუმჩნეველად.

— შენი საჩუქარი კინალამ დამავინყდა, — ღიმილით მიუბრუნდა ავარდისფერებულ ქეთას და „ვალცის“ სასაჩუქრე ბარათი გადასცა, რომელიც თვითონ მიიღო თვეების წინ საჩუქრად და აქამდე ვერ მივიდა მალაზიაში გასანადგებლად.

პირი ვერაფერს დააკარა, მხოლოდ სასმელს სვამდა დიდი რაოდენობით, მშვიდი მალევე მოეკიდა და გვერდით მჯდომ მაგდას მეგობრის პირველად შეხედა ყურადღებით. სასიამოვნო გარეგნობის კაცი იყო, ძვირფას კოსტუმში გამოწყობილი, ბევრს არაფერს ლაპარაკობდა, ღიმილით უსმენდა შემთვარა გოგოებს და დროულად უსხამდა სასმელს. მზერა იგრძნო გვერდით, თვითონაც გამოხედა და თვალეზი ჩაუკრა.

იმ ყლეს ვაგს რაღაცით. მისნაირი მზერა აქვს, თავის თავში შეყვარებული, პოზიორი, ტუფთა.

საშინელი გაღიზიანება იგრძნო, მისკენ გადაიხარა და ბორძიკით უთხრა ყურში:

— არის ადამიანი, რომელიც მიწადა, რომ უმონყალიდ ვცემო და დავასახირო. ღირსია და იმითიც. სამართალი რომ არსებობდეს, თავისით უნდა მოეთხოვოს ყველაფერზე პასუხი, მაგრამ როგორც ჩანს, არ არსებობს ეს დედამოციხეული სამართალი. ჰოდა, თქვენი პროფესიული აზრი მაინტერესებს, კიდურების დამტვრევაზე რამდენი წელია?

ხელები უკანკალებდა, ყელი გაუშრა და თვალეზი გაუორდა. კაცი უკან გაიწია და განცვიფრებულმა შეხედა.

— იმედია, თითო ძვალზე თითო წელს არ იძლევიან, თორემ დიდხანს მომიწევს ჯდომა, — გაეცინა და იგრძნო, რომ ყველაფერი დატრიალდა — კაცის გაოგნებული სახე, ნათიას კითხვის ნიშნის მზერა, ქეთას კისკისი.

— მაპატიეთ, მე წავალ, — ბარბაცით ნამოვდა და ისეთი ხმაურით განია სკამი, ნახევარმა დარბაზმა გამოხედა.

— მოიცა, სად მიდიხარ, — ნათია ფეხზე წამოხტა, — ტაქსს მაინც გამოგიძახებ, დაჯექი, რა ბზიკმა გიკბინა.

— არ მიწინაა. გარეთ გევაჩერებ. თბილისში ტაქსი მაინცაა ოხრად, — გოგოებს პაეროვანი კოცნა გაუგზავნა და გარეთ გავიდა.

ბართან მდგომი ტაქსისტები დაფაცურდნენ.

— ნუ შეწუხდებით! — მთვრალი ადამიანის კატეგორიულობით და ხელის მოძრაობით ადგილზე გააქვავა მძღოლები და არეული ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

არ არსებობს. არც ღმერთი. არც სიმაღლეთი. არც სიყვარული. არც ნდობა. არაფერი არ არსებობს საერთოდ. მარტო ტყუილი. ლალატი. გამოყენება. ტრაკში ტუალეტის ქალაღვივით გამოსმა და ჩარეცხვა. მეტი არაფერი არ არსებობს.

მიხვდა, რომ ტირიდა. გულამოსკენით. ხმამალა. პირველივე ხეს მიეყუდა, ერთი ხელი ისე აიფარა სახეზე, როგორც ბავშვობაში, დახუჭობანას დროს, და უფრო ომახიანად აზღუქუნდა.

— დედა, წამიყვანე შენთან. ძაან დავილაღე, დეე. დეეე. რამე მიშველე. გეხვეწები. შენი დედა მოვტყან! შე უნამუსო! შე ახვარო! შე ნაბიჭვარო! შენი დედას შეეცი! შე მათხოვარო!

ხეს მოშორდა და ხელების რტყმა დაუნყო. მთვრალზე ვერ გრძნობდა ტკივილს, ჭკუიდან გადასულივით ურტყამდა მუშტებს, თან ბოლო ხმაზე ხაოდა.

იქვე მდგარი სახლის ფანჯარა გაიღო და ვილაც უკმაყოფილო ქალის გაკაპასებული ხმა გაისმა:

— შე უზრდელო. სად გაიხარდე? ქალი მაინც არ იყო. უსირცხვილო შენი! გაეთრიე აქედან, სანამ მდულარე დაგასხი თავზე. რა სიტყვებს ამბობ, ბავშვებს რეებს ასმენინებ?!

— ბავშვებს უნდა ეძინოთ ამ დროს, ქალბატონო, — ახედა ფანჯარას, კიდევ უნდოდა შეპასუხება, მაგრამ გადაიფიქრა და თავჩაქინდრული გაუყვა ქუჩას.

— ტუტუცი! კიდევ რომ შეპასუხება! ეს პატრული მაშინ არ ჩანს, როცა გჭირდება ადამიანს. ეტა ნი გორად, ა სუმაშეში დომ! — თან ბრაზუნით ჩაქეცა ფანჯარა.

ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ გაეღვიძა. თავი ისე ტკიოდა, ეგონა, წვეტიანი ქვები ეყარა და ყოველ მოძრაობაზე კიდევებს ეხეთქებოდნენ მტკიცე ნეულად. სადღაც ბაღში იყო სკამზე წამოწოლილი. შემაცივრული და ფერდაკარგული წამოჯდა. სისხლმემხმარი და დაღუპული ხელები ტკიოდა. მარჯვენა წვივიც. იდაყვიც. მგონი, ყველაფერი ტკიოდა.

აქ საიდან მოვხვდი? არ შეიძლება იმ წამლებთან ერთად ეს დედამოციხეული ალკოჰოლი და ვედარ გავიგე... ერთხელაც იქნება, მტკვარი გამომრიყავს სადმე და მეც დავისვენებ, და სხვებსაც დავასვენებ. იმედია, ვინმე ნაცნობმა მაინც არ დამინახა აქ ბოშივით მიკოტრიალეული.

ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა, ბარბაცით ადგა, დასვრილი-დაკუჭული ტანსაცმელი გაისწორა და პირველივე ტაქსის აუწია ხელი.

სახლში მისულმა ჯერ ერთსაათიანი ცხელი შხაპი მიიღო, შემდეგ ორი ტკივილგამაყუჩებელი და ცხელი ყავა დააყოლა და სკოლაში წავიდა.

სამასწავლებლოში არც შესულა, არ ჰქონდა გუშინდელის გარჩევის თავი. პირდაპირ კლასში შეიპარა და ბავშვებს საკონტროლოს ფურცლები დაურიგა. უცებ კარზე კაკუნს გაისმა, ნათიამ შემოყო თავი და ანიშნა, გამოდით.

აუ, ეხლა ამის ლექციების მოსმენას რა გაუძლებს. პიზდევ. იმედია ამათთან არ დაფტვა იმ კაცმა, რეებიც ვებუტუტურე გუშინ.

ნათია აღვხნებული მოეჩვენა. უცნაური, მოზიემე გამომეტყველება ჰქონდა.

— ის დამპალი გუშინ ვილაცას რო უცემია, გაიგე?

— ვინ დამპალი? — იმდენად არ ელოდა სხვა თემაზე საუბარს, რომ ვერაფრით მიხვდა, რას ეუბნებოდა.

— ბევრ დამპალს იცნობ? — გაეცინა ნათიას.

— მოიცა, იმაზე ამბობ? — იგრძნო, როგორ დაუნყო ყურებმა შუილი.

— ჰო, აბა, ვიზე?!

— მერე? — ორგანიზმი რაველის ბოლეროსავით უმატებდა ხმაურს. ესმოდა სისხლი როგორ დადიოდა ძარღვებში, როგორ უცემდა გული, როგორ ზუზუნებდნენ ძვლები, მაღალი ძაბვის ხაზებივით ძლიერ ქარში.

— რა მერე?! მაგარი დაღენილია. უხხ! ვენაცვალე, ვინც ეგ შეუა. მოიცა, შენ რაღა გჭირს ხელებზე? ისევ გაჭყდევ გუშინ?

რამდენიმე წამით დამუნჯდა. დაყრუვდა. დაბრმავდა. ნათია გაცხოველებული შესტიკულავით ლაპარაკს განაგრძობდა, მაგრამ ტვინამდე ერთი სიტყვაც ველარ მიიტანა.

— კარგი, მე შევალ, საკონტროლო მაქვს. მერე დავილაპარაკოთ, — ძლივს ამოღერდა მიტკალივით გათეთრებულმა და კლასში დაბრუნდა.

ბავშვები ხმაურობდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. კარგა ხანს იყო თავის თავში დაკარგული და გაშტერებული. შემდეგ ხელები შეითვალაიერა ყურადღებით დახუჭა.

— საკონტროლოსთვის მოემზადეთ, ბავშვებო.

წინმასწავლებელი მზიან მაგიდასთან იჯდა თვალდახუჭული და ჯიბეებში ხელეზრანობილი გვერდულად იღიმოდა...



ლადო კილასონია

შურისძიება

დასაწყისი პირველ გვერდზე

— მანქანას დავაყენებ, მამაჩემს ვნახავ და გამძვინვარებ! ოღონდ ფრთხილად გადადი, ხო ხედავთ, წყალი აღიდებულა! — ნითელი ჯიბი ბრღვივით მოწყდა ადგილს, დატრიალდა, მტკვრის ღრუბელი წამოშალა და იქვე, სოფლის დასაწყისში გზის პირას წამოჭიმულ ქვის გალავანთან გაჩერდა, რომლის იქითაც ხარაჩოებით შემოჩინილი ბეტონის მაღალ შენობას ქაფიანი და ვედროებიანი მუშები შესეოდნენ.

რკინის ალაყაფს მიმდგარმა ჯიბმა გაბმული სიგნალი მისცა, ლითონის ნაწნავებზე ნაჭედი ჭიშკარი გაიღო, გამოჩნდა ხეებში ჩამალული მწვანე ეზო, მოღზე პატარა გორებზე დახვავებული ქვიშა, ბლოკი, ფიცარი, ხარაჩოებით შემოჩინილი შენობა, მის უკან ეზოს სიღრმეში ჩამალული დიდი სამსართულიანი თეთრი სახლი, მასიური ხვეული კიბით, ავივითა და სქელი საკვამურით და ის პატარა რუხი მიწური, რომლიდანაც წამოვიდა ნუგზარას გვარი ამ სოფელში, სადაც იცხოვრა და ლოთობით მოკვდა ნუგზარას მამა — ნათე

— სადაც ჯაფაში გაილია და მუდამ მიწაზე დახრილი, მინადვე იქცა ნუგზარას დედა — მამიკო — სადაც აიდგა ფეხი ნუგზარამ და საიდანაც ნელ-ნელა, დაჭრილი და თავისიანებისკენ გახიზვებული ჯარისკაცის სიხარბით ჩასჭიდა თავისი მარწუხებით ბასრი, ცივი, ღონიერი, გაუმადლარი თითები სოფელს, ყველაფერს რასაც მისწვდა, მისხალ-მისხალ, გოჯ-გოჯ მოიერთა თავისი და სხვისი, სარფიანი და გამოუსადეგარი, ლამაზი და უმწრ და იმის მერე წამით არ მოუდუნებია მინის ამ ნაგლეჯზე ჩაფრენილი ხელები, ეს სამსართულიანი თეთრი სახლიც აიშენა, გალავანიც შემოარტყა, ახლა სასტუმროც წამოიწყო, ხუთასი კვადრატული მეტრი მოუზომა, ზედ სახლი აუგო და უსასყიდლოდ გადასცა დედათა მონასტერს, მაგრამ ხელი არ ახლო თავისი ბავშვობის მიწურს, დანგრევის პირას მისული არც კი გაარემონტა, ზუსტად ისეთი დატოვა როგორც იყო და მამუკამ იცოდა, აქ არაფერ შეუძინო იყო მოგონებები ან სენტიმენტები, არ იყო მუდამ საქმიანი და მგლის ალღოიანი ნუგზარა ეგვთების კაცი, არასოდეს დახარჯულა იმაზე, რაც არ სჭირდებოდა, არასოდეს მოფრთხილებია მისთვის გამოუსადეგარს, და ეგ მიწურიც ფორმაში სამყოფად სჭირდებოდა. გამოვიდოდა დილას თავისი ახალდაშენებული სამსართულიანი თეთრი სახლის აივანზე, გაიზმორებოდა, გადმოხედავდა მწვანე კორომში ჩამალულ ეზოს, მიწურს მოკრავდა თვალს და ყოველ დილას ხელახლა იხსენებდა, საიდან წამოვიდა, რა გაიარა, რად დაუჯდა აქამდე მოსვლა, სად მოუწევდა დაბრუნება, თუკი მოდუნდებოდა და ყოველი ახალი დილიდან კიდევ უფრო ღრმად ასობდა მარწუხებს ამ ნოყიერ, შავ მიწაში.

ამასობაში კი ყვითელი ქვიშის გორასთან გაჩერებული მანქანიდან მსუბუქად გადმოხტა სოსო, ორმა მუშამ რკინის ალაყაფი დაკეტა, მაგრამ სანამ რკინის ფირფიტები ღრჭიალით ჩაყლაპავდა ეზოს, მამუკამ დაინახა, როგორ მიუახლოვდა ბიჭს ოქროსსამაჯურიანი, ჭაღარა,

თხელი კაცი, მკლავები გაშალა და გულში ჩაიკრა, დაინახა და ისევ იგრძნო ის უხერხულობა, რომელსაც აგერ უკვე მეექვსე წელია გრძნობდა ნუგზარას ყოველი ნახვისას.

— ამთავრებს უკვე სასტუმროს! — თქვა დიმიტრიმ, — ჭკვიანი კაცია ნუგზარა, როდეს დაიწყო აქ მინების ყიდვა?! ვის მოუვიდოდა მაშინ თავში, რო აქ ამდენი ტურისტი მოვიდოდა!

— ჰო, — თავი დააქნია მამუკამ.

— იქითაც მაგისიო, ხიდს იქითო, — ადიდებული მდინარის შავ ტალღებს გადაავლო ხელი დიმიტრიმ.

— ამბობენ! — თქვა მამუკამ და თავის სახლს გახედა — როგორც უთხრეს, მამა აი, იქ, ჭიშკრის წინ ეგდო, გზაზე გამოათრეს, სოფლის დასაწყისად.

— ეხლა ამ სასტუმროს რო მოამთავრებს, მერე ნახე შენ აქ ტურისტი! — გააგრძელა დიმიტრიმ, — ამბობენ, გამგებელთანაც დაუწყია ლაპარაკი, რო გზა დაგვიგონ! მაგარი კაცია ნუგზარა!

— ჰო, — მექანიკურად დააქნია თავი მამუკამ და წამოგდა.

იცოდა, საღამომდე უკვე ველარაფერი გამოუკეთებდა ხასიათს, სადაც უნდა წასულიყო — ტყეში, ტაძრისკენ, მდინარესთან, საქონლის საძებნელად, რაზეც უნდა ელაპარაკა — კრივზე, პოლიტიკაზე, სოფელზე, რა ლამაზი და სიანტერესო ტურისტებიც უნდა შეხვედროდა, თუ ფრანგები არ იქნებოდნენ, საღამომდე ველარაფერი შემოაცილიდა გულზე შემოჭერილ სალტეს, ვერაფერი ამოუხსნებდა მღვიმესავით გამოცარიელებულ მუცელს და ველარაფერი გაუქრობდა სირცხვილის და საკუთარი სიღარბის იმ გრძნობას, რომელსაც, თავის გასამართლებლად, ექვსი წლის წინ მოუძებნა უფრო შესაფერისი სახელი — უხერხულობა და ამან კიდევ უფრო დაამძიმა.

— მამ, მეთანხმები? — დაადევნა დიმიტრიმ.

— რაში?

— რო ფრეიზერი უფრო ხასიათიანი იყო!

— ჰო, რავი, — ჩაიბურტყუნა მამუკამ, სახლისკენ გასწია და მერე გაახსენდა, რომ ფორმანს ალი დაუდგა, ფრეიზერი კი ვერა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს დიმიტრასთვის და გზა განაგრძო.

აი, აქ ეგდო მამა, ჭიშკრის წინ, ურდულთან, გასისხლული, მტვერში ამოგანგლული ინვა პირქვე, სუსტად, ხროტინით ისუნთქავდა ჰაერს და ეგრე აჰყურებდა ჩაჩუმებულ სოფელს — არ უნახავს, დედამ უთხრა...

— მდელიოზე, სანამ ტაძართან მიხვალ! — მოესმა უკნიდან.

სოსო იყო სწრაფი ნაბიჯით, ლამის სირბილით მიდიოდა შავად აზვირთულ მდინარეზე გადებული ჟანგიანი ხიდისკენ, რკინის მაღლა ალაყაფში დატანებულ კარში ნუგზარა ჩამდგარიყო, შეჭალარავებული, ხმელი, ძარღვიანი.

— ბევრი არ დალიოთ, იცოდეთ! — დაადევნა ხიდზე მსუბუქად მოფარფატე შვილს ღიმილით, შემდეგ მობრუნდა, ხელის აწევით მიესალმა მამუკას და ეზოში შევიდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



გადიღვრება ბრძოლა

გადახარშა ლამემ
დღის ყოველი ქმედება,
ჟამი მოღვაწე
ახლის მოიმედება.

ჩაეძინა ბოლოს
უპირველეს ასტროლოგს,
ვერვინ ჩაუქოლოს
ხილვანი საგასტროლო!

სივრცე ჰანგებს გვფენდა
ჩუმი ხმიერებითაც,
რალაც გაგახსენდა
სხვა ყოფიერებიდან.

მთაგრეხილთა ტანი
ცას არეკლილ შუქთ ურევს,
გახვედრებენ გზანი
მოულოდნელ სტრუქტურებს.

სული უცხო თრობად
ხსოვნას შორეთს მიაშლის,
გადიღვრება გრძობა
ფერმკრთალ ელევიაში...

მშვენიერება

მზერა ცას მოეტარება
და იქ იწყებს შერევას,
უცნაური ნეტარება
ახლავს მშვენიერებას.

ბადებს უცხო ნოვაციებს,
კურნავს ყოფის იარებს,
წერილმან ფიქრებს მოვაცილებს,
დიადს შეგაზიარებს.

როგორც დირიჟორი, აგებს
ჰანგს, ზეცათა მისაკვლევს,
როდი აგაფორიანებს —
გისმობს სიმშვიდისაკენ.

იგი ბადებს ახალ გრძობებს,
სრულქმნილთა და უზადოებს,
გასაოცრად იგალობებს,
სულმთლად მოგაჯადოებს.

გადავიშლის უცხო მზეებს
მიუგნებელ ფერებად,
რალაც უცხო სიმაღლეებს
გვიმხელს მშვენიერება...

და უხვად მოაქვს ყოველ მოსახვევს

ფიქრი ქარიშხლებს შეეჭიდება,
ჩემი სიმაღლე იგრძნო სივრცეც,
სამარადისო, მძაფრი დიდება
სულის ზვირთცემას!

შეჭიდებული უხილველ ყამირს,
გასაოცრათა ამბავთ მაცნე ხარ,
შენ შეგიძლია უსაზღვრო ჟამის
წამად დაწეხა.

ჰპოვებ, აგროვებ უცხო საგანძურს,
შენი განჭვრეტა მძლე და ფართეა,
ვის შეუძლია ოდეს დაქანცოს
ეგ შემართება?

შორ სამყაროთა ფარულ ძახილზე
აღძრულ უთვალავ მზერას გათანგავ,
შენ მუდამ ზღაპრულ ძალებს აღიდგენ
ვრცელთა ზღვათაგან.

არსებაჲ ჩემო, შენს წარმოსახვებს
შემოვლენი უცხო ქათიბი,
და უხვად მოაქვს ყოველ მოსახვევს
დრო გასათიბი...

სიყვარა

არაფერი არ შეცვლილა ცის ქვეშ,
კვლავ მბრძანებლობს ბრყვითა ვრცელი კასტა,
ყრუ დუმილის უსასრულო სისქე
მარადიულ შორეთამდე გასტანს.

გინდ ვულკანის ამოხეთქვად იქეც,
ზღვას დაატყდი მრისხანებად ქართა,
სულერთია, გალავნების იქეთ
კვლავ თვითონ სურთ მსოფლიოთა მართვა.

სადაც იყვნენ, ხმაღს იქნენ იქეც,
ფხიზლად ჭვრეტენ ყოველივე საშიშს;



შალვა საბაშვილი

არაფერი არ შეცვლილა ცის ქვეშ,
არაფერი არ შეცვლილა ცაშიც...

დასაღვა ველზე

შენ გადმოხედე მარადიულ ბრძოლის ველს ციდან,
წამით დასცილდი განუკურნელ საკუთარ ნაღველს,
უძღვენ დროებითს ყურადღება სულ ერთი ციდა,
უმზირე ერთხან, მერე ისევ შენი გზით ნახველ.

ირგვლივ, სივრცეში, ლაღვრთიანი ნიაჲ ვლიდა,
ჩანდა დიადი, თუმც ამაოდ ელოდა მნახველს,
დაბლა ნანახით კიდევ ერთხელ გაოცდი დიდად,
მოსწყვიტე მზერა, კვლავ სიმაღლის მოხილვად ნახველ.

მინის ლტოლვათა გააზრებულ სიმბოლოდ შემკრებ,
მაინც ფარულად შორეული მიჯნების მსახველ
ამაოების ელვარებას — დაფნებს და ეკლებს
ირიბი მზერა ესროლე და — კვლავ შორეთს ნახველ...

შორს მიფრინავენ სივრცენი

მომხდარა, რაც მოსახდენი იყო ჭირვეულ დარში:
გამოგაცალეს საყრდენი, სხვა ქვეყანაში დარჩი.

კრთის იმედების მიღევა, გასხვანაირდა ბინა,
სხვაგვარი განზომილება გარემო მოეფინა.

ყრუდ დგანდგარებენ ზვირთცემის ხმაურნი სოფლიურნი,
შორს მიფრინავენ სივრცენი, ოდესღაც მშობლიურნი.

რამ უნდა შეგაძლებინოს, მისწვდე ოქროვან კვეთას?
რაგინდ ღიმილი გეფინოს, შიგნით ყინული წვეთავს.

ეპოქა ნამქუხარევი ცდილობს აგისხნას როს რა,
იყო ძვირფასი მხარენი, მაგრამ გრიგალმა მოსრა.

უთრთის სატანას ჭორფლიანს წამწამი მოცახცახე,
ტკბობას არა ჰგვრის მსოფლიოს მისი ახალი სახე.

სევდა დაუმთავრები, ისმის მუქარა: „ან — ან“,
გზებზე ეული მგზავრები გაოგნებულნი დგანან.

უცხარი იღაა

უეცრად გამკრთალი ცისფერი იდეა,
რომელიც შორეულ ყურეთა სეზონს ფლობს,
ჩემი არსებობის გრძნეული კიდეა
და მარად უხილავ მხარეებს მეზობლობს.

ის უცნობ ძალთაგან აღძრული შუქია,
ყოველს რომ დაგვიშლის მზენარევე ბინდებად,
და ჩემი არსება ყველაზე სრულქმნილად
ამგვარ იდეათა ბრწყინვაში ვლინდება.

მოიტანს ზღვის ღელვა უთვალავ ელადებს,
დრო ლუქებს გარდახსნის მდუმარე მარჯანთა,
და, თუნდაც ერთი დლით, მას გააბელადებს,
ვინც დღემდე არსად და არაფრით არ ჩანდა.

ჩვენ ვიგრძნობთ, მდინარე რაოდენ შლეგია,
ჩვენ ვნახავთ — მძლავრ გუთანს ამოაქვს ბელტები,
და ჟამი მოუხმობს ფერების ლეგიონს,
რომ ფრესკით გაგვანდოს ცა მოუხელთები.

ო, შეუცნობელის ნაპირთან მიმყვანი
ვინ იგრძნოს, ეს მზერა რის გადამკიდეა?
მწამს, არც ერთ მონოლითს არ უთმობს სიმყარით
უეცრად გამკრთალი ცისფერი იდეა.

სულ სხვა ქვეყნისთვის...

სულ სხვანაირთა სამყაროთა იშლება წყება,
ამოდის მნათი და ურიცხვი განისმის ქება.

გადაანათა ჰორიზონტი უცხო აღმასმა,
მათრობს გრძობათა დაჟინებით მზარდი აღმასვლა.

სასწაულების ფიქრვერკს მოხატავს ფუნჯი,
ველარ შეიძლოს გარემოცვამ — კვლავ დარჩეს მუნჯი.

თოკები დაწყდნენ, გაზაფხული ვერ შებორკეს და
თავს იყრის სმენა უთვალავი ახალ ორკესტრთან.

შეხედეთ პოეტს, ლურჯ მზეთაგან მოხმობილს მაყრად:
სულ სხვა ქვეყნისთვის სწყურია მას საფუძვლის ჩაყრა.

და გაბრუნებს კორდები

სული, სავსე ბანგებით,
უდაბნოელია,
ჯადოსნური ჰანგები
მსმენელს მოელიან.

ხელის ბევრჯერ მოცარვით
ქროდა დღეთა წყება...
ტილო გასაოცარი
მხილველს ელოდება.

სულში ღრმა ამბობია,
მზერაც ლალი არი,
სამყაროთი მოხიბვლა
სცანი, აღიარე.

შენ მარადში ენთქმები
და ცა სიზმარს გასევს,
დღეს, სრულიად შემთხვევით
შეხვდი უძვირფასესს.

ო, ამაყად სწორდები,
დახვალ სანათივით,
გაბრუნებენ კორდები,
უხვად განათიბი.

ჰანგი გაღვიძებისას

ყოველი დილა რალაც უშორეს სივრცეებიდან
მოილტვის შენთან,
ამოზვავდება შენი წარსული,
დანაგროვები საოცარ დენთად.

ამოგილაგებს ნეტარი ხსოვნა უთვალავ გამებს,
ფერებს და პლასტებს,
შეგაჟრიალებს მძაფრი მუსიკა
და შორ კუნძულზე ახალ ხიდს გასდებს.


ყოველი დილა შენ დაგანახვებს,
რა შორს ნახველ და რა გზებით ვლიდი,
რომ სამყაროთა ლურჯ მთა-ველებში
არსებობს რალაც — ძალიან დიდი;

შენ გადახედავ ოკეანეთა მახლოვებულ
უგრძეს მთიანეთს,
შემოგესმება ჰანგი,
რომელიც ქვეყნად ყველაფერს აერთიანებს.

შენ დაინახავ — ცხოვრება არის
ნაუკითხავი წიგნის გვერდები,
რომ, თუმც უთვალავ მხარეს იხილავ,
სრულად არც ერთში არ გაჩერდები.

ო, სინამდვილე უსაზღვროდ ღრმაა
და ზეგანგებამ ასე ინება,
რომ შენი სული მის ყველა კუთხეს
თანაბარ ძალით მოეფინება.

რომ შენ თანდათან ისე ამაღლდი,
თვით უმცირესთა ხილვაც შეიძელ,
რომ შენ თანდათან ისე ამაღლდი,
თვით უმცირესთა ხილვაც შეიძელ,



რომ ყველა არსში განანილდები
და მით საკუთარ სახეს შეიძენ.
შენ დაინახავ — ის, რაც შორს დარჩა,
ისე ტურფაა და ისე ახლო,
რომ ჩანსულია შენს არსებაში,
როგორც ნალველი ტკობაში სახლობს.
კვლავ ურიცხვი რამ აღმოცენდება,
აღმატაცებელ გრძნობათა მგვრელი,
შენს წინ გაშლილა გასაოცარი ნიშნებით
სავსე სამყაროს ველი.
და შენც, განზავდი თუმცა ყოველში,
მაინც ეულად ბრწყინავ კენტივით,
და შენი სული არის ლაჟვარდი,
ატმის ხესავით გადაპენტილი.
ყოველი დილა სიცოცხლის გზებზე
განსაცვიფრებელ ჰიმნებს ღაღადებს,
და რაც ჩაძირა დინებამ წელთა,
კვლავ უსასრულო ძალით აღადგენს.
შენ უცებ იგრძნობ — საკვირველ შვებით
დაგვირგვინდება ღამეთა ტეხვა,
და მომავლისკენ გატაცებული, როგორც ყურეში —
წარსულში შეხვალ.

ყოველი დილა შორეთის ველთა
სურნელებებით ავსილი მოქრის,
და მის ფერებში განსხეულდება
ნათელმზილვლობა მრავალი ჭოგრის.
ო, ეს გრიგალი დაანგრევს მღვიმეს,
რომლის კარებიც გადაირაზე,
მოდის ძლიერი გამოფხიზლება,
რომ ყოველივე დადგეს ყირაზე,
რომ ჩასწვდეს ყოფის სიღრმეებს გრძნეულს,
რასაც მრავალი ამაოდ ცდილა,
მძაფრი მუსიკის დაუსრულებელ
ჭავლად გეფრქვევა ყოველი დილა...

როცა იქნება

როცა იქნება — გაცხადდება დღემდე ფარული,
არსებებს ურიცხვს მოეფრქვევა ზღვა სიყვარული.

როცა იქნება, უცხო ხელი ფარდას გადასწვებს,
მზის ლურჯი შუქი გაუძღვება ნაკადს გადამწველს;

და არსი, რაიც სინამდვილეს ასხამს მძივებად,
წარსულის ყველა გზა-ბილიკებს ჩაეძიება.

მოიკვლევს, გასჩხრევს, და მას, რაიც აღარ ჩანს ახლა,
საყოველთაო ჭვრეტისათვის ამოსწევს მალლა.

რამდენი ვინმეს უქმი შრომა გაცამტვერდება!
შუქი დაესხმის ბნელს ხანჯლებად და სატვერებად!

წინ გადაგვიფენს ვარსკვლავთ ცა თუ ფერი მთვარული,
გამონათდება, რაც მღვიმეებს ჰყავთ დაფარული.

მომზაური

გაიარა გულმა
სიცოცხლეთა სერია,
სერებიდან მრავალ
სიოს დაუბერია.

იყო ძალთა კლება
და ხელახლა მოკრება,
გაზაფხულის ვარდთა
ახლად გადაკოკრება.

შორეულმა შარამ
არასოდეს დამინდო,
ზენამ ბევრჯერ გცვალა,
ეპოქათა ამინდო.

მოვლენათა ძენკვი
მარად სჩხრეკდა თვის საგანს,
იღლებოდა მზეც კი
მოგ ზაურობისაგან.

იყო ბრწყინვა ველთა
და დუმილი ყურეთა,
ღრუბელთ თეთრი კომკვი
სივრცეს გადაჰყურებდა.

და შორეთსაც ცვლიდა
ტკობა მასთან მისვლითაც,
ველთა ცვლადი არსი
გამოკრთოდა ნისლიდან.

ყოფას მარად რაღაც
აუხსნელი ერია...
გაიარა გულმა
სიცოცხლეთა სერია...

ახალ სივრცეებში

ვინ უფსკრულის, ვინ ცის,
დრო უზეგარდმოესია,

მუსიკალურ პრინციპს
იმეორებს პოეზია.

ჟამს ფიქრებთან ერთად
ვარსკვლავებზეც განაგებენ,
მივაკვლიე ფერთა
უჩვეულო განლაგებებს.

ო, საგანი ყველა
ჩემთვის უცხო მოენეა,
ნეტარება მსსნელი
ჰორიზონტებს მოებნევა.

მიმოფანტა ჟამმა
სახენი და სახელები,
გაზაფხულთა გამმა
ისმის მძაფრი გახელებით.

თუმც ხიდები გასდეს —
სული სხვას გამოეტირა,
ჩემს ტილოებს გასდევს
სულ სხვაგვარი პოეტიკა.

ძველს არასდროს კიცხავს,
ჩრდილები კი ეწელება,
ყველა ნაიკითხავს,
თუმც ის იქ არ ეწერება.

უცხოს ქმნიან რასმე
წამნი, ყოვლის გამომფქველნი,
მძაფრ სახეთა რაზმი
თვალს გჭრის ახალ ამოფრქვევით.

სულის შიდა ზრახვა
სხვა მშვენებით გაგაუხვებს,
პოეზია ახალ
სივრცეებში გადაუხვებს...

სინამდვილეთა ანსამბლი

ო, ფიქრების უთვალავო შრეებო და გარსებო,
შეცნობათა ქარავნები კედლებს შეეჯახება,
ერთდროულად რამდენიმე სინამდვილე არსებობს,
მაგრამ მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის შეხება.

ვერც ერთ კალამს ჭეშმარიტ გზებს ვერ უთითებს მელანი,
ვერც ერთ მხარეს ვერ მივუძღვნით
აბსოლუტურ აღწერებს,
სულ სხვადასხვა ქვესისტემებს შეჰყურებენ ყველანი,
ერთში მოხეტიალენი სხვებს ვერასდროს აღწევენ.

ვერ შევიძლოთ ყოველისთვის საკადრისის მიგება,
ვერ ვიპოვოთ ძიებათა საბოლოო სადგური,
შეუვალი მოძღვრებანი განუწყვეტილ იგება,
მაგრამ მათი ფუნდამენტი ტალღებზეა დადგმული.

მთაგრეხილნი ინგრევიან, მდინარენი იღვევა,
მიღმეთს გაუჩინარდება ქარი შორს მოთარეშე,
რისთვის გვინდა დავაგროვოთ ჩვენი გამოცდილება?
რასაც ვიკვლევთ, თვით ის ქრება ყველა კვალის გარეშე.

ვის, ვის ძალუძს დაიბრუნოს არსი განასხვისარი,
სული, შორეთშიმთვლილი კვლავ მიელტვის სანყისებს,
ვერც ერთ ველზე ვერ ვიპოვებ ჩარჭობილი ისარი,
არსებულის მდინარება ვერრას შევუსატყვისეთ.

ვერ გავიგნეთ თქვენი ნისლი, ფიქრთა ხშირო გარსებო,
რაც ვიპოვეთ, მარტივია, ვით პასუხი შარადის,
ერთდროულად უთვალავი სინამდვილე არსებობს,
მაგრამ ერთურთს ებრძვიან და აუქმებენ მარადის...

ბილიკები

ირგვლივ რაღაც განუწყვეტი
და უაზრო ომებია,
არასოდეს მათში ჩართვა
მე არ მომინდომებია.

უმცირესის მოხვეჭა და
წვრილმან მარცხზე ურვებია,
მე მოხვედრა იმათ მწკრივში
არასოდეს მსურვებია.

მე იმ ხმების ტრფიალი ვარ,
რომ ბორგავენ სათავეში,
იმ ქარიშხლით დასატკობდად
არაერთხელ გადავეშვი.

რაც შექმნილა საღებავი,
ჩემს არსებას ვერ ასახავს,
გასაოცრად, გასაკვირად
განვსხვავდები ყველასაგან.

ვინც მომხიბლავს — ღრმა შეცნობით,
არა ტკბილზე ტკბილი ქებით...
ო, სხვათა გზებს არასოდეს
ჰკვეთენ ჩემი ბილიკები.

ლალი გულისაშვილი

წითელი პარასკევია

წითელი პარასკევია,
უნდა განამონ, იესო,
ჩემი სამხილი, უფალო,
შენს სადიდებლად მიესო...

წითელი პარასკევია,
უნდა ჯვარს გაცვან, უფალო,
ცისკრის ვარსკვლავის სადარო,
ყოველთვის თავისუფალო...

პაპოს

ისე მენატრები... ისე...
ისე მენატრები... ისე...
ისევე მენატრები... ისევე...
ისევე მენატრები... ისევე...

ისე მენატრები... მაგრამ...
ისევე მენატრები... მაგრამ...

პატონ ბრივიარს

სახარებას გვასწავლიდით,
„ყელის ტბაზე“ რომ დაგყავდით,
„ოთხ ყრუზე“ რომ იცინოდით,
(რომ გვიკვირდა: რა ხდებაო?)
„მთის ნიავს“ რომ უპატრონეთ,
ჩვენთან ერთად, ეჰ, რამდენი
ღამე თეთრად გაათენეთ...

სახარება გვახარებდა!!!

თავისუფლება საქანელას ჰგავს...
საქანელაზე შემდგარი გოგო
ლალა და თავისუფალი...
როგორც იტყოდა დიდი მეტრი —
ოთარ ქილაძე!!!

მე ანევრიზმა მქონდა თავში...
ოპერაცია გავიკეთე.
წვეთოვანები ჩემს სხეულზე
წვეთ-წვეთად წვეთენ...
მასხოვს, როგორ მოვიდა ერთი ბიჭი
ავადმყოფ დედასთან
და რა საყვარლად,
მოუხერხებლად ხდიდა წინდას...
ხოლო ჩემთან ჯანა მოვიდა
და სული გათბა...

ჩემო ყოფილო დედამილო,
მულატო ლენა სკოტ!
როცა ვიმშობიარე,
ჩუმად ვიკითხე:
რა ფერია-მეთქი ბავშვი...
როცა გავიგე, თეთრიაო,
შვებით ამოვისუნთქე!!!
(თუმც მე სხვა ფერი მერჩივნა
მაინც)...

გაუთიბავი დაგვხვდა ბალახი
და დაკეტილი ყველა კარები,
ხეები ისე მოწყენილები,
ახლოს რომ ვერც კი გაეკარები...

სულ ცოტა ხანში ინთება შუქი,
გამოცოცხლდება მიდამო უხმო
და ბიძაჩემი, ჩონგურით ხელში,
თავის ბავშვობის ფრინველებს უხმობს...

შროშელო ბიჭო

შროშანისფერი ჩოხა გეცვა,
შროშელო ბიჭო,
მე შენთან დამრჩა ჩემი ხელები,
შროშელო ბიჭო,
ბებერი სახლი გელოდება,
შროშელო ბიჭო,
მეც გელოდები, გელოდები,
შროშელო ბიჭო,
სასწაული მოხდეს და (ეგებ) გამიღიმო,
შროშელო ბიჭო...



გაგრძელება

არასოდეს ემღებოდა სალამი. ნუგზარას გვერდით სოსო ვერასოდეს გაბედავდა, ისე აგდებულად მიემართა მამუკასთვის და დიმიტრისთვის, როგორც წელან. და სწორედ ეს ლალი, თითქოსდა ბუნებრივი ზრდილობა, აუღელვებლად თვალის გასწორების უნარი აცოფებდა მამუკას.

მამა კი აქ ეგდო, აი, აქ... არა, არ უნდა იფიქროს მამზე, თორემ გააგიჟებს, უკვე ძალიან კარგად იცის, რომ გააგიჟებს, როგორმე საღამომდე უნდა გაიყვანოს დრო, საღამოს კი თამრო მოვა, დასხდებიან სახლის წინ, მაგიდასთან, ლაპარაკს დაიწყებენ, უკვე უნდა დაემთავრებინა თამროს წიგნი, გუშინწინ შემოხვდა გზაზე და უთხრა, ორმოცდაათი გვერდილა მაკლიაო, ჰოდა, აუცილებლად დაამთავრებდა, ნეტავი რა აზრი გამოიტანა? მოეწონა თუ არა?

მაგრამ მანამდე დრო უნდა მოკლას. და მამუკამაც ის ფრანგი წყვილი გაიხსენა, ორი წლის წინათ რომ გაჩერდნენ გვერდით სახლში, ახალგაზრდა ქართველ თარჯიმანთან ერთად. სახლისკენ გამორეკილ საქონელს გამოყოფილი შეხვდა ორღობეში, საკუთარი ჭიშკართან, ზუსტად იქ, სადაც მამა ეგდო... არა, სხვა რამეზე იფიქრე... მამუკაც გაჩერდა, მიესალმა, თარჯიმანის მემკვიდრეობით გამოელაპარაკა და როგორც კი შეიტყო, ფრანგულ ლიტერატურას ასწავლიდნენ ქალაქში, საუბარი იქით ნაუყვანა, საითაც უნდოდა, ვიქტორ ჰიუგოსკენ და სანადელსაც მიაღწია, 93 წელზე ნაკამათდნენ, ბრძოლის ველის დასახელებაზე და მამუკამ იმარჯვა — ვანდელი! იმათ კი პირი დააღეს, ამ მიყრუებულ ადგილას, საქონლის სუნით გაჟღერებულმა მწყემსმა საიდან იცის ეგეთი რამეები?!

მეორე დილას მამუკა ნაადრევად აიპარა ლოგინიდან, წვილს დაუდარაჯდა და როდესაც გარეუბრებზე ფრანგები წელზე ნისლმემოხვეული დიდი მწვანე მთების სანახავად გამოვიდნენ აივანზე, ეზოდან გასძახა:

— ბონჟურ, მადამ! ბონჟურ, მუსიე! — ეგ იყო ის ორად-ორი სიტყვა, რომელიც კინოებიდან ისწავლა, თვითონ ფრანგული არ იცოდა, ფრანგულად მამა ლაპარაკობდა...

შვილის დაბადების დღეზე დაგვიანებულმა სანდრო ექიმმა უხეშად დააჭირა დედას მუცელზე ხელი, მახლობელ სოფლებში სასწაულების მომხდენი, ოცზე მეტი ჩვილის და კიდევ უფრო მეტი ხბოს ამტირებელ-ამღმუველებელი, ქალის წამოკივლებაზე მისხდა — რაღაცა ცუდი ჩაიდინა, ორი დღე აღარ მოშორდა, მოალოგინა და იმდენი ქნა, ახალშობილი გადაარჩინა.

იმის მერე თამუნას ხშირად გაჰქცევია თვალი სანდრო ექიმის დავენილი, მადლიერი მშობლებისგან დაკოცნილი ბებერი ხელებისკენ და საკუთარი მთელი მტკაველით მოკლე მარჯვენა ფეხისკენ და ხშირად უფიქრია, რა იქნებოდა უკეთესი, მისი გადარჩენა და დედის დაღუპვა, თუ პირიქით.

თავიდან ამას ვერ ამჩნევდა, ბავშვობა დაუნდობელია, მაგრამ ზიზღი არ იცის. ზიზღი მერე მოდის, სილამაზის შეცნობასთან ერთად. თამუნაც უდარდელად თამაშობდა სოფლის ბავშვებში და სანადელს მარტო წელი სირბილი ჰქონდა, რის გამოც მისი გუნდი თითქმის ყოველთვის აფეხდა დაჭერობანას, ორდროშობანას. ფიქრი მამინ დაიწყო, როდესაც შეამჩნია, არჩევანი-არადანად გაყოფილი გუნდების უფროსები ყოველთვის ბოლოს ირჩევდნენ.

— ეს ჩემსკენ!

— ეს ჩემსკენ!

და თუ ამრჩევი სანდრო ექიმის შვილი იშვილი შავთმიანი, ნაფოტაკბილა და კაჟივით მკვრივი ლუკა არ იყო, რომელიც ყოველთვის თბილად ექცეოდა და რომელიც გამორჩევი უყვარდა, თამუნას ირგვლივ ჯგუფად შემოკრებილი ბავშვების ტყე ყოველ ასეთ ფრაზაზე თხელდებოდა, ანამ საბოლოოდ არ გაიყოფოდა ორად. ერთნი აქეთ მოექცოდნენ, მეორენი იქით, ის კი მარტო ჩამდგარიყო შუაში და გაკვირვებული და მაინც იმედით სავსე მზერა გადაჰქონდა ერთი ამომრჩევიდან მეორეზე. სწორედ ამ ორად გაყოფილი გუნდებს შორის მარტოდ დარჩენილმა შენიშნა პირველად მის იძულებით ამრჩევ,

ორი წლით უფროს ნოდარკოს სახეზე იმედგაცრუება და მიხვდა — უკვე დიდი ხანია, აღარ ირჩევდნენ, პირიქით, ყველანაირად ცდილობდნენ, მონინალმდევგე მხარეს მოხვედრილიყო, თავისთან კი მარტო მამინ იყვანდნენ, თუკი სხვა აღარავინ დარჩებოდა.

ამ პირველ აღმოჩენას მოჰყვა მეორე — თამაშის დროს არავინ დასდევდა, ერთ გუნდში მოხვედრილი გოგო-ბიჭები ალყაში იქცევდნენ და ჭყვილით ეფათურებოდნენ ყველაზე მოქნილებს, სწრაფებს, სხარტებს, მას კი ზედაც არ უყურებდნენ, იცოდნენ, ვერსად გაექცეოდნენ, სწორედ ერთ-ერთი ეგეთი თამაშიდან მოტყუებით წამოსულმა, მამაჩემს უნდა მივებმაროო, ჩაუხვია მაყვლის ბარდებიანი ჭალიდან მდინარის პირზე, მიმოიხედა, დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, წყლის პირს მიუახლოვდა, აუყვა და ამ მოძრავე, ჩუხჩუხა სარკეში პირველად დაინახა ის პატარა, თხელი დარწმული აკვანივით აქეთ-იქით მოქანქარე გოგო, სხეულის არაბუნებრივი, უღამაზო რხევით რომ მიუყვებოდა ქვიან ნაპირს და წონასწორობის შესანარჩუნებლად იდაყვი მოხრილი ხელით ეყრდნობოდა, გვერდზე უცნაურად გამ-

ლადო კლასონია

შურისძიება



ოვარდნილ მენჯს და შერცხვა.

იმ დღის მერე გაჩნდა ბზარი, ბზარს აქეთ თამუნა იდგა, იქით კი აუღლებელი ციხესიმაგრესავით აზიდულიყო ჯანსაღი სამყარო, თავისი ხმაურთანად, ურცხვად, თითქოსდა განგებ, შესაშურად გადმოფენილი იმ სრულიად უმნიშვნელო სიამეებით, რომლებშიც თამუნა ყველაფერს მისცემდა, რაც კი გააჩნდა: წელის უკეთ გამოსაკვეთი მომდგარ კაბებში გამოწყობილი კისკისა გოგოებით, დღეობებზე აცეკვებულ წყვილებით, გამართული სიარულით, სირბილით, ცხელ დღეებში მდინარეზე წასვლით, ხალხით სავსე სანაპიროზე ტანსაცმლის დაუფიქრებლად გადაძრობით და წყალში შეტყურვით.

რამდენჯერ დამდგარა ოთახში მარტო დარჩენილი კარადის სარკესთან ოდნავ გვერდულად, ისე, რომ ამობურცული მენჯი გამქრალიყო და რამდენი ხანი უყურებია ასე საკუთარი ანარეკლისთვის. აი, დგას და საერთოდ არაფერი ეტყობა, ჩვეულებრივი, თხელი გოგოა, სასიამოვნო სახით, შავი თმით, სწორი ნაკეთებით, მკერდი ეზრდება, სხეული ფორმას იცვლის, იღვიძებს, ყალიბდება და ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი ჩვეულებრივად, სანამ უძრავად არის, მაგრამ საკმარისია, ნაბიჯი გადადგას, შეირხეს და მორჩა, გამოსახულება იბრცება, გვერდებიდან საზიზღლად ამოდის მენჯი, იდაყვზე დაყრდნობილი ტანი ფესვყარულ ხესავით იხრება და მორჩა, ის ისევე მარტო დგას ორად გაყოფილ და თამაშსმონადინებულ ბავშვებს შორის და ხან ერთ ამრჩევს შეჰყურებს იმედით, ხანაც — მეორეს.

და თამუნამ ბავშვებთან თამაშს თავი ანება, აღარც იმათ მოუკითხავთ, მარტო ლუკა მოდიოდა დილაობით და პატარა კალათით მოჰქონდა ჭალაში დაკრეფილი მაყვალი, ის და თამუნა გვერდიგვერდ სხდებოდნენ ეზოში ხის სკამზე, ლაპარაკობდნენ, ერთად შეექცეოდნენ კალათიდან მაყვალს და ხანდახან ტკბილ

წევნი გათხიზნილი მათი თითები შემთხვევით ეხებოდა ერთმანეთს.

მერვე კლასში გადასულმა ნისკვილიდან ურიკით წამოიღო ფქვილი. გზად ჭალასთან უნდა გაეყო. ჭალას გზისგან პატარა მწვანე ბორცვი ჰყოფდა, როდესაც ბორცვის თავზე მაყვლის ბუჩქები გამოჩნდა, თამუნამ ურიკა იქვე მიაყენა და ფერდობს აუყვა. ნახევარი გზა არ გაევილო, რომ ხმაური შემოესმა. ერთი პირობა იფიქრა, უკან მივბრუნდებო, თუმცა მერე სვლა განაგრძო, არ იცოდა, როდის, მაგრამ უკვე შეჩვეოდნენ ერთმანეთს — სოფელი მას და ის საკუთარ ხინჯს.

ხმაური გაძლიერდა, ხმამაღალ სიცილად იქცა, თამუნამ ფრთხილად მისწინა მოსწია ეკლიანი ბარდები: მაყვლის ბუჩქებით შემორკალულ ჩადაბლებულ ალაგას სიცილისგან ყირაზე გადასული გოგობიჭების წრეში წელსხემოთ შიშველი ლუკა ჩამდგარიყო, შავ ბურთად დახვეული მაისური მარცხენა მენჯზე დაედო, იდაყვი მოხრილი ხელით დაჰყრდნობოდა ზედ და თამუნას მიბაძვით, რწევარწევით დადიოდა წრეზე.

თვითონ ხმა არ ამოუღია, რომელიღაცამ დაინახა, ხელი გაიშვირა, ლუკა მის-

კენ მობრუნდა და სიცილი ლოდივით ჩამოწყდა სახიდან. აი, მანდ ვეღარ გაძლო თამუნამ, ხელები აიფარა, ატირდა და ბავშვობის მერე პირველად გაიქცა.

ახლა ვეღარ იხსენებდა, სად აროგორ იარა, მაგრამ ბოლოს მდინარის პირას, ვინრო ხეობაში აღმოჩნდა და ფეხით აუყვა დინებას. მიდიოდა სიჩუმეში, აღმა, თვითონაც არ იცოდა, საით, მარტო წყლის ხმა მოჰყვებოდა და გრძნობდა, როგორ ამშვიდებდა ეს ხმა, გვეგონებდა ვიღაც უხილავი, დიდი და კეთილი მოაბიჯებდა მის გვერდით და თბილად ეჩურჩულებოდა. ამის შემდეგ თუკი ოდესმე გულზე დარდი შემოაწვებოდა ან ძალიან ატკენდნენ გულს, თამუნა მდინარის პირას ჩადიოდა და წყლის ხმას და სიჩუმეს მიყურებდა და ალბათ მიუყვებოდა ნაპირს, რადგან მამინ, იმ დღეს, სწორედ ალმა სიარულმა მიიყვანა ტაძრამდე.

ტაძრამ კლდოვანი დახავსული მოსახვევის იქიდან დაიწყო გამოსვლა, წელიდან ასული ნისლიდან გამოაბიჯა თეთრ-ი და შავგუმბათიანმა. თამუნა მონუსხული აჰყურებდა ამ ვინროსარაკლებიან გოლიათს, წყლის ხმას უსმენდა, უყურებდა ტაძრის ჩაბნელებულ სიღრმეში დანთებულ სანთლებს, მწვანე მდელოზე გაბნეულ რუხ, ოთხკუთხა, ჯვარამოტივიფრულ საფლავებს, ტყის პირზე პირბადესავით შეკრულ ნისლს და ხვდებოდა, აღარც სიარულის თავი და აღარც სურვილი ჰქონდა, აქ უნდოდა დარჩენა, ამ სიჩუმეში, ამ თეთრადშებატაშებულ ტაძართან, ამ ჯვრიან უცხო საფლავებთან და წყლის ხმასთან, რომელმაც დაამშვიდა, გადაარჩინა და რალაციისთვის მოიყვანა აქ. მერე რუხ საფლავებს შორის შავად აისვეტნენ გრძელსამოსიანი სხეულები. სველ, გაყინულ თამუნას, ფრთხილად შემოეხვიენ ნაჯავი, უხეში, მზრუნველი ხელები და სანთლის შუქით განათებულ სენაკში შეიყვანეს.

გამოთენიისას მდინარის ლურჯნის-ლიანი ხეობა მაშხლებიანმა რაზმმა გამოშინა, რომელსაც სანდრო ექიმის შვილი ვოდა. მოხუცი თამუნას მამასთან ერთად შემოჰყვა მღვდლებს იმ სენაკში, სადაც თამუნა იწვა, შუბლზე დაადო ხელი, გულის ფეთქვას მოუსმინა, როგორ ხარ, შვილოო, ჰკითხა, დახედა და მეორე წამსვე აარიდა თვალს. იცოდა თამუნამ, სანდრო ექიმი ვერასოდეს უსწორებდა მზერას. მამა დიდ ხანს ეხვეწა, სახლში დაბრუნდი, შვილოო, მაგრამ თამუნა აღარ ნაჰყვა და მეორე დილას მის სანახავად ამოსულ ლუკასაც აქ დახვდა, ამ ჯვრიანი საფლავებით მოფენილ მინდორზე. და როდესაც საცოდავს და თავდახრილს არც კი აცალა ხმის ამოღება, ისე გადაეხვია, ლუკა ატირდა, მერე კი თავისი გარუჯული ხელი ჩააცურა ერთ-ერთი საფლავის უკან და იქიდან მაყვლით სავსე დაწნული კალათი ამოიღო. თამუნამ ღმილით ჩამოართვა საჩუქარი, მაგრამ აღარ უჭამია, არა იმიტომ, რომ არ აპატია და ეკლესიაში დარჩენის მსურველმა ტაძრის წინ შემნდობის როლი გაითამაშა, არა, აპატია, აპატია ბოლომდე და კიდევ უფრო შეუყვარდა ლუკა, მაგრამ ზუსტად იცოდა, ველარასოდეს დაივინებდა მაყვლის ბუჩქებში ჩამალულ მღვდლებს სიცილისგან მინაზე გაგორებული ბავშვების წრეში ჩამდგარ მეგობარს და ველარასოდეს გახდებოდა ისეთი, როგორც იყო მანამდე...

სუროსავით სიცილისუნარიანი გამოდგა მეფის გვარდის ოფიცრის ძეგ-კა ტაუჯივის შუათანა ვაჟი გრაფა ტაუჯაშვილი — 1912 წელს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე მდებარე ოსურ სოფელ ფიცესში დაბადებულმა ბიჭმა, 1921 წელს ტიფი, ჩვენებურად სურავანდი ხომ გადაიტანა, სიმაღლეშიც წავიდა, მხრებშიც გაიშალა და გრძელხელები, თხელმა და უბადლო მცელავმა 1939 წელს სოფელ ავეკეთიდან ცოლიც ითხოვა — თამარ ქელესაშვილი. ქალს გრძელი შავი თმა, თაფლისფერი თვალები და ხელზე ირიბად გადებული წვრილი იარა ჰქონდა.

მაგრამ მალე გრაფა ჯარში გაიწვიეს, არტილერიისტთა პოლკში ჩარიცხეს და საზღვარზე გაამწესეს. კარგ არტილერიისტად მიიჩნეოდა თურმე — რო დაჟუმინებდი, აღარ ავაც-ილებდი!

— კაცო, ეს აქეთ განათდა და რაშია საქმე?! — გასძახა 1941 წლის 22 ივნისს დილის ოთხ საათზე საგუშაგოზე მდგომმა გრაფამ რუს მეგობარს და თავისი გრძელი ხელით ანიშნა უცნაურად, თითქოს ელექტრონათურის შუქით გაბრღვიალებულ ღამის ცაზე.

— უჩენია იქნება, დანყნარდი! — მშვიდად უპასუხა მამან და რამდენიმე წუთში გრაფამ პირველად გაიგო ზუზუნით გადმოფრენილი თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ბომბების სისხლისგამაყინავი წული.

— Спасайся кто может! — ამის დაყვირებულ მოასწრო მათმა პოლკოვნიკმა, მსუქანმა და წითელსახიანმა დროზდოვმა, სანამ წულით დაშვებული ჭურვი გრუხუნით აისროდა მიწის შავ გორბებთან ერთად ჰაერში.

გრაფა ტყვედ ჩავარდა. არ უცემიათ, არც უწამებიათ, აჭმევდნენ კიდევ, ერთი კი იყო, სულ შვანი, შვანის დასძახოდნენ! ხან რაზე ამუშავეს, ხან რაზე, ბოლოს მიიყვანეს სადღაც — ომი უკვე კარგა ხანია გრძელდებოდა. წერაქვები მისცეს და გრძელი თხრილი გაათხრევიანეს, იმ სიგრძე, რომ ვიღაცებს უკითხავთ, რას გვაკეთებინებთო? ნავთობი უნდა მოვზიდოთო, უთქვამთ გერმანელებს. გაუთხრიათ ამათ, რის შემდეგაც ისევე უკან, ბანაკში წაასხეს, თხრითან კი ებრაელები მორეკეს, დაამკრივეს, მაგრამ თავისი ხელით არ დახვრიტეს, მთვრალი ლიტველები მოიყვანეს, იარაღი მისცეს, თვითონ უკნიდან დაუდგნენ, კეფაზე ავტომატები მიადეს და იმათ დაახოცინეს. მერე ისევე გამოეკვს ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები და მიწა მიყრევიანეს თხრილზე. გრაფა იქ აღარ ყოფილა, მაგრამ ვისაც მაგის კეთება მოუწია, ორი კვირა არწყვედა თურმე, ავტომატის ჯერი ხომ ყველას ვერ მოკლავდა და ცოცხლების დამარხვაც მოუწიათ.

გრაფა კი ოსვენცემში მოხვდა, სადაც პატიმრები ღამის განმავლობაში გარდაცვლილებს ხელის კერით აგდებდნენ ნარებიდან. ორმოცი კილო გახდა, მაგრამ



გადარჩა, რადგან 1921 წელს გადატანილი სურათებისგან იმუნიტეტი ჰქონდა და სენი, რომელიც ისე აწვევდა ხალხს, როგორც ფიცის დამრეც ველებზე გრაფას ღონიერ ხელებში ჩაბლუჯული ცელი ბალახს, არ მიეკარა.

1942 წლის ბოლოს ბანაკში ხმა დაირხა, კავკასიელები მოიყვანესო. გრაფა და სხვები ტყვეების მოსანახულებლად წაიყვანეს და როდესაც ბრძოლაში დაჭრილებს ჩაუარეს, გრაფა მავთულხლართიან ლობეს ეცადა ხავილი დაიწყო — ტალახშიმხმარი, ბინძურ საკაცზე ცვილივით ფერმიხბილი მისი უფროსი ძმა გიორგი იწვა. გიორგი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და ჯავშანი ჰქონდა, მაგრამ 1942 წელს მოხალისედ ჩაენერა, ქერჩის ბრძოლაში მიიმედა დაიჭრა და მართალია, გადარჩა, თუმცა ტყვედ ჩავარდა და იმდენად დასუსტდა, სიარული ვეღარ შეძლო და მაგიტომაც ესვენა საკაცზე.

— თუ გინდა, გადარჩეს, შენი პაიოკი უნდა მისცე! — უთარგმნია გრაფასთვის გერმანელი ექიმის სიტყვები რუს ოფიცერს.

ორმოცილოვანმა გრაფამ საჭმელი ძმას დაუთმო, გიორგი გადარჩა და გრაფამ ძმისგან შეიტყო, 1939 წლის ბოლოს გოგო შეგეძინაო. ცოტა ხანში კი მომჯობინებელი გიორგი სადღაც წაიყვანეს.

— რაღაცა ფორტიფიკაციის ასაშენებლად აგროვებენ ხალხს, ლა-მანშთან არიო, და წამო, წავიდეთ, საცა ცოტა ხალხია, იქ ცხოვრება უფრო იოლია! — უთხრა გრაფას ერთმა რუსმა, ამასაც ჭკუაში დაუჯდა და ეგრე მოხვდა საფრანგეთში. ორი წელი იმუშავა ლა-მანშთან მშენებლობაზე, ფრანგული ისწავლა და ძალიან შეუყვარდა ფრანგები. უბრალო ხალხიაო, კეთილიო, ხშირად გვაძლევდნენ საჭმელსო, ჰყვებოდა მერე.

1944 წელს ლა-მანში მოკავშირეებმა აიღეს, გერმანელები გაიქცნენ, ესენი კი დატოვეს და ერთ-ერთმა ფრანგმა ამერიკელ ჯარისკაცებს ჩააბარა, აქ ჰყავდათ ტყვეებად, ამუშავებდნენო. ამერიკელებმა ფართე მოედანზე ჩაამწყობეს ყოფილი ტყვეები, წინიდან და უწინიდან დუსტი მიაყარეს და დუსტის უნახავმა გრაფამ თვალებს არ დაუჯერა, ტანსაცმელში ჩაბუდებული ტილები შავ მასად არბოდნენ თავებისკენ. შემდეგ ყველას შხაპი მიაღებინეს, ახალი ტანისამოსი მისცეს, გემებზე აუძღვნენ და ინგლისში გადაიყვანეს გერმანელ ტყვეებთან ერთად. გზაში ერთ-ერთ გერმანელ ოფიცერს რწვევისგან გული აერია, წამოგდა გრაფას რუსი მეგობარი, მიუახლოვდა, ქერში ხელი წაავლო, ნარწყევი ჩააყოფინა თავი, შვანი, შვანიო! გერმანელები საჩხუბრად გაქაჩულან, თავისიანებს მიშველებიან რუსები და ჩხუბი იქამდე არ გაჩერებულა, სანამ ინგლისელმა ჯარისკაცმა ავტომატი დააკაწა და მკაცრად უთხრა: აქ ყველანი ტყვეები ხართ!

ინგლისი გახდა ერთადერთი ქვეყანა, სადაც გრაფამ წონა მოიმატა, არც აქ და არც სადმე სხვაგან იმის მერე ქონი არ მოსდებია.

1945 წელს რუსი ტყვეები გიბლარტარის შემოვლით დააბრუნეს ოფისში, წერთნა გაატარეს და იაპონიის ფრონტზე გაგზავნეს, მაგრამ ომი მათ იქ ჩასვლამდე დამთავრდა და გრაფა, როგორც ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცი, ციმბირში დატოვეს, არა როგორც პატიმარი, არამედ — როგორც თავისუფალი მუშა.

იქაც გამოურჩევიათ მაღალი, ტანხმელი ოსი — ტყვეში მუშაობდა მატარებლის ლიანდაგებს შორის ჩასაწყობი ძელების, შპალეების დამზადებაზე, სტახანოველი გახდა და 1947 წელს დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელ ფიცისში. უფროსი გოგო რვა წლისა დახვდა, 1949 წელს კი მამუკა დაიბადა. იგივე ბედი ეწია გიორგის, ისიც იაპონიისკენ გამგზავრებული დატოვეს ციმბირში და 1956 წელს დაბრუნდა საქართველოში.

1956 წელს საბჭოთა მთავრობამ სამგორში გადაიყვანა მდინარე თეძამის ხეობაში ჩასახლებული მთიელები, მათ ადგილას კი ოსები დაასახლა. ფიცისი დაიცალა, გრაფა ოჯახთან ერთად აქედან გადმოხარგდა, სადაც ადგილობრივმა კოლმურნეობის თავმჯდომარემ სახლი და მიწა მისცა და მწყემსად და ყარაულად დააყენა. ყოველ დღეს სამი ჭიქა არყით ინყებდა გრაფა და წელშიმოუხრელს და

მგლისმუხლიანს ვერავინ დაუდგებოდა სიარულში და ვერავინ გაეჯიბებოდა ცელვაში. წელიწადში ერთხელ ოჯახი აუცილებლად ადიოდა ფიცისში ნასახლარის მოსანახულებლად. წამოსვლისას შედგებოდა ხოლმე გორაკზე გრაფა, ერთხელაც მოავლებდა თვალს წინა წელთან შედარებით ყვეთელ მინდორში კიდევ უფრო ღრმად ჩაფლულ ნასოფლარს და ეგრე დაეშვებოდა ქვემოთ, ტყისკენ. მამუკას დამრწვნილი ფიცისში დაასრულა, მამუკამ — ქვემოთ, ქალაქში, სადაც ისწავლა ქართული, მერე კი ტექნიკუმში ჩაირიცხა და მევენახეობას დაეუფლა, ცოლიც მოიყვანა, შვილიც ეყოლა და ყველაფერი მიდიოდა კარგად, წყნარად, შრომაში, სანამ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გამსახურდიამ სამძიმარზე წამოსული ცხინვალის დელეგაცია უკან არ გააბრუნა, მერე კი ორმოცი ავტობუსით თვითონ დაიძრა ცხინვალისკენ, სადაც უკვე ოსებმა აღარ შეუშვეს.

ლოზუნგებს — „უნდა წავიდნენ!“ ჩვენ მიწები დააბრუნონ!“ „უცხო ტომი!“ — დაყარალები მოჰყვა.

1991 წელს ორმოცამდე ოსური სოფელი ერთ თვეში აიყარა და ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა.

მაშინ ყველანი დაბლა, ქალაქში ცხოვრობდნენ, მარტო გრაფა რჩებოდა ძველ ადგილას, იმ, ტყიან სოფელში — საქონე-



ლი მყავს, ყველას ვიცნობ, ვინ რა უნდა დამიშავოსო!

ორჯერ დაყაჩაღეს, პირველად ხბო წაიყვანეს და დაემუქრნენ — ნადით; მეორედ შვიდი სული საქონელი წაასხეს, სახლში ქვევრები დაუცხრილეს და შიგ ჩაუჯვეს. ოთხმოცი წლისა ხდებოდა გრაფა, მაინც არ მოიცვალა ფეხი.

— წამო, ადამიანო, გადავიდეთ ვლადიკავკაზში, აღარ შემოძლია ესე, დატენილი თოფითა მიინავს სულ!

— ცოტაც და გადაივლის, დაიცა!

ეგ იყო მამუკას და გრაფას ბოლო ლაპარაკი. მერე მამუკა ქალაქში ჩავიდა, მხარზეცელადებული გრაფა კი მაღლა აუყვა ფერდობს სათიბებისკენ. მანქანაში ჩაჯდომამდე შვილმა კიდევ ერთხელ ახედა მამას, ბულულებით გარშემორტყმული, ყვითელ ბალახზე თავდახრილი მოხუცი რითმულად ატრიალებდა წელს, ხელი, წელწერილი, ჯოხსდაუყრდნობელი.

მეორე დღით ზემოთ ასულ დედას სახლის წინ, ჭიშკართან სისხლის გუბე დახვდა. გუბიდან სახლისკენ, სქელი, მიწანარევი ნითელი ხაზი მიხობავდა, გრაფა თავისი გაბოლილი, ერთსართულიანი სახლის სიღრმეში შემალულ სანოლზე ცურავდა სისხლში და ამოსუნთქვისას მუცლიდან წამოსულ ხროტინს სისხლს აყოლებდა.

ოთხნი ყოფილან, დაბნელებამდე მოსდგომიან, ფული მაიტაო, სოფლის დასახლად გამოუყვანიათ ჭიშკრის წინ და კონდახებით და ნიხლებით შემდგარან, მერე იქვე დაუგდიათ, სახლი გადაუნგრევიათ და წასულან. გრაფა გვიან ღამით ისევ ჭიშკართან დაგდებული მოსულა გონს, აუხედავს რამდენიმე სახლის სანთლის შუქით განათებული ფანჯრებისთვის, ბოლო ძალები მოუკრიფავს, შინ შეხობე-

ბულა, ლოგინზე ამძვრალა და დილამდე გაუქაჩია.

— ვინ იყვენ, იცანი? — უკითხავს ცოლს.

— არა, არა, მამუკას არ დაემართოს რამე, — უთქვამს მოხუცს, სული დაუღევი.

და მამუკამ იცოდა, იცნო გრაფამ თავისი მკვლევები, ყველა თუ არა, ვიღაცა მაინც და შვილის დასაცავად წაიღო ეგ საიდუმლო იქით.

თავიდან უნდოდა, მამა ფიცისში დაესაფლავებინა, მაგრამ დედამ იუარა, საფლავზე ვერ ვივლიო — ამიტომ გრაფა დაბლა, ქალაქში დაკრძალეს. მამუკამ ოჯახი ვლადიკავკაზში გახიზნა, სამი წლის შემდეგ დაბრუნდა უკან და ისევ შრომას მიჰყო ხელი. მაგრამ ქალაქში ვეღარ ჩერდებოდა, რატომღაც გული სულ იმ ტყიანი სოფლისკენ მიუწევდა და როგორც კი დროს იხელთებდა, იქით გარბოდა, აღებდა ჭიშკარს, შედიოდა იმ გაბოლილ ერთსართულიან მიწურში, ჩამოჯდებოდა სკამზე და მამაზე ფიქრობდა. ფიქრობდა პატარა თავდაღუნულ მავთულზე, რომელსაც სახლის მთავარ საკეტად ხმარობდა გრაფა, რკინის ნაცრისფერ თუნგზე, რომელშიც ინახავდა არაყს, გრძელ, ჟანგმოდებულ ცელზე, რომელსაც ვერავინ ასისინებდა მასავით მსუბუქად და ოსტატურად, იმ დღეზე, ბოლოჯერ რომ

აპხედა დამრეც სათიბზე ღონიერად ფეხგამდგარს და იმავე საღამოზე, როდესაც ოთხი კაცის მიერ სასტიკად ნაცემი მოხუცი იმედით აჰყურებდა მდუმარე სოფელს, მერე კი მარტო გახობდა საწოლისკენ და სრულიად მარტო დილამდე კბილებით ეკავა სიცოცხლე.

არ ახსოვს, პირველად როდის და ვის მოუყვა მამას ამბავს, ერთი იცის — სტუმარი იყო, ტურისტები, თვითონ კი უკვე საბოლოოდ გადმობარგებულიყო აქეთ. ამდენი რამე გამოიარა და აქ ჩანჩხლესო, დაამთავრა თხრობა ამ სიტყვებით და მსმენელების გადიდებულ თვალებს რომ აპხედა, იგრძნო — რაღაცნაირად მოეშვა.

არ იყო მამუკა უბრალო კაცი, კითხვა უყვარდა, იუმორიც ჰქონდა, მკვირცხლი გონებაც, ეს იცოდა და როგორც კი მიხვდა, მამას ამბავი სამივე მხრივ კარგად მუშაობდა — შევბასაც ჰკვირდა, უფრო საინტერესო კაცადაც აჩენდა და გულში ხვდებოდა ყველას, მოყოლას მოუხშირა. დააკვირდებოდა აქეთ შემოხეტებულ ტურისტს, რაღაცებს გამოჰკითხავდა და თუკი მასში ინტერესიან კაცს ამოიცნობდა, ჯერ ნიგნებზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს, მერე პოლიტიკაზე და ეგრე მიადგებოდა გრაფას ამბავს და კი, რცხვენოდა ხანდახან საკუთარ თავის, მაგრამ ამ სანახევროდ დაცლილ სოფელში მცხოვრებს, მობერებულს და მარტო დარჩენილს თითქმის სულ გადასძლევედა ლაპარაკის და კიდევ იმის სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტს გაეგო მამის შესახებ.

თურმე როგორ ეშლებოდა?! თურმე მიზეზი სულ სხვა იყო, მაგრამ ამას მამუკა იმის შემდეგ მიხვდა, რაც დედაბერი იპოვნა...

— მაინც გირჩევი დაფიქრებუ-

ლიყავი, შვილო, ახალგაზრდა გოგო ხარ ყველაფერი წინ გაქვს, ღმერთმა სიკვდილის მატარებლად, მის მშობლად შეგქმნა, მონასტერში ცხოვრება ძნელია, ეს გარედან ჩანს ტაძარი მშვიდი, საამო, თუმცა მისი მონახულება ერთია, აქ ცხოვრება კი მეორე, — კვლავ სცადა მისი გადარწმუნება მამა ესაიამ, მაგრამ როდესაც იგივე მოკლე და ჯიუტი პასუხი მოისმინა, უხმოვად ამოიხრა, მის წინ რკინის უხეშ მანქანაზე დაღვენილი სანთლის ალი შეარხია და დაღარულ, წვერში ჩამალულ სახეზე ჩრდილები აულიციცდა.

— მამ კარგი, — თქვა ხმადაბლა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, — ჩვენთან ვეღარ დარჩები, ამიტომ დედა შუშანიკთან უნდა გაგზავნო, — წამოგდა, პირჯვარი გადასახა და სენაკის გასასვლელისკენ გაემართა.

— მამაო! — მოესმა უკნიდან და დაბალი ხის მაგიდისკენ შემობრუნებულს მკერდზე სახით მიეკრო პატარა, თხელი, შავებში ჩაცმული გოგო.

წამით ეუხერხულა მამა ესაიას ქალის სხეულს ასე მჭიდროდ შეხება, მაგრამ მერე ღრმად დანაოჭებული, მკაცრი სახე ღმილში გაულღვა, თვითონაც შემოაჭდო გრძელი მკლავები გოგოს, თავი დახარა, შუბლზე აკოცა და უთხრა:

— სუ ეგეთი შუშასავით სუფთა და სათუთი ყოფილიყავი, შვილო და გახსოვდეს, არასოდეს შეიძლო ადამიანი, ჯოხს, მისგან წამოსული ყველა წყენა შიგ გულში მოგხვდეს, ვიდრე იქამდე მისასვლელი გზა ბოლმამ, შურმა და სიცვიემ ამოავსოს! ახლა კი გაემზადე, ხვალ დილას მიდიხარ! და ასე მოხვდა თამუნა დედა შუშანიკთან.

დედა შუშანიკი, გამხდარი, კბილნაკული, ბამბის ფთილასავით უწონო ქალი, კიდევ ერთ მონაზონთან, დედა სიდონიასთან, ერთად ცხოვრობდა მდინარის პირას გაშენებულ, ტყეში ჩამალულ სოფელში. თავიდან მონაზვნებს ყოფილი კოლექტივის ყოფილი თავმჯდომარის ორსართულიან დანგრეულ ქვის სახლის პირველი სართული ეკავათ თურმე, მაგრამ მერე აქაურ ღვთისწიერ და შემდეგ კაცს, ნუგზარს, საკუთარ ეზოში მათთვის მოზრდილი მიწის ნაკვეთი მოუზომავს, შემოუღობავს, ორსართულიანი სახლი წამოუჭიდავს და უსასყიდლოდ გადაუცია დედაოებისთვის, რის გამოც ორივე მონაზონი ყოველ საღამოს ლოცვებში იხსენიებდა ღვთისწიერ მფარველს. მონაზვნებმა ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს ახლადმოსულს ნუგზარის ნაჩუქარ სახლში, სოფელი დაათვალიერებინეს, ახალი ტანისამოსი მისცეს და მეორე დღიდან თამუნა საქმეს შეუდგა. მთავარი მდინარის გადაღმა ტყეში შეკარგული ძველი ტაძრის მოვლა იყო. დღისით ტაძრის ეზოში მუშაობდნენ, გვიდნენ, ქვის ლობეს ამაღლებდნენ, სარეველას სხეულებს, ეკლესიას ასუფთავებდნენ, საღამოს სახლისკენ წამოსულები მინავლებულ კოცონებთან დაყრილ ნაგავს აგროვებდნენ და მდინარეზე გადებულ ხიდზე გადასვლები სოფლის შესასვლელთან მდგომ ერთადერთ ბუნეკერს აპირებდავენდნენ, მერე სახლში შედიოდნენ და იქაც ფუსფუსებდნენ, კარმიდამოს უვლიდნენ, შებინდებულზე ლოცულობდნენ, ვახშობდნენ, ღამით ხელსაქმეს მიმსხდრები ლაპარაკობდნენ, ისევ ლოცულობდნენ, წებობდნენ, მეორე დღეს კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა. სოფელში ჩამოსული ნუგზარი აუცილებლად მონახულებდა დედა შუშანიკს, წვერილად გამოჰკითხავდა ყველაფერს, რა უჭირდათ, რა ულხინდათ, რა სჭირდებოდათ და თუ დახმარება შეეძლო, დაეხმარებოდა. თავიდან თამუნას ძალიან ერიდებოდა ამ შეჭარბარავებული, ძარღვიანი და მკაცრთვალეებიანი კაცის, მაგრამ როდესაც დედა შუშანიკმა ნუგზარი გააცნო და მათმა მფარველმა თბილად გაუღიმა და მორჩილად დახარა თავი, მოეშვა და, როგორც იქნა, რამდენიმე სიტყვა წაიღულულა. ხანდახან ნუგზარი შვილთან ერთად, მასავით მკაცრთვალეებიან სოსოსთან ერთად ამოვიდოდა და თამუნა ამჩნევდა, მოჩვენებითი სიმკაცრის მიუხედავად როგორ შესცივნიებოდა მამა ერთადერთ შვილს...

— რით ველარ დაიხსომე, რომ დეიდა კი არა, უფრო მამიდა ვარ.

— ჰოდა, უფრო მამიდა, მომენატრე და მოვედი.

— ეგრეა, ბედნიერები აქ არ მოდიან, ნასვამებს, გაუპატიურებულებს, კრიმინალებს ან უიმედოებს, გზააბნეულებს თუ გავახსენდები... შემო, შემო!... ამის გარეშე არ მივიღებდი? — ჩამომართვა შამპანური. კარადის აქეთ ბავშვებს ეძინათ. ფრთხილად ვაბიჯებდი, მაგრამ თინას იატაკს როგორ გაივლიდი, რომ არ ექრიალა.

— შამპანური ცივია. თუ დროზე არ გავხსნი, გათბება. ჭიქები მე მოვძებნო თუ თქვენ...

ლამის ენა გადავყლაპე — ტახტზე, ნახევრად მუთაქაზე მიწოლილი ზანგო რომ დავინახე, რა თქმა უნდა, შავი სათვალით და თითქმის ყოფილიდან დანყბული, უკან გადასიპული, მუქი, სხივილა თმით.

გვერდით საფერფლე უდგას და ისიც ენევა.

ახელებს, ახელებს. თუ ჩაბყირდა, ველარ ჩერდება.

— ხომ იცნობთ ერთმანეთს, — რიგრიგობით მოგებაჩერდა თინა, — ერთ უბნელზე ხართ.

— რადგან ცივია, უნდა გაიხსნას! — არ უპასუხა ზანგომ კითხვას.

ვერცხლის ქაღალდი ფაციფუცით შემოვხსენი და ახლა მავთულს დავუნყე ნვალემა.

— აჩქარება ამნაირ საქმეს არ უხდება! — ჩაილაპარაკა ზანგომ და ხელი გამომიშვირა.

შამპანურის ბოთლი მივანოდე. ხეიბარი მკლავით ბოთლი მკერდზე მიიხუტა, გახსნა მშვიდად, აუღელვებლად — საცობიდან წყნარი ფშვინვა ამოიფრქვა.

— ქალბატონო თინა, ეს რა მოიტანე, ჩაის ფინჯნით შამპანურის დაღვევა შეიძლება?

— რა ვიცი, „გარეჯზე“ კარგად მიდის და...

— როგორ, ეგ რა მითხარი, მოგიკვდეს ჩემი თავი, „გარეჯის“ დაღვევას შენ ვინ გაკადრებს!.. აი, გქონია შუშის თხელი ჭიქები, გვიმალავდი?

— ჰო, თვალი რომ არ შეგიგორდეს და არ დამანერო.

— ხომ იცი, შინაურებში არ ვმუშაობ, — ჩაეცინა ზანგოს, — ნელან რაო, როგორ ბრძანე, ვის თუ გავახსენდებო?... აბა, გაგვიმარჯოს! — მომიჭახუნა ჭიქა.

— ეჰ, რა სიამოვნებაა, — თინამ შამპანური მოსვა და თვლები ნეტარებით ავესო, — კარგია კარგი ცხოვრება.

— კარგია, მაგრამ, თუ არ გარისკე... ამას შოკოლადიც უხდება!

— უჰ, როგორ გამოვტყერდი, — შუბლზე მივირტყი ხელი და პიჯაკის ჯიბიდან შოკოლადის ფილა ამოვიღე.

— უყურე, შენ? გვიტყავდი, ბიჭო? ბებია როგორ არის?

— არა უშავს, ცოტა მობერდა.

— მეც კარგი ბებია მყავდა...

— მახსოვს, ქუჩაში ცინგლების წმენდით რომ მოჰყავდი ხოლმე, — სიცილი აუტყდა თინას, — მე და ლუკა მუსიკალურში ერთდროულად ვსწავლობდით... ვსწავლობდით... ოღონდ სხვადასხვა კლასში...

პაუზა. თითქოს შამპანურის ყლუპს ჩააყოლა სიტყვები.

— მერე? — ზანგო რატომღაც დაიძაბა, ვიგრძენი ჭიქას როგორ შემოსასლტა თითები.

— მერე, მამის სიკვდილის შემდეგ, ხმა დავკარგე, ისე განვიცადე, მაგრამ მაინც მუსიკას გავყვი, ზოგიერთმა კი... ზოგიერთმა პროფესია შეიცვალა!

თინას ხაზგასმულმა ტონმა ზანგო გააღიზიანა.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, პროფესია არ შემიცვლია, ეს ჩემი პროტესტია იმ სიღამპლის მიმართ, რომელშიც ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ.

— მერე, ამ ფორმით? ხელოვნებით გამოგებატა შენი პროტესტი.

— ხელოვნებაც ამათ სამსახურშია... ვირთხებივით გამოჰყავთ მეხოტბეთა თაობები, იმ ვირთხებივით, შენნაირი წესიერი ადამიანების ბინის კედლებსა და იატაკს კი არა, სიცოცხლეს, ცხოვრებას, უკეთეს პერსპექტივას რომ ღრღინან და ფეკავენ.

— დალოცვილო, ეგ ყველაფერი კარ-

გია, მაგრამ მე ბრძოლის ფორმაზე გელაპარაკებო.

— პატიოსანი არ უნდა დაჩაგრო, თორემ ყველა ფორმა და საშუალება მისაღება.

— ლეგენდები დადის შენს სისასტიკეზე.

— შეიძლება... კეისარს კეისრისა, როგორც კი თავისი არ მიეზღობა, ამოუვსებელი, უმნიშვნელო ნაპრალებს მალე უფსკრულად გადაიქცევა.

— ახლა ისევე გეძებენ?

— ჰო, რომ გაიგონ აქა ვარ, მეც ამიყვანენ და თქვენ თავსაც გამომაყოლებენ... — ხურდაში?

— კი, ხურდაში... — ჭიქა გამომიწოდა, შეავსეო.

წამოდგა, ჩემდა გასაკვირად თინას სავარძელთან დაიჩოქა და სავარძლის კიდეზე ჩამოედებულ, ნატიფ, ჩამოქნილ თითებზე აკოცა:

— იცი, ათი პროცენტი მაინც რომ შენნაირი იყოს, შევეგუებოდი ოთხმოცდაათ პროცენტ სიღამპლეს, მაგრამ, სამწუხაროდ...

ხანგრძლივი ხველა აუტყდა, გულისჯიბიდან ამოღებული თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცი პირზე აიფარა და როცა მოცილა, საჩქაროდ გადაეცა, მაგრამ თვალი მაინც შევასწარი გადამუქებულ



ცხვირსახოცის შუაგულს.

შამპანური მოსვა და ხველა ჩაუტყდა. თინამ თავზე ხელი გადაუსვა, პატარა ბავშვივით მოეფერა.

— სულ მიკვირს, როგორ ახერხებ, რომ ერთდროულად იყო ასე ცუდი და...

— მანდ გაჩერდი, თინათინ, მანდ... — სახე მოაბრუნა და თითქოს ახლა აღმოჩინა, — გალერეაში შენი ნახატები დავათვალიერე, მომეწონა, ოღონდ „ზამთრის პეიზაჟს“ ცოტა ბუნებრიობა აკლია... ციმბირის ქარბორბალა უნდა ნახო, აახვევს თოვლის საფენებს და მერე, როცა ჩანყნარდება, მთვარის შუქზე ბზინავს თეთრი, კრიალა მინდორი. მაგრამ იქ, თოვლის სიღამაზის აღსაქმელად, ჩემნაირებს ნაკლებად სცხელათ... ყველაფერი, ძალი, მამაძალი, გამოსირებული, უსულგულო ზედამხედველი, ყარაული და ეს ერთი შეხედვით უწყინარი თოვლიც კი შენი მტერია... მიდიხარ და ფეხქვეშ ცეცხლივით ტკაცუნებს... თოვლს ანაბეჭდვით უტოვებ ნათითურებს, თუ გაიქცევი, ძალღებმა ადვილად რომ მოგაგონ... გამოსატყვხად ფეხშიშველს გარეთ რომ გამოგადებენ, აბა, თოვლის სიღამაზე აღიქვი... ის ისეთივე სასტიკია, როგორც ადამიანები, შენს საცოდაობას, კმაყოფილი სახით, ჩათბუნებული ოთახის

ფანჯრებიდან რომ უყურებენ... ამიტომ მძულს... შენ მგრძობიარე, შეყვარებულის თოვლს ხატავ, იმიტომ რომ მისი ნამდვილი სახე არ გინახავს...

— ხომ ვამბობ, ნუმეუმი დგას და მის სულს ჭუჭყი მაინც არ ეკარება... დალუპული ტალანტი! — სინანულით ჩაილაპარაკა თინამ.

— ჰო, ჰო, არსად დაგეკარგო!.. რა უბედურია ის ქვეყანა, სადაც ჩემნაირი თავხეხილადებული, ქურდი და მამაძალი სხვებზე უკეთესია... თქვენთან ყოფნას რა სჯობია, მაგრამ ნება მომეცით, ახლა გავიპარო, ფეხაკრეფით, ჩუმად, რომ ჩათვლილი მართლმსაჯულება არ გავადვიძო... მადლობა, ცოტა ხნით ადამიანად რომ მაგრძობინე თავი, — წამოდგა, მასპინძელს თმაზე მოეფერა და კალთაში, გულალმა ამობრუნებულ ხელეში ფულის შეკვრა ჩაუღო, — ეს...

— ძალიან გთხოვ... — შენუხდა თინა და უკან შეაჩერა.

— შენ არა, ბავშვებს... რა ფერზე არიან, ყუათიანი საკვები უნდათ.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ჩემს შვილებს პატიოსანი პედაგოგის ხელფასს ავად თუ კარგად ვამყოფინებ... ნუ გეწყინება და ფულს ვერ ავიღებ...

— სასტიკი ხარ! — დაუქნია თითი, — ციმბირის თოვლივით...

თითები ახლაც მოყინული აქვს, ამიტომ დადის ასე აცა-ბაცა... რამდენიმე დღის შემდეგ ბადრატის უფროსი საერთოდ გაქრა... თავისმა განვრთნილმა „ავარკამაც“ კი ვერ მიაგნო... გაზაფხულზე, ყინული რომ დადნა, ლაგერიდან მოშორებით, ხის სახერხის ეზოში, თოვლქვეშ მოყოლილ მორებში იპოვეს ეკლიანი მავთულით მომხრჩვალი...

— ამან ქნა?

— არ ვიცი... ნებისმიერი ხერხით, უსამართლო გარემოში სამართლიანობის დამკვიდრებას ცდილობს. სამწუხაროდ საგა ლუკას ცხოვრებისა დღეს თუ ხვალ დამთავრდება... უჭკველად დამთავრდება... — თინამ სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ისე ჩაჭყყა, თითქოს „ზანგოს“ უბედურებაში თვითონ იყო დამნაშავე.

როგორც იტყვა, მართლაც ძალიან მალე დამთავრდა — ქსნის ციხეში, სულთმობრძავე, დამლოი ღვიძლი რომ ამოანთხია და ოდნავ სული მოითქვა, მარტო დამტოვეთო, ითხოვა.

ექიმმა „ზანგოს“ ამხანაგებს ანიშნა და ოთახიდან გაიკრიფნენ, დერეფანში კარის სიახლოვეს კედელს აყუდნენ.

მალე ექიმიც გამოვიდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

პატიმრებმა ღერები დაითითოვეს.

— კვდება, ველარაფერს ვუშველით!.. არადა, რალაცნაირი იყო, არცერთ თქვენგანს არ ჰგავდა, ოღონდ რანაირი, ვერ გამოითქვამს, — მსუქანი, ქოშინა ექიმის პირისახე დროდადრო თამბაქოს ბოლში ეხვეოდა.

უცებ ოთახიდან სუსტი, მიღეული სტვენა მოისმა, რომელიც თანდათან მოძლიერდა. თითქოს მოიშალა, გაქრა ციხის საკნები, ყრუ, მავთულხლართებიანი ლობის კედლები, თვალწინ აირეკლა სავესტოვარის შუქზე წყლით გალიპლიპებული არხის ზურგი, პიზას კოშკი და ნაპირის სიახლოვეს ატორტმანებული, ნაფოტა გონდოლა.

გარინდულეები უსმენდნენ. შიგნით, ოთახში, რალაც უჩვეულო და განსაკუთრებული ხდებოდა.

სტვენა უკიდევანო ლაჟვარდში ნავარდობდა.

ზანგო-ლუკა შორეულ ბავშვობაში გადასახლდა, როცა ზაფხულობით, დედის სოფელში, სოფლის მღვდელ პაპასთან ჩაჰყავდათ ხოლმე.

ის დრო იყო, მწუხრის ზარს როცა ჩამოკრავენ, ბოლო „ნაუ“ სამრეკლოში რომ მტრედვით შეიფრთხილებს და ეკლესიას გამოეკეტავენ.

ჩაინებთან სანთლები და ღვთისმშობლის ხატთან მხოლოდ ზეთიანი ბამბის ფთილა იფუტებს.

— აბა, ერთიც შემოეუაროთ, ლუკა, განვაგდოთ ავი თვალი.

— საცეცხლური ქრება, მამაო.

— ჩამატე ცოტა საკმეველი.

პატარა თითები მღვდლის ჯიბიდან ამოღებულ ქაღალდის ტოპრაკიდან რამდენიმე ნამცეცხს საცეცხლურს ჩამატებს და წინ ბუტბუტით მიმავალ პაპას აედევნება.

— დაიხსომე, შვილო, — უცებ მოუბრუნდება ჩია, თეთრწვერა მღვდელი, — პაპაშენი კი ვარ, მაგრამ როდესაც სხვებიც არიან, უჭკველად მამაო-თქო, ასე მომმართე...

— მერე, ასე არ გეძახი?

— ჰო, ჰო, კი მეძახი, მაგრამ რომ არ დაგავიწყდეს, ამიტომ გახსენებ.

— არ დამავიწყდება!

მღვდელი მიდის. მის ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გამოჩნდება აბოლებული, გადაქანებული საცეცხლური.

ეკლესიის ღობეს მომდგარი ალუბლები შენითლებას მხოლოდ ახლა იწყებენ და ჩიტები, ჯერჯერობით, არ ეტანებიან.

ბიჭი მხოლოდ მოხრილი, ანაფორიანი ზურგს ხედავს და მისდევს, მისდევს... უცებ სტვენა შეწყდა.

ჩამოვარდა სიჩუმე.

ექიმმა და პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

შიგნით რომ შევიდნენ, „ზანგოს“ აღარ იყო, ნატანჯუ პირისახეს მკრთალი, ირონიული ღმილი ევინა. იატაკზე კედელს მიფშვნილი, გადატყეხილი სათვალე ეგდო და შუშის ნასხვრევეები შავი წვეთებივით ეყარა...



კრიტიკოსი ნანა ტრაპაიძე

ლიტერატურის კრიტიკოსის, ნანა ტრაპაიძის, ინტერესთა სფერო ფართოა, იგი მუშაობს ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკაში, იკვლევს ლიტერატურის სოციოლოგიისა და ფილოსოფიის საკითხებს. პერიოდულ გამოცემებში ხშირად იბეჭდება მისი წერილები, რომლებშიც საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები ძალზე საინტერესოდ და საგულისხმოდაა ასახული. ნანა ტრაპაიძის კრიტიკული წერილების კრებული — „ლიტერატურა და ლიტერატურა“ — წლევანდელ „საბაზე“ წლის საუკეთესო კრიტიკულ ნივნად აღიარეს. პირველი შეკითხვაც სწორედ ამაზეა.

— კონკურსის ფინალისტობა ლამის გამარჯვების ტოლფასია. თუმცა ყველა ფინალისტი „მოკლე სიის“ გამოქვეყნებისთანავე მოუთმენლად ელოდება დაჯილდოების ცერემონიას და მათი მოლოდინი, ალბათ, განსაკუთრებულ ემოციასთან არის დაკავშირებული. თქვენ როგორ ელოდებოდით შედეგს?

— ემოციურად დიდად ჩართული არ ვყოფილვარ შედეგების მოლოდინში. რაციონალურად, ბუნებრივია, მაინტერესებდა... რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია შედეგები. ის ბევრ რამეს ამბობს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნივნების მომავალი კონკურსზე არ წყდება. მაგალითებს აღარ მოვიტან. კონკურსი, გარკვეული გაგებით, რიტუალსაც გულისხმობს და მასში მონაწილეობა ამ რიტუალის მონაწილედ გაქცევს. რიტუალური ნაწილის მიმართ მქონდა თავისებური ემოცია. ალბათ იმიტომ, რომ რიტუალში შესასრულებელ როლს ეკუთვნის და უნდა გამოგივადოს.

— რა განცდაა კონკურსანტისთვის „საბაზე“ ლაურეატობა?

— საპატიოა, მიიღო პრემია, რომლის ლაურეატები ქართული კულტურის უდიდესი ადამიანები არიან.

— რა დამოკიდებულება გაქვთ, ზოგადად, ლიტერატურული კონკურსების მიმართ და რამდენად მნიშვნელოვანია ისინი, თქვენი აზრით, ლიტერატურული ცხოვრებისა თუ ლიტერატურული პროცესების განვითარებისთვის?

— რას აძლევს კონკურსი ლიტერატურას? ლიტერატურასაც, ალბათ, იმას, რასაც ლიტერატურულ პროცესს. კონკურსი მკითხველს, საზოგადოებას რაღაცას უთითებს. ქმნის ლიტერატურული ველის სრულად ხედვის ილუზიას (თავისი ვრცელი და მოკლე ნუსხებით). კონკურსს საზოგადოებრივი სანქციის გაცემაც შეუძლია და საზოგადოებრივი ინტერესის მართვაც. ამ გაგებით, იგი შეზღუდულია და თავისუფალიც. თუ კონკურსს ლიტერატურული რეალიზების მომნიშვნელოვანებას მივანეროთ, იგი ჟიურის, კონკრეტული ადამიანებისა და გამომცემლობების მიერ ფორმდება. ამ დროს არსებობს არაკომერციული გამომცემლობები, თვითგამომცემები... კონკურსის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი ლიტერატურის მიმართ ინტერესის ტოლი არ არის. პირველი უფრო დიდია. თუმცა შეიძლება იგივეცაა, მსგავსია... ვერაფერს გეტყვით...

— რა მოგწონთ და რას შეცვლიდით „საბაში“?

— დავამატებდი საბავშვო მწერლობის ნომინაციას. გავზრდიდი ჟიურის შემადგენლობას. ცოტათი შევცვლიდი ფორმატს. ლიტერატურა „მძიმე“ ხელოვნებაა. ნაკლებ იხდენს სანახაობითობას. ამიტომ, თუ მაინცადამაინც მეგადაჯილდოებებზე გვექნება სწორება, იყოს ეს არა ოსკარი, არამედ — ნობელი. „საბაზე“ ლექციები“ გვითხრან ავტორებმა, თუკი რამ კიდევ აქვთ სათქმელი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს არც ლიტერატურა გვათქმევინებს.


— იცნობდით თქვენს კოლეგა-კონკურსანტების ნამუშევრებს? ორიოდ სიტყვით დაახასიათეთ ისინი.

— ჩემი კოლეგების ნივნები პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც კრიტიკის მიმართ აქვთ. მათი მკითხველი ფართო საზოგადოებაა. მათგან ბევრი რამის გაგება შეუძლიათ ადამიანებს, რომლებიც ლიტერატურით დაინტერესებას გამოხატავენ. ჩემი, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის, შეფასება მსოფლმხედველობრივი პოზიციების კონტექსტში მგონია გამართლებული. კოლეგიალობის კონსტრუქციული პრინციპი ასე მესმის. უბრალოდ კამათი ან მსჯელობა ფილოსოფიური მოსაზრებების გაზიარება-არგაზიარების ან ადამიანური შესტების გაცვლის სფეროა. ლიტერატურის კრიტიკის პოზიციიდან ეს სერიოზული საქმე არ მგონია.

— მაინტერესებს, ასევე, თუ გყავდათ ფავორიტი რომელიმე ნომინაციაში?

— მყავდა რამდენიმე ნომინაციაში და გაიმარჯვეს კიდევც.

— მინდა, გთხოვოთ, თქვენს კრებულზე მიახლოებით. იგი მოიცავს ბოლო წლებში ლიტერატურულ და სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებულ წერილებს, რომელთაგან ზოგიერთი ნამიკითხავს, ზოგიც — არა. ყოველთვის საინტერესოა, რა პრინციპით კინძავს ავტორი კრებულს, როგორ არჩევს ტექსტებს, რის მიხედვით განსაზღვრავს შინაარსის თანამიმდევრობას — ასე მგონია, რომ შემდგენელი ყველა დე-



მისი რელიგია ლიტერატურაა

ტალს ყურადღებას აქცევს, ასეთ კრებულში ყველაფერი გააზრებულია. — გეტანხმებით, ნივნი ახალი საკითხავია. ეს კრებული არ არის გამოქვეყნებული წერილების, უბრალოდ, თავმოყრის. არა იმიტომ, რომ მას კომპოზიცია მივეცი. ასე ვიტყვი, ჯერ არსებობდა კომპოზიცია (ფილოსოფიური და არა ფილოსოფიური აზრით) და მერე ეს ტექსტები. ამან მიკარნახა, რომ ისინი წიგნად მექცია. მგონია, რომ ნივნებს განწყობის მეტაფიზიკა განსაზღვრავს (განწყობის ფსიქოლოგიისგან განსხვავებით, იგი უცვლელია და, გარკვეული გაგებით, ჩვენგან დამოუკიდებელიც). ამ წიგნის განწყობა არის ნდობა: მიუხედავად იმისა, რომ ტექსტების ენა ცივია, პერმეტული და აგრესიულიც კი, სათქმელი კონსტრუქციულია. კონსტრუქციული იმიტომ, რომ ამ წიგნს რომ ჰკითხოთ, რა არის სამყარო, სინამდვილე, გიპასუხებთ — ლიტერატურა. მისი უმადლესი იდენტობა, მისი რელიგია ლიტერატურაა. ეს არ არის ბრტყელი და სპეკულაციური რიტორიკა; იმიტომ, რომ ამ წერილების იმანენტური ამბავი ამ იდენტობის მიმართ ეჭვია. განა სამყარო ყოველთვის ემთხვევა თავის თავს? უფრო პირიქით. მაგრამ, სწორედ იმ ეჭვებზე, შიშსა და სიფრხილეებზე გამოვლით, რომელიც დამოკლეს მხვლივით ჰკიდია ამ წერილებზე, ისინი დაბეჯითებით ასკვნიან, რომ სამყარო ლიტერატურაა, მისი ერთადერთი მორალი ესთეტიკაა. ამიტომ ესთეტიკური სამართლიანსაც ნიშნავს. ეს ამ წერილების ნაგულისხმევი სათქმელია, მაგრამ გამობატული სათქმელი იმ „პუნქტების“ მითითებაა, სადაც სინამდვილე აღარ არის ლიტერატურა, ანუ ლიტერატურა — (არ არის) ლიტერატურა და იდენტობაც ნეგატიურია. ან პირიქით, სადაც სამყარო ლიტერატურაა ესე იგი — ლიტერატურა — (არის) ლიტერატურა, როგორც პოზიტიური იდენტობა. რაც შეეხება ამ წიგნის ენობრივ მორალს (სათქმელისა და გამოთქმის ბუნებრივ, ლოგიკურ კავშირს), მის ენობრივ პოზიციას — ეს მორალი იმ განწყობიდან მოდის, რომელზეც ზემოთ ვთქვი. მე მნამს ლიტერატურის. და ნებისმიერი რწმენა ცხოვრების წესს ქმნის. ამას გაიგებს ის, ვისთვისაც მორალი სიზუსტეა, ხოლო მშ-

ვენიერება — სიმართლე. ენობრივი პოზიციის საკითხი სათაურის კომპოზიციაშიც დგას და დგას საკმაოდ კატეგორიულად. რა ენაზე უნდა მეტყველებდეს კრიტიკა? აქვს მას მორალური უფლება იყოს მეორადი? მეორადობას „ლიტერატურული სამართალწარმოების“ ენას დავარქმევდი. ასეთი ენა უფრო საკანცელარიოა და სტერილური, ან სანახაობითი და საბაზრო. რას სძენს ასეთი ენა ლიტერატურას? მხოლოდ იმდენს და იმას, რასაც ნებისმიერი სანახაობა და კანცელარია — სეირს და სიცოცხლის მკვდარ დოკუმენტს. განსაზღვრეთ ეს ამბავი როგორც სტრუქტურალისტური პათოსი. სტრუქტურალიზმი სერიოზული კულტურული მოვლენა იყო, რომელმაც ცნობიერების რევიზიის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თუმცა უფრო ადრე რომანტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ კრიტიკას, რომელიც არ ფლობს ლიტერატურის ენას, არა აქვს მოქალაქეობრივი უფლება, ლიტერატურის ველზე არსებობდეს. რომანტიკოსებმა შექმნეს ლიტერატურის გლობალური იდეა, მათ გაიგეს სამყარო როგორც პოეზია,



ღმერთი როგორც პოეტი, ბიბლია — პოეტური ტექსტი. თუ კიდევ უფრო შორს წავალთ, ძველ ალტემაში მოსე ამბობს, რომ ცხოვრება წიგნია. მოკლედ, ყველაფერი ახალი ძველიცაა.

— ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყნის სტატუსით ნარვდგებით. როდესაც პირველად გაიმართა ფორუმ-დიალოგი თბილისში, ჩამოვიდნენ ცნობილი ევროპელი გამომცემლები, რედაქტორები, აგენტები. ერთმა გერმანელმა გამომცემელმა თქვა: „რა არის მთავარი, რაც ქართველი მწერლებისგან გვაინტერესებს? რა თქმა უნდა — ამბავი“. როგორ ფიქრობთ, რამდენად საინტერესოა თანამედროვე ქართული ტექსტები, მოთხრობილი ამბავი უცხოელი მკითხველისთვის? რა სჭირდება ქართულ ლიტერატურას, რომ ერთნაირად საინტერესო იყოს ქართველი და უცხოელი მკითხველისთვის? ალბათ, ძალიან ძნელია კონკრეტულ ამბავში, სიუჟეტში, შეეხო ზოგად თემებს, ზოგადსაკაცობრიო პრობლემას, გასცდეს ვინმე ჩარჩოს, ჩაკეტილობას და იმავე დროს დარჩე უაღრესად ადგილობრივ, ნაციონალურ ავტორად.

— ლიტერატურა სწორედ ამბავს ხელოვნებაა. მაგრამ რა არის ამბავი? თუ ლიტერატურული ამბავი იგივეა, რაც ექსისტენციური ამბავი, მაშინ ლიტერატურასთან არ გვაქვს საქმე. ვეცდებით ავხსნა: ლიტერატურული ამბავი ენობრივი ამბავიცაა. თუ ამის საპირისპიროდ მეტყვით, რომ გასული საუკუნის მანძილზე სწორედ ენობრივი ამბავი აღარ გვაქვს ლიტერატურაში, გეტყვით, რომ ეს „ოპტიკური ილუზიაა“. როცა ენის მნიშვნელობა მწერლის მიერ შეგნებულია, გვაქვს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „კრეაციის დისტანცია“, რომელიც წერას თავისთავადი განვითარების საშუალებას აძლევს, ანუ უქვემდებარებს ენობრივ ბედისწერას. როცა კითხვობა, ვთქვათ, ბუკეტს, გრძნობ სწორედ ენობრივ ბედისწერას, რომელიც პერსონაჟის ბედისწერის მსგავსია. მგონია, რომ ქართულ ლიტერატურას ეს აკლია. უცხოელსაც, ისევე როგორც ქართველ მკითხველს, სჭირდება არა ამბავი, არამედ გამოცდილება, რომლის ნაწილიც შეიძლება იყოს ლიტერ-

ატურული თემა, ყველაფერი, რისგანაც ლიტერატურა შედგება და რაც მთლიანობაში ესთეტიკური გამოცდილების ნაწილია. ესთეტიკური გამოცდილების მიღმა მხოლოდ ნედლი ლიტერატურაა. არა აქვს მნიშვნელობა, როგორია ეს გამოცდილება. მთავარია, რომ იგი იყოს ნამდვილი. ერთი საკითხიც — ლიტერატურული პროცესი გავლენების პროცესია. არაფერი საგანგაშო არ არის იმაში, რომ მწერლები გავლენებს განიცდიან. ეს ასეც უნდა იყოს. ლიტერატურის საშიშროება სხვაგანაა, როცა იგი იდეოლოგიის ხმაა, როცა ის მასწავლის, როგორ უნდა ვიფიქრო და ვიყო უფრო კარგი, უფრო ადეკვატურად მოაზროვნე, გადამარჩინოს ჩამორჩენილობისგან, ან მისხნას პატრიოტული თუ ნებისმიერი ნიჰილიზმისგან და ასე შემდეგ.

— ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ მოხდა უახლოეს წარსულში, ალბათ ნებისმიერი მწერლისთვის ეს საუკეთესო მასალაა დასამუშავებლად, საინტერესო ნაწარმოებების შესაქმნელად, მაგრამ რატომაც დღემდე თითქმის არ დაინერა არაფერი იმაზე, რაც გამოვიართ, მხატვრულ ტექსტებში თითქმის არ აისახა სინამდვილე.

— საერთოდ, ერთია, რა ითქვა, მეორე, რა ვიცით, რომ ითქვა. ეს არ ეხება მხოლოდ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს. ამ თვალსაზრისით სცოლავენ ლიტერატურის სწავლების სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამები. იმიტომ, რომ ისინი გარკვეულ (თუ გაურკვეველ) კონცეფციას მიჰყვებიან. ჩემი წიგნის პირველი წერილი „ვერაგობა და/თუ სიყვარული“ დაწერილია დათო ბარბაქაძის ფსევდოაგოგრაფიული ქრონიკის „ტრფობა ნამებულთა“ შესახებ. ეს თხზულება შემზარავია იმ უკიდურესობის გამო, რომლითაც გადმოცემულია 90-იანების ყოფა და, საერთოდ, სულიერი დაცარიელების ის შედეგები, რომელიც არა წარსულს, არამედ მომავალს გულისხმობს. თუ ადრე ენამებოდა სხეული, ახლა ენამება სული, რომელსაც აღარ აქვს მოთხოვნილებები, იგი ცარიელია და ატროფირებული... ამ ტექსტის გარდა, სხვა ავტორები, რომლებიც ჩემს წიგნშია განაწილებული, სინამდვილის თუ სინამდვილის პერსპექტივის მიმართ მათი ხედვის გამო გახდა საინტერესო. თუმცა გააჩნია, რას ვუწოდებთ სინამდვილეს. „სინამდვილე“ მხოლოდ ზედამხრზე არ ძვეს... მაგალითისთვის, ხათუნა თავდგირიძის რომანი „თევზი ორი ჩრდილით“ იმით არის საინტერესო, რომ მასში ადამიანისა და კაცობრიობის მომავლის პრობლემა დგას. ეს რომანი მომავლის ბედს არქეტყობს სიღრმეში კითხვობს. იმი, მაგია, ეროტიკა თემატური შრეებია. მათი თანამედროვე ცვლადები ჩვენს დროში სტაბილურობა, მედიაილუზია და პორნოგრაფიაა. ეს რომანი სულაც არ არის შუა საუკუნეებზე და მასში, ასე ვიტყვი, კულტურული ინვერსიის ფაქტი მომჩინა. „თევზი ორი ჩრდილით“ არ არის „პროგრესულობის“ და „აქტუალობის“ კომპლექსით შეპყრობილი, იგი ლიტერატურის მიღმა არ ეძებს გარანტს იმისთვის, რომ ლიტერატურად ჩაითვალოს.

— თქვენი წერილის — „რომანი და სინამდვილე“ — გავლენით ბარემ ერთსაც გკითხავთ — როგორ ფიქრობთ, რამდენად უჭირს რომანში, ამ შემთხვევაში, ქართულ მწერლობას?


— წერილში, რომელიც თქვენ ასხენეთ, ვცადე, დეკონსტრუქციუზმი და სოციოლოგიაში მეთოდურად მომერიგებინა; მინდოდა მეჩვენებინა, რომ ლიტერატურა, მისი უანრული ფორმა, სინამდვილის გრძლივობაა და მასზე დამოკიდებულია სინამდვილის ბედი... ამ გაგებით, ამ განწყობით, ამ უანრს ძალიან ვგულმემატიკვირობ. და ნებისმიერი მცდელობა მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან ამით იქმნება ნიადაგი არა მხოლოდ ლიტერატურისთვის.

— ქართველი ავტორების წარმატებულ ნაბიჯებზე, ნიჭიერ ავტორებზე, ახალ სახელებზე რას იტყვით? შეგიძლიათ, ვინმე გამოარჩიოთ, ვინც იმედისმომცემია, ვისაც ზრდის ბედნიერება წინ აქვს?

— გეტყვით ჩემგან დანახულ ტენდენციებზე. როგორც ჩვენში იტყვიან, „ჩემი ლიტერატურა ის არის“, რომელსაც მკითხველისაგან რაღაც უხილავი კატეგორია

„გამოჰყავს“. ჩვენთან კი „მკითხველი“ ლამის გენიალურიადაა შესწავლილი და სტატისტიკურ რეესტში გამოტარებული. მწერლები თვალში შესცივინებენ მკითხველს. მგონია, ამაზე მეტად მას ვერ შეურაცხყოფ. მკითხველის პატივისცემა იმას ნიშნავს, რომ იგი უარყოფითად განზრახვის გარეშე, პატივისცემითა და ზრუნვით. ამის გამოა, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ნაკლებად ნახავთ პარადოქსს. პარადოქსი ნინაღმდეგობას, სინამდვილისა და სიმართლის მოულოდნელ ბუნებას გულისხმობს. ლიტერატურაში იგი ესთეტიკური გამოცდილებაა. სიმართლის სხვაგვარი გამოცდილება საპატივცემულოა, მაგრამ ლიტერატურისთვის არაფრის მთქმელი. ბოლოს და ბოლოს, პარადოქსი განასხვავებს რუსთაველს შავთელისა და ჩახრუხადისაგან, ბარათაშვილს — გრიგოლ ორბელიანისგან, გალაკტიონს — ცისფერყანაშვილისგან, კამიუს — მორიაკისაგან, უელბეს — ბეგბედერისაგან. ეს, რაც ასე სახედობდნენ მასხენდებდა. ასევე პრაბალის „მეტისმეტად ხმაურთან მარტობას“ — დონანაშვილის მოთხრობისაგან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ (ყარისა თუ სხვა ასპექტების სხვაობის საკითხი აქ მსჯელობის პრინციპს არ უკავშირდება). იმას დავამატებდი, რომ პარადოქსი ზოგადად ლიტერატურის ბუნებაა და არა მხოლოდ დიდი ლიტერატურის და იგი არც მარტო ტექსტშია. პარადოქსი ავტორსა და ქმნილებას შორის მომხდარი ყველაზე დიდი და საოცარი ამბავია, რომელსაც შემოქმედებამ მწერლის კი არა, წერის ნებას უქვემდებარებს. ამიტომ, მწერალი საკუთარი ქმნილების ადვოკატი ვერ უნდა იყოს. ის ამას ვერ შეძლებს იმ მოულოდნელობების გამო, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია. მწერალს არა აქვს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა საყოველთაო უმფოთველობის წინაშე. იგი ვერაფერს დაგვირდება. ისევე როგორც ვერც თავს გაიმართლებს „უპასუხისმგებლობის“ გამო. პირიქითაც კი ხდება, როცა ისინი თავის მართლებასა და ახსნას იწყებენ, უმალ „უარესს“ სჩადიან. თავის გენიალურ რომანში პრაბალი ამბობს, ნამდვილი ლიტერატურა ყოველთვის სადღაც სხვაგან იმზირება. ვისურვებდი, რომ ჩვენი მწერლობის ხედვის პოზიცია არ იყოს ჯიუტად ფიქსირებული. თანაც არა შინაგანი ხედვის პირობით, არამედ „რალაც“ გარეგანი გარემოებით.

— რამდენად მნიშვნელოვანია ლიტერატურული კრიტიკა ლიტერატურის განვითარებისთვის და რა მდგომარეობაა ჩვენთან ამ მხრივ? ბევრი ამბობს, რომ კრიტიკა ჩვენთან სულს ღაფავს, რადგან უმცირეს შენიშვნასაც კი ავტორები ძალიან მტკივნეულად იღებენ. თქვენ რა გამოცდილება, რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?



ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე თუ ისტორიული პროცესები კრიტიკამ აზროვნების თანამედროვე დისკურსში უნდა მოაქციოს. გააცოცხლოს მნიშვნელობები, მისცეს მას აღქმისა და ფუნქციონირების ახალი პოზიცია და პერსპექტივა. კრიტიკის საკითხს აკადემიური სივრცის პრობლემისკენაც მივბრუნდები. გემოვნება გამოცდილების საკითხია და ის, ალბათ, არ არის ბედისწერა. ლიტერატურა ესთეტიკური გამოცდილებების თვალსაზრისით უნდა ისწავლებოდეს. ეს გამოცდილებები სხვადასხვაა და სხვადასხვაობა ამდინდებს გემოვნებას. როცა გემოვნება ცოდნის პრინციპს სცილდება, იგი მშვენივრად ეთვისება მორალიზმსა და დემაგოგიას. იმის თქმა მინდა, რომ გემოვნებიანი მკითხველი მომთხოვნია. მით უფრო მომთხოვნია იგი კრიტიკის მიმართ, იმიტომ, რომ მან რალაცები იცის, კარგად ასწავლეს, გემოვნება აქვს. რაც შეეხება კრიტიკოსს, მას არ უნდა მოსთხოვო ის, რაც კრიტიკის საქმე არაა. კრიტიკოსი ნიუსმეიკერი არ არის. ის ანალიზს აკეთებს და არა ანონსს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველსა და ლიტერატურას შორის მედიის როლი სწორედ ასეთია და ამ როლის ბუნება ყველაფერს ფუნქციონირების საკუთარი წესის მიხედვით გარდაქმნის. რადგან ლიტერატურაც მედიარეალობის ნაწილად იქცევა, კრიტიკასაც ეს ხვედრი აქვს. ადრე სამყაროცა და ლიტერატურაც ქრონოსის წინაშე იდგა, ახლა — ქრონომეტრის. რალაც მუდმივად ზედმეტია, მოსაჭრელი, შესაცვლელი... თან აქვე, ახლა. სინამდვილის უცნაური გაგებაც აქედან მოდის. მწერლები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) თავმომწონედ აღნიშნავენ, რომ აქტუალურ თემებზე წერენ. აქტუალურზე და არა მნიშვნელოვანზე. შეიძლება, ერთი მეორე გულისხმობდეს, მაგრამ ეს არ არის ერთი და იგივე. მათ შორის ის სხვაობაა, რომ „აქტუალურს“ განსაზღვრავს სხვა (თანამედროვე კულტურაში მომუშავე შეთანხმებები, კოლექტივის თუ მეინსტრიმის ხმა...), „მნიშვნელოვანს“ — თვითონ. არ შეიძლება ლიტერატურა პირადი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს და მთლიანად კონიუნქტურულ დისკურსს ესესხებოდეს. ნუ გვგონია, რომ კონიუნქტურა მოკვდა. სანამ კონვენციები არსებობს, კონიუნქტურაც იარსებებს. თუ მოვლენებს აქტუალურობის საზომით შევხედავთ, მაშინ მადამ ბოვარისა და ანა კარენინისაგან მხოლოდ „პროფილს“ მივიღებდით და ვერასოდეს — ლიტერატურას. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ლიტერატურა და კრიტიკა თვითმინზურად გაუცხოვდნენ. მე ვამბობ, რომ უნდა იყოს თანამშრომლობა და არა დაქვემდებარება. თანამშრომლობა ნიშნავს, რომ მოვლენებს საკუთარი ბუნების ღალატით არ მოეთხოვებათ.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— რამდენიმე წელია, გმუშაობ ნიგნზე ლიტერატურისა და დისკურსის მიმართების შესახებ. ეს ნიგნი უფრო სასწავლო პროექტია, განსხვავებით კრიტიკული კრებულისგან, რომელიც საამისოდ მეტისმეტად ავტოაფექციურია.

— „თქვენი ავტორები“ ვინ არიან, რომელი ნიგნები „მოდან“ თქვენთან?

— ეს ისეთი კითხვაა, რომელსაც ან არ უნდა უპასუხო, ან არაფერი დამალო. მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, რასაც ვმალავთ, არამედ იმას, როგორ მუშაობს ის, რის შესახებაც ვმუშავთ. თუმცა „დიდი საიდუმლოებები“ ყოველთვის ბანალურია ხოლმე. ლიტერატურის როლი უდიდესია, საკმარისად გაუცნობიერებლიც კი. ამ როლს ჩემი წერილებიც ასახავს. ალბათ იქ ჩანს კიდევ რამდენად ქმნის ლიტერატურა ადამიანსა და მის ბედს შორის უცნობ კავშირს. თქვენ გამახსენეთ ადრე ნათქვამი, რომ მკითხველი ისაა, ვისთანაც ნიგნები მოდიან. დიდი ხნის წინათ, ალბათ ბოლო კლასში ვიყავი, თომას მანის „ტონიო კროკერმა“ უფრო მეტი რამ გააკეთა ჩემთვის, ვიდრე უბრალოდ შთაბეჭდილება. უდიდესი შთაბეჭდილება, რაც უახლოეს ხანს მივიღე, იყო პრაბალის „მეტისმეტად ხმაურთან მარტობა“. ეს ნიგნი პირდაპირი გაგებითაც მოვიდა: მეგობარმა მომცა ისეთი მოკლე უკომენტარო შესტით, რომელიც ნიგნის მიმართ დიდ ადამიანურ სისუსტეს ამხელს — არა მარტო სიხარულს, ტკივილსაც.

ესაუბრა თამარ ჟურული

ვანო ჩხიკვაძე სცენარი პოლივუდისთვის



დასასრული

წვიმამ ისევ იმდღავრა. ძლივს ამოვისუნთქე, მეგონა, გული მიჩერდებოდა. რეჟისორი დუმდა. ვინ ჩასწვდება ამ პროფესიის ადამიანების რთულ და მარტივ ფიქრებს. როგორც იქნა, მომხედა.

— ქართულ ლიტერატურაში და სცენარზე უკვე გვქონდა ქურდული სამყაროს აპოლოგიის მცდელობა.

— „აპოლოგია“ ცოტა გადაჭარბებული მეჩვენება... გინდა, არ გინდა, ეგ სამყარო ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო და თუკი ლიტერატურამ გვერდი არ აუარა, მის ბუნებრივობაში ჩაიხედა, ცუდია?

— ცუდი არ არის, მაგრამ ნამეტანი არ უნდა მოგვივიდეს. ამ სამყაროს მკვიდრები ობიექტურად უნდა შევფასოთ და მისაბამ გმირებად არ უნდა წარმოვაჩინოთ... რა ვიცი, ვიფიქროთ, ბატონო, ვიფიქროთ.

— არ დავმალავ, გონებაში თითქმის დანერგული მაქვს პეისა.

— მერე, თუ ვერა, ჩაუჯექი, მორიგ პრემიერას დღე-დღეზე წარმოვადგენთ და ახალზე ხომ უნდა ვიფიქრო... რეტროც იქნება და დღევანდლობაც... შენ ამბობ, რომ პროტესტის გრძნობამ დააყენა დინების სანინალმდეგოდ. პატარა ბიჭს რა პროტესტის გრძნობა უნდა გასჩენოდა, უფრო სწორად, იმდროინდელი უსამართლობა როგორ უნდა ჰქონოდა ასე ღრმად გააზრებული, რწმენის თვალსაზრისით, რომ მიძიმე არჩევანი გაეკეთებინა, ხელოვნება მიეტოვებინა და ბედი ქურდულ სამყაროსთვის დაეკავშირებინა?

— თავიდან ინტუიციურად, გარემოების, ოჯახური ხელმოკლეობის კარნახით, თუ „ცუდი ბიჭების“ ნაქვებით, მერე კი...

— არსენა ყაჩაღი მივიღეთ?

— ყაჩაღი უძახე და მშვენიერი ხალხური პოემა მიუძღვნეს... დაჩაგრულები, ქურდული კლანის წარმომადგენლებთან თუ გაავიჯივებთ, არსენაში მაინც თავის ქომალს ხედავდნენ...

— მაგრამ რწმენის თვალსაზრისით კუჭატნელი უფრო ქრისტიანია, ვიდრე არსენა — „მე დღეს ღვინოს როგორ დავლევე, ნითელი პარასკევია“.

— გატყუებულ კაცს ნუ მოვთხოვთ, საეკლესიო კალენდარს ზედმინევენით იცნობდეს და ხსნილისა და მარხვის პირობებს იცავდეს.

— უნდა მოვთხოვთ, თუ გმირი გვინდა, რომელსაც მაყურებელი შეიყვარებს... მოკლედ, ეგ უკვე დეტალებია... თემას გადავუხვიეთ, — მითხრა ცოტა ხნის შემდეგ, — რაც უფრო ვუფიქრებდი, იდეა მომწონს — აქედან, ოცდამეერთედან წარსულში გადაძახილი... ახალგაზრდა მუსიკის მოყვარულთა გზასაცდენილი ფავორიტი და კოსტიუმოსხმული, ტურის კიდები „ბიჩოკმოქცეული“ ძველი ბიჭი, თან ისეთი, ხელები რომ „სუფთა“ აქვს, ანუ სხვებს ამუშავებს, თვითონ კი უმნიშვნლო მიიჯსა და პოზას ინარჩუნებს... მოკლედ, კორ-

სიკულ-ამერიკული მაფიოზ ნათლიას პროტოტიპი... — გმირი პოლივუდის ფილმიდან. — დიახ, დაახლოებით... „რატომ ავიკვიატე ეს პოლივუდი, ოცდაათიანი თუ ორმოციანი წლები კინო-ხასიათი? იმიტომ რომ „ზანგო“ განსხვავებულია, — ამნარი ტიპაჟს იქაური გადასაღები მოედანი სჭირდება — მისი ხასიათის წარმოჩენას ჩვენი მენტალიტეტი ვერ გაქაჩავს...“ ყველაფრის გახსენებამ გული მომიწურა.

აუჩქარა მანქანამ და აუჩქარეს გზისპირა ხეებმაც, ქართი დაბნეულები თავის დაქნევას ვერ ასწრებენ, ისე გარბიან უკან... უკან? საითაც მივიდვართ, იქნებ ის არის უკან? ზანგოც იქნებ მომავალში დგას და არა წარსულში? რას გვოდავ, რა მინდოდა, რატომ შევანუხე, რატომ, რატომ უნდა ვაფათორო მის სულში ხელი, ჯერ მე, მერე ამან... მერე მსახიობმა, დასამახსოვრებელი „ტიპაჟი“ რომ შექმნას... თითქოს კისერთან ვიგრძენი საყულოზე ამოდებული მისი ორი თითი.

ავხედე, იმედაც რუბეულმა ლუკამ თავი დანანებით გადააქნია... თვალსანიერზე გაფუებული ნისლი და ბინდ-ბუნდი ჩვენსკენ მოიქჩაროდა.

— არა, არ გამოვა არაფერი! — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— არ გამოვა? — მომხედა გაცოცხლები რეჟისორმა, — ფიქრში უკვე მთავარი როლის შემსრულებელიც შევარჩიე... — „ზანგოს“ არ მოუნებოდა თავისი თავი სცენაზე რომ ენახა.

— კარგი ერთი, მეხუმრები.

— ვერა, არ შემოძლია... ჩემგან ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს!.. რეჟისორმა მხრები აიჩქარა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

გულზე მომეშვა — განა იმიტომ გამომიყვანა იმ „ნავაგიდან“ რომ ასე გადამეხადა სამაგიერო!

— თუ ხატავდი კიდევ, აქამდე არ ვიცოდი, — ჩაილაპარაკა გვიან-გვიან თანამგზავრმა.

— ჰო, ახალგაზრდობაში ინტენსიურად, ახლა... — იმან მუსიკას დაანება თავი, შენ — ხატავს... შენც პროტესტის გამო? — ისე მკითხა, რომ მივხედი, პასუხი მაინცდამაინც არც აინტერესებდა... ჰოდა, არც მიპასუხია!.. რამდენიმე წლის წინათ, ტრანსატლანტიკური რეისით მგზავრობისას, „ბოინგის“ ვებერთელა სალონში, ჩემს გვერდით, ხუჭუჭა აფროამერიკელი სიმღერებს უსმენდა.

ამ დროს სტიუარდესამ სასმელების ურიკა ჩამოატარა.

— სტივ ვანდერი! — წავიმეტიჩრე და ცერი ავუნე, მაგარია-მეთქი.

— No — Stevie Wonder! — აქცენტით და გამოთქმა დამიწუნა ქერათმიანმა ანგელოზმა და სავარძლებს შორის წარწარით გაატარა თავისი მოხდენილი ქვედატანი.



რატი ქართველიშვილი

*
ვედრება ჩუმი ძველ შადრევანთა,
მე მოგიტანე ლურჯი იები,
მთვარიან ბაღში, სარკმლიდან ჩანდა,
ჯერ ისევ წუხდნენ აკაციები.
მე მსურდა გულის არგაციებით
ეს ყვავილები გეტარებინა,
ო, ამ დროს მთვარემ თეთრ გრაციებით
მოთოვა შენი ნეტარი ბინა
და გულში რაღაც ააქვითინა,
ის, რაც აქამდის დარდად მწოლია:
შემოდგომების ნაზი, ყვითელი,
უცხო, მსუბუქი მელანქოლია.

*
ის მოვა მსუბუქ ატივტივებით,
რომ ნაზ გობელენს ფარდა ახადოს
და ზღვის ნაპირებს გადაახატოს
გაძარცვულ ხეთა ნეგატივები.
ყურს თუ დაუგდებ, შენც აგატირებს
ბალი უსაზღვროდ ასე ყვითელი,
გამიერებს ნაცნობ მოტივებს
გული სხვა გრძნობით შეუსყიდველი.
ის სხვა ოცნებას ვერ შეიფერებს
არა უნაზესს ვარდთა ბაგეზე, —
საყვარელ ფერებს, იმ ყვითელ ფერებს,
დაღალულ ფერებს და სიფაქიზეს.
ნამყე იქ, სადაც შეუდარველი
გრძნობის მოადგა ტალღა ნაპირებს,
აქვითინებას სადაც აპირებს
შემოდგომების სული მფარველი;
სადაც დაღალულ წიგნთ სტრიქონები
გარინდებამი ასე კვდებიან...
ნამყე! ვერხვები იქ გვიგონებენ
და სამუდამოდ გველოდებიან.

*
წყარო სხვაგვარად დღეს მილიკლიკებს,
ფოთლები ჩუმი, არშენარხვეი,
შენ — მოწყენილი ბაღის ბილიკებს
წყნარად გაჰყევი.
მღვრიე თვალებით და სახეებით
შემოდგომის ტყე დაუსაბამო,
გარინდებული დგანან ხეები,
არის საღამო.
ვწუხვარ და ვიცი: სურვილი ჩემი,
ო, რა უსაზღვრო, რა უძიროა...
ნუ გააღვიძებ შემოდგომის ტყეს, —
რა საჭიროა?
ნუ გააღვიძებ დღეებს ფერნასულს,
თვალი ცრემლებით აღარ დანამო,
ნულარ შეარხვე შორეულ წარსულს,
იყოს საღამო!

შავი ზღვა და მე

იქ დასასრული არის ყველაფრის,
სად ჰორიზონტის არის სათავე,
ეს ხომ სუნთქვაა ცისფერი აფრის
და სულ სხვა რამე: შავი ზღვა და მე.
და სულ სხვა რამე არის ცხოვრება
და სულ სხვა რამე არის სიკვდილი,
გულს სამუდამოდ ემახსოვრება
ზღვაზე იალქნის მსუბუქი ჩრდილი.
ჩრდილი ვით ჩრდილი, არა სხვა რამე,
ჩრდილი ვით ჩრდილი ცისფერი აფრის,
სადაც შევერთდით შავი ზღვა და მე
იქ დასასრული არის ყველაფრის.
იქ დასასრული არის სიმშვიდის,
სად სიყვარულის არის სათავე
და იალქანი ცისფერი რიდის —
ვით უკვდავება: შავი ზღვა და მე.

*
მე შენში მიყვარს უმანკო ბავშვი,
ზღაპრებს რომ ამჩნევს ჩემს ჩამქრალ თვალში,
მე შენში მიყვარს ვნებები ქალის,
მთვარის სხივით ნაზი და მფრთხალი.
მე შენ მიყვარხარ, როგორც ზღვას უყვარს
მიუსაფარი პატარა ნავი.
უცხო მინამდე ვიდრე გაგიყვან,
მხოლოდ ინამე,
რომ ცის ფსკერია ბნელი ნაპირიც —
დროის ტალღებით გამონატირი.



* პაკო სვიმონიშვილის ხსოვნას

ვარსკვლავებით მოჭიქული ცა...
სამრეკლოს ზარი...
მყუდრო ტავერნა...
ლურჯი მთები და ლურჯი ყურე...
ბადე, რომელიც სევდიანია
დატყვევებული თევზების გამო...
გულისცემა ადამიანის.
მთვლემარე სიტყვა ლეღვას დაიწყებს
და გადაარწმუნებს ზღვაზე ხომალდებს!..
აღარ იქნება უბრალო წვიმა —
ცრემლად დაღვრილი ზეცა იქნება!
იქნება, ბევრი რამე იქნება...
მხოლოდ — პოეტი აღარ იქნება.

*
არის სიტყვები, რომელსაც აღარასდროს ვიტყვი.
არის ლექსები, რომელსაც აღარასდროს დავწერ.
არის ადგილები, სადაც აღარასდროს დავბრუნდები.
არის მუსიკა, რომელსაც აღარასდროს მოვუსმენ.
არის ცრემლები, რომელიც აღარასდროს დამცდება.
არის ღამეები, რომელიც აღარასდროს გათენდება.

*
თოვლს თოვლზე თოვლის
ათოვდა ყოვლის
ამტანი ფიფქი, —
შორეულ ხომლის
გულს სევდის მოვლით
ანაზებს ფიქრებს.
იმ მთის ნაპირებს
და ცის ნაპირებს
და უსასრულო
ერთი ნაპრალი —
თოვლს თოვლზე თოვლის
ცისფერი კვალი.
თოვლს თოვლზე თოვლის
აზრია ყოვლის:
თოვლს დააბერებს,
თოვლს დააბარებს,
გადააფარებს
მსუბუქ საფარველს
და ატირდება სული
ბავშვივით.

*
მითხარ, ძვირფასო, იცი რაა
შრიალი ხეთა? —
თუნდ საღამოთი, ბნელი ღამით,
თუნდაც ამ დილით,
მზის ჩასვლა იყო, მაშინ როცა
შორეულ ტყეთა
ასე საზღაპროდ ირხეოდა
ლურჯი მანდილი.

აი, ღვთაებავ, ხედავ ციხეს,
ჰე, თამარეულს,
თეძამს დაღეულს, რომლის ტალღა
არ მოდუნდება,
საარაკო ცას, აღუბლებად
ფერებს არეულს
და შორი გზიდან სიყმანვილე
როგორ ბრუნდება.

მალხაზ მაჭავარიანი

მზის ნარილი

საფოსტო ყუთში
მზის სხივი ვნახე
და მზის წერილი
შენგან მიღებულ
წერილებს ჰგავდა.

გზაში

მიტოვებული
სახლები მეტს ამბობენ
თავიანთ თავზე.

იანვრის ღამე

ირეალური რეკვა ზარების
და სმენად ქცევა... (თოვლა გარეთ):
სული-სხეული ნაიარევი
დამაქვს... სიმძიმით კი დავიღალე
და შემოგჩვილებ, შემომსუბუქე
სხივებალესილ დღეთა ნათელი.
თუ წასასვლელად მამზადებ უკვე,
ნულარ დაათოვს მეტად ქვაფენილს...

„აპოკალიფსი ახლა“

შვეულმფრენმა გადაგვიფრინა,
ბავშვები გაახარა
და ჩიტები დააფრთხო, —
ცნობილი ფილმიც გამახსენა...

დილა

სარკმელში ერთმა ჩიტმა
ბავშვის ხელიდან გამოშვებული
ქაღალდის თვითმფრინავით გაიფრინა...

ცეცხლი

ბუხარში ცეცხლი ჩაქრა, —
ოთახი გაცვიდა და გაუცხოვდა:
(სხეული დაბალ ტახტზე ასვენია,
გარშემო ხალხი ტრიალებს)...

გარეთ გავდივარ —
თოვლზე ლურჯ ღამეს ვეაღვრებდი,
შინ ჩემი სხეული ასვენია...



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004